

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში

რალო ჰაკერტი
ნანა სუმბაძე



2017

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი **გენდერულ ჭრილში**

რალფ ჰაკერტი

ნანა სუმბაძე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

2017
თბილისი

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში

ავტორები: რალფ ჰაკერტი

ნანა სუმბაძე

რალფ ჰაკერტი, მეცნიერებათა დოქტორი, არის მათემატიკოს-სტატისტიკოსი და მინიჭებული აქვს სოციოლოგიისა და დემოგრაფიის დოქტორის ხარისხი კორნელის უნივერსიტეტის მიერ. ბრაზილიის მინას გერეს ფედერალურ უნივერსიტეტში მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ, რალფ ჰაკერტმა 1990 წელს დაიწყო მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და წარგზავნილი იყო ანგოლაში, ჰონდურასში, ჩილეში, მექსიკაში და გაეროს მოსახლეობის ფონდის შტაბბინაში, ნიუ-იორკში. 2014 წელს ის ჩამოშორდა ოფიციალურ საქმეებს და დემოგრაფიისა და სტატისტიკის საკითხებზე მუშაობას აგრძელებს, როგორც კერძო კონსულტანტი.

ნანა სუმბაძე, მეცნიერებათა დოქტორი, არის ფსიქოლოგიის პროფესორი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორი. მას სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მინიჭებული აქვს ლაიდენის უნივერსიტეტის მიერ. ის არის 70-მდე ნაშრომის ავტორი, რომლებიც დაბეჭდილია, როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ჟურნალებსა და წიგნებში. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სოციალური პოლიტიკის საკითხები, გენდერი, დემოკრატიული პროცესები, შეზღუდული შესაძლებლობები, პიროვნებათშორისი ურთიერთობები და იძულებით გადაადგილება.

ტექსტის რედაქტორი: თეა მაისურაძე

ინგლისურიდან ტექსტი თარგმნა: მაია გვიტიძე

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთობლივი პროექტის ფარგლებში *“სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში”*, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) შეხედულებებს. აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას გამოცემაში არსებულ შესაძლო უზუსტობებზე.

გამოცემის ელექტრონული ვერსია იხილეთ: <http://georgia.unfpa.org>

პუბლიკაცია დაბეჭდილია შპს „ვესტა“-ს მიერ

ISBN: 978-9941-7-275-2

სარჩევი

სარჩევი	iii
გრაფიკები	iv
ცხრილები	v
წინასიტყვაობა	viii
მადლობა	ix
შემოკლებები	x
საქართველოს ადმინისტრაციული რუკა	xi
მოკლე მიმოხილვა	xii
1. შესავალი	1
2. გენდერული ურთიერთობები საქართველოში, საერთაშორისო ჭრილში	4
3. ქორწინებითი მდგომარეობა	7
4. შინამეურნეობების შემადგენლობა	29
5. შობადობა და უშვილობა	35
6. მოკვდაობა	44
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	47
8. განათლება	56
9. ქართულ ენაზე მეტყველების უნარი	58
10. არსებობის საშუალებათა წყაროები	61
11. ეკონომიკური აქტიურობა	64
12. მიგრაცია	71
13. მოსახლეობის განაწილება	77
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა	80
დანართი: წინამდებარე მონოგრაფიის ძირითად თემებთან დაკავშირებული საწყისი სტატისტიკური მონაცემები	83

გრაფიკები

გრაფიკი 2.1: მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არ ეთანხმებიან №1, №2 და №3 დებულებებს (იხ. ზედა აბზაცი) მსოფლიო ღირებულებების 1996, 2009 და 2014 წლების კვლევების მიხედვით	6
გრაფიკი 3.1: იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	14
გრაფიკი 3.2: ქვრივების პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	18
გრაფიკი 3.3: განქორწინებული პირების პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	19
გრაფიკი 3.4: საქალაქო და სასოფლო დასახლებებში პარტნიორის გარეშე მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ასაკის მიხედვით	25
გრაფიკი 4.1ა: შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი მამაკაცებისა და ქალების და ერთსულიანი შინამეურნეობის უფროსი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ასაკის მიხედვით	30
გრაფიკი 4.1ბ: შინამეურნეობების პროცენტული წილი კონკრეტული ასაკისა და სქესის პირველად ჩაწერილი პირის მიხედვით	31
გრაფიკი 5.1: მამაკაცებისა და ქალების ნაყოფიერება, ასაკის მიხედვით, იმ შინამეურნეობაში, რომლის წევრებიც არიან 1 წლამდე (0 წლის) ასაკის ბავშვები და რომელშიც ორივე მშობელი, დედაც და მამაც წარმოდგენილია	36
გრაფიკი 5.2: ცოცხლად დაბადებულთა საშუალო რაოდენობა ქალზე, ასაკის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის მიხედვით	41
გრაფიკი 7.1ა-ვ: ჯანმრთელობის დარღვევებისა და შეზღუდვების მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	48
გრაფიკი 10.1: საქართველოში მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროები (შემოსავალი სამუშაოდან, პენსიებიდან, სხვათა შემოსავლებზე დამოკიდებული), ასაკის მიხედვით	62
გრაფიკი 13.1: საქალაქო და სასოფლო დასახლებებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების შედარება ასაკის მიხედვით; საქართველოსა (იასამნისფერი მრუდები) და რუსეთის ფედერაციაში (ნაცრისფერი მრუდები); 2014 და 2012 წლები, შესაბამისად	79

ცხრილები

ცხრილი 3.1: 15-17 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი, რეგიონების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის (ყველა ტიპის ქორწინება ან მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება) მიხედვით	9
ცხრილი 3.2: 18 წლამდე ასაკში დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი, 20-24 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების საერთო რაოდენობაში	10
ცხრილი 3.3: 15-17 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების პროცენტული წილი, ეთნიკური წარმომავლობის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის მიხედვით	12
ცხრილი 3.4: 15-17 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების პროცენტული წილი, აღმსარებლობის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის მიხედვით	12
ცხრილი 3.5: საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული იმ ქორწინებების პროცენტული წილი, რომელთა რეგისტრირებისას წყვილიდან ერთ-ერთი (ქალი ან მამაკაცი) 18 წლამდე ასაკის იყო	13
ცხრილი 3.6: 40-44 წლის მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში	15
ცხრილი 3.7ა: ქალების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	16
ცხრილი 3.7ბ: მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	17
ცხრილი 3.8: 15 წელზე უფროსი ასაკის განქორწინებული ქალებისა და მამაკაცების რიცხოვნობა და პროცენტული წილი, რეგიონების მიხედვით	20
ცხრილი 3.9: 30-დან 59 წლამდე ასაკის განქორწინებული ქალებისა და მამაკაცების პროცენტული წილი, რეგიონებისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	21
ცხრილი 3.10: განქორწინებათა რაოდენობა, მეუღლეთა საშუალო ასაკი განქორწინებისას და ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, 2002-2015 წწ.	23
ცხრილი 3.11: განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები ყოველ 1 000 მოსახლეზე, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010-2013 წწ.	24
ცხრილი 3.12: მეუღლესთან ერთად მცხოვრები ქალების პროცენტული წილი, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით და მეუღლესთან შედარებით განათლების დონის (თანაბარი, უფრო დაბალი ან უფრო მაღალი) მიხედვით	26
ცხრილი 3.13: ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ქორწინებების პროცენტული წილი, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	27
ცხრილი 4.1: შინამეურნეობის შემადგენლობის კატეგორიები, შინამეურნეობის მამრობითი და მდედრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების მიხედვით	32
ცხრილი 4.2: 0-9 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა და მათი პროცენტული წილი, იმის მიხედვით ცხოვრობენ ისინი ერთ თუ ორივე მშობელთან ერთად, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	34

ცხრილი 5.1: 15 წელზე უფროსი ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში და ჰყავთ ბავშვები, რეგიონებისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	37
ცხრილი 5.2: 40-44 წლის იმ უშვილო ქალების პროცენტული წილი, რომლებიც ერთხელ მაინც იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ქორწინებითი მდგომარეობისა და ქორწინების ტიპის მიხედვით	39
ცხრილი 5.3: 25-29, 30-34 და 35-39 ასაკობრივი ჯგუფის ქალები, ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და დასაქმების სტატუსის მიხედვით	41
ცხრილი 6.1ა: საქართველოში მცხოვრები მამაკაცების მოკვდაობის ცხრილი, 2010-2014 წწ.; ასაკის მიხედვით მოკვდაობა და მოსახლეობის მნიშვნელები გადაანაგარიშების მიხედვით	44
ცხრილი 6.1ბ: საქართველოში მცხოვრები ქალების მოკვდაობის ცხრილი, 2010-2014 წწ.; ასაკის მიხედვით მოკვდაობა და მოსახლეობის მნიშვნელები გადაანაგარიშების მიხედვით	45
ცხრილი 6.2: მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010-2014 წწ.	46
ცხრილი 7.1: კონკრეტული შებლუდული შესაძლებლობის (მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა) მქონე 6-15 წლის ასაკის იმ ბიჭებისა და გოგოების პროცენტული წილი, რომლებიც არ დადიან სკოლაში, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	51
ცხრილი 7.2: კონკრეტული შებლუდული შესაძლებლობის (მნიშვნელოვანი ან სრული შებლუდვა) მქონე 6-15 წლის ასაკის იმ ბიჭებისა და გოგოების პროცენტული წილი, რომლებიც არ ირიცხებიან სკოლაში, ქ. თბილისისა (დაბალი მაჩვენებელი) და გურიის (მაღალი მაჩვენებელი) რეგიონებში	52
ცხრილი 7.3: 25-44 წლის დაუქორწინებელი, კონკრეტული შებლუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	52
ცხრილი 7.4: ოფიციალურად დადასტურებული შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა, სქესისა და რეგიონების მიხედვით	54
ცხრილი 8.1: 25-34 წლის მოსახლეობის პროცენტული წილი განათლების მიღწეული დონის მიხედვით და სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	57
ცხრილი 9.1: იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს და რომლებიც ქართულ ენაზე საუბრობენ, მშობლიური ენის, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	59
ცხრილი 9.2: დაწყებითი საშუალო ან უფრო დაბალი დონის განათლების მქონე იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს და რომლებიც ქართულ ენაზე საუბრობენ, მშობლიური ენის, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	59
ცხრილი 11.1: მამაკაცებისა და ქალების განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით და თითოეულ კატეგორიაში უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	64
ცხრილი 11.2: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დასაქმების სხვადასხვა კატეგორიებში, ასაკობრივი ჯგუფებისა და განათლების დონის (ყველა დასაქმებული და უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულები) მიხედვით	66

ცხრილი 12.1: მოქალაქეობის მქონე ემიგრანტები და იმიგრანტები, 2014 წლის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით	72
ცხრილი 12.2: საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, დანიშნულების ქვეყნების მიხედვით	73
ცხრილი 12.3: განათლების მიღების მიზნით საქართველოდან ემიგრირებული პირების პროცენტული წილი, დანიშნულების ქვეყნების მიხედვით	75
ცხრილი 12.4: საქართველოში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა, წლებისა და სქესის მიხედვით	76
ცხრილი 13.1: ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მამაკაცები და ქალები, ასაკის მიხედვით, ასაკთან დაკავშირებული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები	78
ცხრილი 13.2: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში	78

წინასიტყვაობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი წარმოგიდგენთ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნილ მონოგრაფიას სახელწოდებით: *2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში*.

2014 წლის აღწერის შედეგად მიღებულ იქნა უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, არსებობის საშუალებათა წყაროების, საცხოვრისების და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით წინამდებარე მონოგრაფია

ანალიზებს ქორწინებას, შობადობას, განათლებას, შეზღუდულ შესაძლებლობებს, მიგრაციას, სახელმწიფო ენის ფლობას, შინამეურნეობის შემადგენლობასა და ეკონომიკურ აქტიურობას გენდერულ ჭრილში.

წინამდებარე მონოგრაფია არის გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის მოსახლეობის დინამიკის მონაცემებზე დაყრდნობით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესის ხელშეწყობისთვის.

მადლობა

ავტორები მადლობას უხდიან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და მის წარმომადგენლებს – ბ-ნ თენგიზ ცეკვაძას, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს და ბ-ნ პაატა შავიშვილს, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსს. ასევე, განსაკუთრებული მადლობა ეძღვნება მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს – ქ-ნ შორენა წიკლაურს წინამდებარე ანგარიშისთვის, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მოწოდებისთვის და ასევე, მონოგრაფიის შინაარსის დახვეწის, მონაცემების განმარტვის და მათი თვალნათლივ წარმოჩენისათვის.

წინამდებარე ანგარიში ასევე წარმოადგენს გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის თანამშრომლების შრომის და მხარდაჭერის შედეგს. ავტორები გულწრფელ მადლობას უხდიან ფონდის ხელმძღვანელს – ქ-ნ ლელა ბაქრაძესა და პროგრამის თანაშემწეს – ქ-ნ ანა ცქიტიშვილს.

მონოგრაფია გამდიდრდა მოსახლეობისა და განვითარების საკითხებში გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მრჩევლის – ბ-ნ ედუარდ იონგსტრას მოსაზრებებით, რისთვისაც მას ავტორები მადლობას უხდიან.

შემოკლებები

CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
EECA	აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია
GEL	ქართული ლარი
GERHS	ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში
GGI	გენდერული სხვაობის ინდექსი
GGI	ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევა
GII	გენდერული უთანასწორობის ინდექსი
MICS	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია
PSA	მოსახლეობის სიტუაციური ანალიზი
SIGI	სოციალური ინსტიტუტები და გენდერის ინდექსი
SMAM	ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი
TFR	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
UNCRPD	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი
UNPD	გაეროს მოსახლეობის განყოფილება
WEOI	ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
WMS	კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევა
WVS	მსოფლიო ღირებულებების კვლევა
გადაანგარიშება	(აქ:) 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
იგბ	იძულებით გადაადგილებული პირი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

საქართველოს ადმინისტრაციული რუკა



მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის (შემდგომში „მოსახლეობის აღწერა“) შედეგების საფუძველზე, წინამდებარე მონოგრაფიაში გენდერულ ჯრილში არის გაანალიზებული ქორწინება, შობადობა, განათლება, შემლუდული შესაძლებლობები, მიგრაცია, სახელმწიფო ენის ფლობა, შინამეურნეობის შემადგენლობა და ეკონომიკური აქტიურობა. აღნიშნული საკითხები, იქ სადაც ამის საშუალება არსებობს, განხილულია ასაკობრივი ჯგუფების, დასახლების ტიპების, რეგიონების, ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის ჯრილში. ქვემოთ მოკლედ მოცემული კვლევის ძირითადი შედეგები ამ პარამეტრების მიხედვით.

- საერთო ჯამში, საქართველოში ქალების 57,4 და მამაკაცების 64,6 პროცენტი დაქორწინებულია. იმ მამაკაცთა რაოდენობა, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ნაკლებია (9,0 პროცენტი), ვიდრე ქალების (13,8 პროცენტი). ასაკის მიხედვით, ქორწინებაში მყოფი პირების პროცენტული წილის საფუძველზე, მოსახლეობის აღწერის შედეგად ვასკვნი, რომ საქართველოში მამაკაცები უფრო გვიან ქორწინდებიან (25,9 წელი), ვიდრე ქალები (22,0 წელი). მოსახლეობის აღწერის შედეგად აგრეთვე ვლინდება ის, რომ განათლების მიღების ხანგრძლივობა ქალებში იწვევს ქორწინების გადავადებას. ქალები, რომლებიც დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს ფლობენ ქორწინდებიან საშუალოდ 26,3 წლის ასაკში, ბაკალავრის ხარისხის მფლობელი ქალები - 24,4 წლის ასაკში, ზოგადი განათლების დიპლომის მქონე ქალები - 21,8 წლის ასაკში მაშინ, როცა ქალები, რომელთა განათლებაც ზოგადი განათლების მხოლოდ დაწყებითი საფეხურით შემოიფარგლება, ქორწინდებიან 18,7 წლის ასაკში.

- ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემა კვლავ აქტუალურია საქართველოში. მსგავსი ქორწინებების შემთხვევები უფრო ხშირია სასოფლო დასახლებებში (10,9 პროცენტი), ვიდრე საქალაქო დასახლებებში (4,4 პროცენტი), ხოლო საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მსგავსი ქორწინებების რაოდენობა ყველაზე მცირეა. მუსლიმთა კანონებითა და ადათ-წესებით უფრო დასაშვებია ადრეულ ასაკში ქორწინება და შედეგად, ამგვარი ქორწინებები უფრო გავრცელებულია ამ ჯგუფში: 18 წლამდე ასაკის მუსლიმი გოგოების 19,6 პროცენტი ქორწინებაში იმყოფება.
- 30-59 წლის ასაკის მოსახლეობაში უფრო მეტი ქალია განქორწინებული (6,1 პროცენტი), ვიდრე მამაკაცი (3,4 პროცენტი). განქორწინებულთა შორის ქორწინების ხანგრძლივობა საშუალოდ 11-13 წელს შეადგენს. მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობებს შორის დაახლ. 8 წლიანი სხვაობა განაპირობებს ქვრივ მამაკაცებთან შედარებით (3,4 პროცენტი) მეტი ქვრივი ქალის (18,3 პროცენტი) არსებობას. გარდა ამისა, მამაკაცები უფრო ხშირად ქორწინდებიან ხელახლა (10,9 პროცენტი), ვიდრე ქალები (8,9 პროცენტი). ქვრივი მამაკაცების სიმცირე და მამაკაცების ხელახლა დაქორწინების უკეთესი შანსები მეუღლესთან თანაცხოვრების მაჩვენებლების თვალსაზრისით იწვევს სქესთა შორის სხვაობას (ქალების 57,4 და მამაკაცების 64,6 პროცენტი ცხოვრობს მეუღლესთან ერთად).
- დაქორწინებული წყვილების ნახევარს განათლების ერთნაირი მიღწეული დონე აქვთ (56,3 პროცენტი). მიუხედავად იმისა, რომ 25 წლამდე ასაკის ქალებს შედარებით უფრო დაბალი განათლების დონე აქვთ, ვიდრე მათ მეუღლეებს, 25 წელზე უფროსი ასაკის ქალები, პირიქით, მეუღლეებთან

შედარებით უფრო მაღალი განათლების დონით გამოირჩევიან.

- საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე ქორწინდება, რომელსაც თვითონ მიეკუთვნება. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის 97,5 პროცენტი ქართველზეა დაქორწინებული, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის 97,6 პროცენტი - აზერბაიჯანელზე. მცირედით განსხვავებული ვითარებაა ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში, რადგან მათი მხოლოდ 75,5 პროცენტია დაქორწინებული იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე. სხვა, შედარებით მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ნაკლებად ქორწინდებიან იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე (33,9 პროცენტი). ქორწინების ეთნიკური ერთგვაროვნება უფრო ხშირია სოფლის მოსახლეობაში (98,4 პროცენტი), ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში (95,7 პროცენტი).
- უშვილობა ნაკლებად გავრცელებული მოვლენაა საქართველოში. მოსახლეობის აღწერის კორექტირებული მონაცემების თანახმად, 40-44 წლის ასაკის ქალების 14,0 პროცენტი უშვილოა. შობადობა საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ქორწინებას და 40-44 წლის ასაკის იმ ქალებს შორის, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, მხოლოდ 3,7 პროცენტს ჰყავს გაჩენილი ბავშვი. შობადობა უფრო მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში.
- საქართველოში 100 113 პირს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობით 4 კატეგორიად იყოფა: სრული შეზღუდვა, მნიშვნელოვანი შეზღუდვა, მცირედი შეზღუდვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ამ ჯგუფებში ქალების პროცენტული წილი 45-დან 49,6 პროცენტამდე მერყეობს. ამასთანავე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 40 პროცენტი მდედრობითი სქესისაა. შესაძლებლობების შეზღუდვა ბავშვებს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის განათლების მიღების კუთხით.

საქართველოში, 6-15 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც არ დადიან სკოლაში, 0,7-1,4 პროცენტს შეადგენენ მაშინ, როცა ჯანმრთელობის დარღვევის მქონე ბავშვების დაახლ. 50 პროცენტი გამოთიშულია სასწავლო პროცესიდან. ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, ბავშვების სკოლაში დასწრების მაჩვენებელი მაღალია ქ. თბილისსა და აჭარაში. სკოლაში დასწრება უფრო დაბალია გოგოებში (36,8 პროცენტი, 2015-16 წლებში), ვიდრე ბიჭებში (63,2 პროცენტი).

- 2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში 4 927 (გოგოების 37,4 და ბიჭების 62,6 პროცენტი), ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში 4 277 (გოგოების 36,8 და ბიჭების 63,2 პროცენტი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვი დადიოდა სკოლაში. შშმ ბავშვების მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობამ შეძლო სკოლის დამთავრება (79 ბავშვა 2014-2015 სასწავლო წელს და 92 ბავშვა 2015-2016 სასწავლო წელს). როგორც დასწრების, ასევე სკოლის დამთავრების მაჩვენებლის თვალსაზრისით ბიჭების რაოდენობა აჭარბებს გოგოების რაოდენობას, თუმცა სკოლის კურსდამთავრებული ბიჭებისა და გოგოების რაოდენობებს შორის სხვაობა ძალიან დიდი არ ყოფილა არც 2014-2015 სასწავლო წელს (გოგოების 46,8 და ბიჭების 53,2 პროცენტი) და არც 2015-16 სასწავლო წელს (გოგოების 43,5 და ბიჭების 56,5 პროცენტი).
- ჯანმრთელობის დარღვევები ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ქორწინებას. 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაუქორწინებელთა წილი 15-30 პროცენტს შეადგენს მაშინ, როცა ჯანმრთელობის დარღვევების მქონე პირებს შორის დაუქორწინებელია 30-77 პროცენტი.¹ როგორც ირკვევა, პარტნიორის პოვნა უფრო მარტივია სენსორული დარღვევებისა და გადაადგილების პრობლემების მქონე

¹ პროცენტული მაჩვენებლების ამგვარი დიდი შუალედი ასახავს განსხვავებას სხვადასხვა სქესისა და შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის მქონე პირებს შორის: 30 პროცენტი ასახავს ქალებს, ვისაც მხედველობის დარღვევა აღენიშნებათ, ხოლო 77 პროცენტი - ქალებს, ვისაც კომუნიკაციის შეზღუდვა აღენიშნებათ. სრული მონაცემები იხილეთ ცხრილში 7.3.

შშმ პირებისთვის, ვიდრე მათთვის, ვისაც შემეცნებითი ფუნქციის დარღვევა და თვითმომსახურების პრობლემები აქვთ. ამ თვალსაზრისით სქესთა შორის სისტემატური სხვაობა არ იკვეთება. ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობა ზრდის ქალების პარტნიორის გარეშე დარჩენის ალბათობას მაშინ, როცა ზოგიერთი - მამაკაცებს ტოვებს პარტნიორის გარეშე.

- ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საქართველოში განათლების მიღებისა და კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. ქართული ენის ფლობის კუთხით მნიშვნელოვანი სხვაობები ფიქსირდება ეთნიკურ ჯგუფებს შორის და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. ამ მხრივ ყველაზე უარესი სიტუაცია ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში შეინიშნება. ამ ეთნიკური ჯგუფის ქალების მხოლოდ 17,2, ხოლო მამაკაცების 26,4 პროცენტი ფლობს ქართულ ენას. რიცხოვნობის თვალსაზრისით რიგით მეორე ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ სომხები - აქ შესაბამისი მაჩვენებლები ქალებისათვის შეადგენს 46,4, ხოლო მამაკაცებისთვის - 47,4 პროცენტს.
- საერთო ჯამში საქართველოში მცხოვრები ქალების განათლების მიღწეული დონე უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცების: 15 წელზე უფროსი ასაკის ქალების 30 და მამაკაცების 27 პროცენტს აქვს ბაკალავრის ან უფრო მაღალი განათლების დონე.
- მარტოხელა ქალების რაოდენობა (30,6 პროცენტი) აღემატება მარტოხელა მამაკაცების რაოდენობას (10,1 პროცენტი). საქალაქო დასახლებებში 9 წლამდე ასაკის ბავშვების 80,4 პროცენტი და სოფლებში იგივე ასაკის ბავშვების 85,7 პროცენტი ცხოვრობს ორივე მშობელთან ერთად. საქალაქო დასახლებებში, ბავშვების 4,4 პროცენტი და სოფლებში მცხოვრები ბავშვების 5,2 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობებში ორივე მშობლის გარეშე. ქალაქის შინამეურნეობების 13,7 პროცენტისა და სოფლის შინამეურნეობების 7,7 პროცენტის

შემთხვევაში, ბავშვები ცხოვრობენ მხოლოდ დედებთან ერთად. ასევე, ქალაქის შინამეურნეობების 1,5 პროცენტისა და სოფლის შინამეურნეობების 1,4 პროცენტის შემთხვევაში, ბავშვები ცხოვრობენ მხოლოდ მამებთან ერთად.

- მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შემდეგ გაიზარდა სხვაობა მამაკაცებსა და ქალებს შორის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თვალსაზრისით. ასაკის მიხედვით კორექტირებული მოკვდაობის სტატისტიკისა და ასაკის მიხედვით მოსახლეობის გადაანგარიშების (2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება) თანახმად ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შეადგენს 76,54 წელს, ხოლო მამაკაცების - 67,72 წელს (2010-2014 წ.).
- საქართველოში, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლები ქალია დასაქმებული, თუმცა სქესთა შორის სხვაობა დიდი არ არის დაქირავებით მომუშავეთა შორის: 356 865 მამაკაცი და 327 733 ქალმა განაცხადა, რომ მიეკუთვნებოდნენ ამ კატეგორიას. ამავდროულად, გაცილებით მეტი მამაკაცი (95 453), ვიდრე ქალი (35 511) არის თვითდასაქმებული. სხვაობა ასევე საგრძნობლად დიდია საკუთარი საწარმოს ფლობის თვალსაზრისით: 32 865 მამაკაცი და მხოლოდ 23 313 ქალი ფლობს საკუთარ საწარმოს.
- ეკონომიკურად ყველაზე აქტიური ასაკის (30-59 წლის) მამაკაცების დაახლ. ერთ მესამედს არ აქვს სამუშაოდან მიღებულ შემოსავალი - მათი 10-15 პროცენტი იღებს პენსიას, სოციალურ დახმარებას ან სხვა ტიპის სახელმწიფო შემწეობას. სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებს შორის ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცებისას (397 053 ქალი და 205 456 მამაკაცი, შესაბამისად), რის მიზეზსაც წარმოადგენს მამაკაცებისა და ქალების საპენსიო ასაკებს შორის 5 წლიანი სხვაობა და ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობებს შორის არსებული 7,23 წლიანი სხვაობა. პენსიების მსგავსად, მეტი ქალი იღებს სოციალურ დახმარებას (69

600 პირი), მამაკაცებთან შედარებით (60 360 პირი).

- მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის აღწერის საშუალებით ამის თაობაზე ზუსტი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია, მისი შედეგები იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლები შემოსავალი აქვთ. მამაკაცებისა და ქალების ხელფასებს შორის სხვაობის ანალიზისას გამოიყენება ორი მიდგომა: ერთი ყურადღებას ამახვილებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივ თანაფარდობაზე (წინამდებარე მონოგრაფიაში აღნიშნული თანამდებობები მოიაზრებენ აღმასრულებელ ფუნქციას); ხოლო მეორე მიდგომა გულისხმობს შრომით ბაზარზე ჰორიზონტალურ სეგრეგაციას, ვინაიდან ქალები უფრო ხშირად დაბალანაზღაურებად თანამდებობებზე გვევლინებიან. მოსახლეობის აღწერის შედეგები არ იძლევა ინფორმაციას ვერტიკალური სეგრეგაციის თაობაზე, ე.ი. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული ქალების შესახებ, თუმცა შესაძლებელია პროფესიების მიხედვით სქესთა განაწილების შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება. მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება ე.წ. „მამაკაცებისა“ (მაგ., მძღოლები, ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები, სამთო-მოპოვებითი და მშენებლობის სფეროს მუშახელი) და „ქალების“ (მაგ., მასწავლებლები, სამედიცინო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტები, მომსახურების სფეროს სპეციალისტები) დასაქმების სფეროები. ამასთან, ე.წ. „ქალების“ დასაქმების სფეროები, როგორც წესი, უფრო დაბალანაზღაურებადია, ვიდრე „მამაკაცების“.
- მიგრანტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ოჯახის რჩენაში. მამაკაცებთან შედარებით ემიგრანტი ქალების უფრო დიდი წილი (56,4 პროცენტი) უგზავნის ოჯახს ფულად გზავნილებს. განქორწინების

ან დაქვრივების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მცირდება მიგრანტი მამაკაცების ფინანსური ვალდებულებები ოჯახის წინაშე. ემიგრაციაში მყოფი განქორწინებული მამაკაცების მხოლოდ 39,8 პროცენტი და ქვრივი მამაკაცების 52,9 პროცენტი უზრუნველყოფს ოჯახს ფულადი გზავნილებით მაშინ, როცა ქორწინებაში მყოფი ემიგრანტი მამაკაცების 55,6 პროცენტი უგზავნის საკუთარ ოჯახებს ფულს. რაც შეეხება ქალებს, მათი ვალდებულებები, განქორწინების ან დაქვრივების შემთხვევაში, იზრდება: ქორწინებაში მყოფი ემიგრანტი ქალების 61,7 პროცენტი, განქორწინებული ემიგრანტი ქალების 66,6 პროცენტი და ქვრივი ემიგრანტი ქალების 71,8 პროცენტი უგზავნის საკუთარ ოჯახს ფულად გზავნილებს. ქალებსა და მამაკაცებს შორის სხვაობის თვალსაზრისით, მსგავსი ვითარებაა იმ პირების შემთხვევაშიც, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში: ემიგრანტი ქალების 56,4 პროცენტი, ხოლო მამაკაცების მხოლოდ 33,6 პროცენტი ესმარება ფინანსურად საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებს.

- მიგრანტებს შორის ყველაზე დიდ ჯგუფს, სავარაუდოდ, ქმნიან ეკონომიკური მიგრანტები, მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობების 11,0 პროცენტმა განაცხადა, რომ მათი ოჯახის წევრი საზღვარგარეთ სასწავლებლად იმყოფებოდა. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულთა უმრავლესობა ირჩევს გერმანიას (32,9 პროცენტი), აშშ-სა (10,6 პროცენტი) ან რუსეთს (6,9 პროცენტი).
- 2014 წელს საქართველოში აღწერილი იქნა 227 733 იძულებით გადაადგილებული პირი (იგპ), აქედან 53,6 პროცენტი იყო ქალი. იძულებით გადაადგილებულ ქალებს შორის ქვრივებისა (18,1 პროცენტი) და განქორწინებულების (5,2 პროცენტი) პროცენტული წილი გაცილებით მაღალია, ვიდრე იგპ მამაკაცებს შორის (3,0 და 2,4 პროცენტი, შესაბამისად) და მცირედით მაღალია, ვიდრე ყველა ასაკის მთლიან მოსახლეობაში.
- მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება

სასოფლო და საქალაქო დასახლებებში მამაკაცებისა და ქალების განაწილების თვალსაზრისით. მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი გაცილებით დაბალია საქალაქო დასახლებებში (85,9), ვიდრე სასოფლო დასახლებებში (99,1). აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საქალაქო დასახლებებში ქალებს მეტი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე სასოფლო დასახლებებში.

ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი რაოდენობრივი მონაცემების მიწოდების საშუალებით, წინამდებარე მონოგრაფია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ფუნქციას შეასრულებს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, ასევე მკვლევარებისათვის.



1. შესავალი

წინამდებარე მონოგრაფიის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე საქართველოში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება. მონოგრაფია იკვლევს საქართველოს მოსახლეობის ქორწინებით მდგომარეობას, შობადობას, ოჯახის სტრუქტურას, განათლების მიღწეულ დონეს, მოკვდაობას, მიგრაციას, შებენიერებას და დასაქმებულებს, ეკონომიკურ აქტიურობასა და დასაქმებულებს. საქართველოში (და კავკასიის სხვა ქვეყნებში) დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის საკითხი, რომელიც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა, არ არის განხილული აქ, ვინაიდან მას ცალკე მონოგრაფია ეძღვნება. წინამდებარე მონოგრაფიაში ასევე არ არის განხილული ახალგაზრდებთან და ხანდაზმულებთან (60 წელზე უფროსი ასაკის) დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც, ასევე, ცალკე მონოგრაფიები ეთმობათ.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა წარმოებდა 5-დან 19 ნოემბრამდე და იგი მოიცავდა, აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) გარდა (ჯამში 13 000 კმ² ტერიტორიისა), საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 82 პროცენტს (57 000 კმ²). წინამდებარე ანგარიშში შესული ინფორმაცია, რომელიც 2014 წლის მონაცემებს ასახავს, ეფუძნება მოსახლეობის აღნიშნული აღწერის შედეგებს და შესაბამისად, მხოლოდ იმ ტერიტორიის მონაცემებს, რომელიც აღნიშნულ მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობდა. მისი მასშტაბისა და შინაარსიდან გამომდინარე, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა წარმოადგენს ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უნი-

კალურ წყაროს. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად შესაძლებელი გახდა უახლესი ინფორმაციის მოპოვება მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივი თუ ასაკობრივი სტრუქტურის, მოსახლეობის დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის, არსებობის საშუალებათა წყაროების, საცხოვრისების და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

გასული ათი წლის განმავლობაში, გაეროს მოსახლეობის ფონდი დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) შესაძლებლობის გაძლიერების საქმეში. ეს მიზნად ისახავდა საქსტატის მიერ ისეთი მასალისა თუ მტკიცებულებების მოპოვებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას, მათ შორის გენდერის საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და უნდა განხორციელდეს მოსახლეობის დინამიკასთან და მდგრად განვითარებასთან მისი ურთიერთკავშირის ანალიზის საფუძველზე.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერას ხელმძღვანელობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და აღნიშნული აღწერა ჩატარდა გაეროს მოსახლეობის ფონდის, შვედეთის მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

მოსახლეობის აღწერა, ზოგადად, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გენდერის საკითხებზე მონაცემების მოპოვების თვალსაზრისით, თუმცა ამ გზით მოპოვებულ ინფორმაციას გარკვეული ხარვეზებიც გააჩნია. აღწერის მონაცემების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის მთლიან მოსახლეობას მოიცავს და ამავდროულად, დეტალებზეც იძლევა ინფორმაციას. ამგვარად, შესაძლებელია მამაკაცებისა და

ქალების შესახებ მონაცემების შედარება უმცირესი სტატისტიკური ელემენტების დონეზე, როგორცაა კონკრეტული დასახლებული პუნქტები ან დასახლების სფეროები. მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწერის მონაცემები გენდერის საკითხების მხოლოდ ნაწილს მოიცავს. მოსახლეობის აღწერა არ იძლევა ისეთი საკითხების კვლევის შესაძლებლობას, როგორცაა ოჯახში ძალადობა ან შობადობის რეგულირება, რადგანაც ეს თემატიკა ძალიან პირადული და სენსიტიურია და რადგანაც მოსახლეობის აღწერის ფარგლებში, როგორც წესი, ინფორმაციის მოპოვება წარმოებს შინამეურნეობის ერთ-ერთი წევრის გამოკითხვის საფუძველზე, რომელიც ინფორმაციას იძლევა შინამეურნეობის ყველა წევრის შესახებ. დროის გამოყენების მონაცემები ზედმეტად რთული და დეტალურია იმისათვის, რომ მოსახლეობის აღწერაში იქნას ჩართული. მოსახლეობის აღწერა არ იძლევა შესაძლებლობას დაისვას კითხვები გენდერული როლების შესახებ პირადი მოსაზრებებისა და აღქმის თაობაზე. ამ უკანასკნელის გამო შეუძლებელია სრულყოფილი გენდერული ანალიზის წარმოება. თუმცა მოსახლეობის აღწერის საშუალებით შესაძლებელია სქესთა შორის სხვაობების დადგენა სხვადასხვა სოციალური მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა განმარტება და ახსნა უნდა მოხდეს გენდერის ჭრილში. ამგვარი გენდერული ანალიზისთვის საჭიროა ინსტრუმენტები, რომელთა მოპოვებაც სხვა წყაროებიდან უნდა მოხდეს (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2014 წ.).

ვინაიდან მოსახლეობის აღწერა არ მოიცავს კითხვებს, რომლებიც კონკრეტულად გენდერული საკითხების ანალიზის საშუალებას იძლევა, აღწერის შედეგების გენდერული ანალიზი მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს სხვა ისეთი საკითხების ანალიზის თანაპროდუქტს, როგორცაა ქორწინებითი მდგომარეობა, შობადობა თუ მოსახლეობის განათლების დონე. თუმცა ეს თემები საკმაოდ მასშტაბურია და მათი დანიშნულება არ შემოიფარგლება მხოლოდ გენდერული კვლევით, არამედ მოიცავს საკვლევი საკითხების უფრო ფართო სპექტრს. აღნიშნულის გამო, საჭირო გახდა

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილული ზოგადი საკითხების მეტ-ნაკლებად შეკვეცა. მაგ., გაცილებით მეტი შეიძლება ითქვას ბოლო წლებში საქართველოში არსებული შობადობის ტენდენციების შესახებ და იმაზე, თუ რა ზემოქმედება იქონია ამ ტენდენციებზე ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა სიტუაციამ. კონკრეტულად, 2008 წლის შემდეგ, ქვეყანაში დაფიქსირებული შობადობის მატება უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. თუმცა წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში შობადობასთან დაკავშირებული საკითხები შემოიფარგლება კონკრეტულად გენდერთან დაკავშირებული ასპექტებით, როგორცაა უშვილობა, კავშირი შობადობასა და ქალების განათლების დონეს შორის, სამუშაო ძალაში მათი ჩართულობა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობა. ვინაიდან მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები არ იძლევა ამ საკითხების დეტალური კვლევის საშუალებას, რიგ შემთხვევაში და იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, გამოყენებულია მონაცემთა დამატებითი წყაროები, რომელიც ამდიდრებს და სრულყოფს მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემებს. მაგ., ქორწინების შესახებ მონაცემთა სრულყოფის მიზნით გამოყენებულია სა-მოქალაქო რეესტრის მონაცემები, რომელიც მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ დამატებით ინფორმაციას იძლევა.

საქართველოში, ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზოგადად დაბალია. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. ქალებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც პირად ცხოვრებას ეხება. მოსახლეობის მხოლოდ ნახევარი (ქალების 62 და მამაკაცების 37 პროცენტი) მიიჩნევს, რომ მეუღლეებმა ერთობლივად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ოჯახში მაშინ, როცა ქალების 36 პროცენტი და მამაკაცების 62 პროცენტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ მამაკაცმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2013 წ.). ქალებს არ შესწევთ ძალა მიიღონ გადაწყვეტილებები მთელ

რიგ მნიშვნელოვან საოჯახო საკითხებზე. ქალებისა და მამაკაცების განცხადებით, მათ თანაბრად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილება, დასვენების დაგეგმვა და შვილების აღზრდა, თუმცა მამაკაცები ქალებზე გაცილებით მეტ უფლებამოსილებას ფლობენ როცა საქმე ეხება დასაქმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, რაც ხშირად სამუშაო ძალაში ქალთა დაბალი ჩართულობის მიზეზს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი არ აძლევს ქალებს საშუალებას მოიპოვონ ძალაუფლება, ვინაიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობა განსაზღვრავს თუ ვის აქვს მეტი ძალაუფლება ოჯახში (ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევა, 2011 წ.).

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წელს, ადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს. საქართველოს პარლამენტი და გენდერული თანასწორობის საბჭო (რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ) პასუხისმგებელია ამ კანონის განხორციელებაზე. აღნიშნულმა საბჭომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რომელიც თავდაპირველად მოიცავდა 2011-2013 წლების პერიოდს, შემდგომი გეგმა შემუშავდა 2014 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტის მიერ და მოიცავდა 2014-2016 წლების პერიოდს. გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და ჩამოაყალიბოს მიდგომები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. მან უნდა შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, შეიმუშაოს და დანერგოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და

შეფასების სისტემა. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია რეაგირება მოახდინოს გენდერული თანასწორობის დარღვევებზე.

2. გენდერული ურთიერთობები საქართველოში, საერთაშორისო ჭრილში

ბოლო წლებში შემუშავდა რაოდენობრივი მაჩვენებლების მთელი რიგი, რომლებიც შესაძლებელს ხდის გენდერული უთანასწორობის დონის მიხედვით ქვეყნების კლასიფიცირებას. ბენდელიანმა (2013 წ.) შეისწავლა არსებული სიტუაცია ყველაზე გავრცელებული საერთაშორისო მაჩვენებლების მიხედვით და ჩამოაყალიბა ამ მაჩვენებლების მიხედვით ქვეყნების რეიტინგი. ამ საერთაშორისო მაჩვენებლებს შორისაა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოღებული „გენდერული სხვაობის ინდექსი“ (GGI), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემოღებული „სოციალური ინსტიტუტები და გენდერის ინდექსი“ (SIGI) და ჟურნალ ეკონომისტის ანალიტიკური განყოფილების მიერ შემოღებული „ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი“ (WEOI). გაეროს განვითარების პროგრამის გენდერული უთანასწორობის ინდექსის (GII) მიხედვით, რომელიც უთანასწორობას იკვლევს რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებებისა და ეკონომიკური სტატუსის ჭრილში, 2014 წელს საქართველოს 77-ე ადგილი ეკავა 188 ქვეყანას შორის (გაეროს განვითარების პროგრამა, 2015 წ.). შედარებით უარესი პოზიცია უჭირავს ქვეყანას „გენდერული სხვაობის ინდექსის“ (GGI) მიხედვით, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოღებულ ინდექსს წარმოადგენს (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2015 წ.) და რომელიც ადგენს გენდერულ სხვაობას ეკონომიკური ჩართულობისა და შესაძლებლობების, განათლების, ჯანმრთელობისა და გადარჩენის და პოლიტიკური გაძლიერების თვალსაზრისით. აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველოს 82-ე ადგილი უკავია 145 ქვეყანას შორის. ყველაზე

უარესი მაჩვენებელი საქართველოში ფიქსირდება პოლიტიკური გაძლიერების ქვეინდექსის მიხედვით, რომლის მიხედვითაც საქართველოს 120-ე ადგილი უკავია. ქალების პროცენტული წილი საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში მცირეა. ქალები პარლამენტში მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენენ. კიდევ უფრო დაბალია ქალების პროცენტული წილი საკრებულოებში, რომელიც მხოლოდ 11,8 პროცენტს შეადგენს. რამდენიმე საპარლამენტო და არასაპარლამენტო საინიციატივო ჯგუფის მცდელობას, პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის ზრდის მიზნით კვოტირების სისტემის შემოტანასთან დაკავშირებით, შედეგი არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში 130-ზე მეტ ქვეყანაში ამ სისტემის შემოტანამ გაამართლა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძირითადად მამაკაცები არიან წარმოდგენილი. 2017 წელს 18 მინისტრიდან მხოლოდ 2 იყო ქალი.

„სოციალური ინსტიტუტები და გენდერის ინდექსის“ (SIGI) მიხედვით, საქართველოში გენდერული უთანასწორობა ვლინდება სამოქალაქო თავისუფლებების სფეროში და იმ ფაქტში, რომ ოჯახები ვაჟის დაბადებას ანიჭებენ უპირატესობას, გოგოსთან შედარებით. ოჯახში ძალადობა საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში, სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენა პოლიტიკაში ქალების ჩართულობის თვალსაზრისით უმნიშვნელოა, ამავე დროს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ხელშემწყობი კვოტების არარსებობა. ქვეყანაში მნიშვნელოვნად იზღუდება ქალების შესაძლებლობები ისეთი არაფორმალური ოჯახური ნორმების არსებობით, როგორცაა, მაგ., მამის სიტყვა და გავლენა ოჯახში. „სოციალური ინსტიტუტები და გენდერის


ინდექსის“ (SIGI) მიხედვით, საქართველოში არსებობს საკუთრების (გარდა მიწისა), მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივი სივრცის ხელმისაწვდომობის პრობლემები. „ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის“ (WEOI) მიხედვით, ქალების სამართლებრივი და სოციალური სტატუსისა და ფორმალური შრომითი პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველოს შედარებით მაღალი პოზიცია უკავია, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სხვა ქვეყნებს ფინანსების ხელმისაწვდომობისა² და ქალებისთვის ფაქტობრივი სამუშაო პირობების თვალსაზრისით.

საქართველოს მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებულ სიტუაციას ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა. საქართველოს მოსახლეობის ერთ მეოთხედზე ნაკლები (მამაკაცების 25 პროცენტი და ქალების 21 პროცენტი) მიიჩნევს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა უზრუნველყოფილია (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, 2014 წ.). მსოფლიო ღირებულებების კვლევის თანახმად, რომელიც საქართველოში 1996, 2009 და 2014 წლებში ჩატარდა, ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლა აღინიშნება. თანასწორობის მომხრეთა პროცენტული წილის წრფივ ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ, სამივე რაუნდის დროს, სამ დებულებას არ იზიარებს სულ უფრო და უფრო მეტი პირი, ეს დებულებებია: 1. „მთლიანობაში, მამაკაცები ქალებთან შედარებით


უკეთესი პოლიტიკური ღირებულებები არიან“; 2 „უმაღლესი განათლება მამაკაცისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალისათვის“; 3. „დიასახლისობა, თვითრეალიზაციის თვალსაზრისით უტოლდება ანაზღაურებად სამუშაოს“. მსოფლიო ღირებულებების 2014 წლის კვლევის შედეგად ორი დამატებითი ტენდენცია იკვეთება: თანასწორობის იდეა უფრო ფართოდ არის გავრცელებული ქალებში, ვიდრე მამაკაცებში და, ასევე, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებში.

² 2009 წელს ჩატარებული ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევის (GGS) თანახმად, შინამეურნეობის ბიუჯეტის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებების 61,7 პროცენტი ერთობლივად იქნა მიღებული მეუღლეების მიერ; 20,8 პროცენტი – მხოლოდ ქმრების მიერ და 15,3 პროცენტი მხოლოდ ცოლების მიერ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გენდერული უთანასწორობის დონე საქართველოში არ არის მაღალი.

გრაფიკი 2.1: მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არ ეთანხმებიან №1, №2 და №3 დებულებებს (იხ. ზედა აბზაცი) მსოფლიო ღირებულებების 1996, 2009 და 2014 წლების კვლევების მიხედვით



3. ქორწინებითი მდგომარეობა



ქორწინების საფუძველს წარმოადგენს პარტნიორების მიერ გარკვეული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია კულტურული ნორმებით. საქართველოში, ოჯახის წევრებს შორის როლების განაწილება შეესაბამება მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც მამაკაცის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ოჯახის რჩენა და გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო ქალის ფუნქციას ოჯახზე ზრუნვა (Narayan, 2000), ე.ი. ოჯახში მამაკაცს ინსტრუმენტული ფუნქცია ეკისრება, რაც გადარჩენას უკავშირდება, ხოლო ქალს - ექსპრესიული, რაც ოჯახში მორალის შენარჩუნებას უკავშირდება.

ყველა ტიპის საყოფაცხოვრებო საქმიანობის გათვალისწინებით, მათ შორის იმ საქმიანობისაც, რომლებიც ტრადიციულად მამაკაცის საქმიანობად მიიჩნევა (მაგ., ნივთების და ა.შ. შეკეთება სახლში და სახლის შემოგარენში), ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევა (GGS) ადგენს, რომ საქართველოში, საყოფაცხოვრებო საქმიანობაში მამაკაცების წილი ძალიან მცირეა და არ აღემატება 24 პროცენტს. თუმცა ერთად, მამაკაცებისა და ქალების 70 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან მამაკაცებსა და ქალებს შორის საყოფაცხოვრებო საქმიანობების არსებული გადანაწილებით. რესპოდენტთა თანახმად, მამაკაცები და ქალები მონაწილეობენ ბავშვების გაზრდაში; თუმცა ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული საქმიანობის უმეტეს ნაწილს ქალები ასრულებენ (Kachkachishvili & Nadaraia, 2014). 2006 წლის ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევის (GGS) და სხვაგან ჩატარებული მსგავსი კვლევების შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ საქართველოში შვილებზე ზრუნვის კუთხით მშობლებს შორის გენდერული

უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება.³ ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევის (GGS) შედეგების თანახმად, საქართველოში ოჯახებში დაფიქსირებული გენდერული უთანასწორობის მიუხედავად, მეუღლეები, ზოგადად, კმაყოფილი არიან პარტნიორთან ურთიერთობით, თუმცა მამაკაცების კმაყოფილების დონე მცირედით აღემატება ქალების კმაყოფილების დონეს: 10-ბალიან შკალაზე მეუღლეებთან ურთიერთობაში მამაკაცების კმაყოფილების დონეს საშუალოდ 9,1 ქულას შეადგენს, ხოლო ქალების - 8,7 ქულას.

ქორწინებისა და ოჯახის შექმნის და ასევე ოჯახში მამაკაცებისა და ქალების სოციალური როლების შესახებ ტრადიციული შეხედულებები ჯერ ისევ საკმაოდ მყარია საქართველოში. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (2013 წ.) ჩაატარა ამ შეხედულებების კვლევა წარმომადგენლობითი ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც ორივე სქესის 1 760 რესპოდენტისგან შედგებოდა. აღნიშნული კვლევის შედეგების თანახმად, ქართულ საზოგადოებას სჯერა, რომ ქორწინება ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია და ქორწინების გარეშე ცხოვრება არასრულფასოვანია. რესპოდენტთა 58 პროცენტმა, როგორც მამაკაცებმა, ასევე ქალებმა განაცხადეს, რომ „ცუდ“ ქორწინებაში ყოფნა ჯობია მარტოხელობას. ორივე სქესის რესპოდენტთა 70 პროცენტი თანხმდება იმაზე, რომ ქორწინებაში მყოფი ქალი უფრო ბედნიერია, ვიდრე მარტოხელა,

3 აღნიშნულთან დაკავშირებით ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი: (1) კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის საქართველოში გენდერული უთანასწორობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა და (2) ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ საქმიანობაში გენდერული დისბალანსი ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მეუღლეებს შორის საყოფაცხოვრებო საქმიანობების განაწილების შემთხვევაში მაშინ, როცა ყველა დანარჩენ ქვეყანაში, ეს ორი მაჩვენებელი პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ხოლო მათმა 92 პროცენტმა განაცხადა, რომ ქალის უმთავრეს ფუნქციას ოჯახის მოვლა წარმოადგენს. ამასთან, მამაკაცების 80 პროცენტმა და ქალების 66 პროცენტმა განაცხადა, რომ მუშაობა და ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა მამაკაცის მოვალეობას წარმოადგენს, ხოლო სახლისა და ოჯახის მოვლა - ქალის. უფრო მეტი მამაკაცი (62 პროცენტი) მიიჩნევს, რომ მამაკაცი უნდა იღებდეს ოჯახში გადაწყვეტილებებს მაშინ, როცა იგივე მოსაზრება გამოხატა ქალების 36 პროცენტმა.

მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ მონაცემებთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით მრავლად არის შესაბამის კითხვაზე პასუხისაგან თავის შეკავების შემთხვევები, განსაკუთრებით 20 წლამდე ასაკის მოსახლეობაში. 20 წლამდე ასაკის ქალების 17,5 პროცენტმა არ გასცა პასუხი კითხვას მათი ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ. შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი მცირედით დაბალია საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალთა შორის (14,9 პროცენტი) და მაღალია სოფლებში მცხოვრებ ქალთა შორის (21,4 პროცენტი). მამაკაცებს შორის, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და ჯამში 21,5 პროცენტს შეადგენს, ამასთან საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცთა შორის ის შეადგენს 19,0 პროცენტს, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 24,8 პროცენტს. მაღალია ალბათობა იმისა, რომ თითქმის ყველა ეს პირი დაუქორწინებელია და მათი ასაკის გამო არ მოხდა მათი ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ გრაფის შევსება, ვინაიდან პასუხი თავისთავად აშკარა იყო. თუმცა დარწმუნებით ამის განცხადება მაინც შეუძლებელია და შესაბამისად, გამოთვლების წარმოებისას მონაცემების სახით გამოყენებული იქნა მხოლოდ ის შემთხვევები, სადაც პასუხები იყო დაფიქსირებული და არ მოხდა პასუხგაუცემელი შემთხვევების გათვალისწინება.

მიუხედავად იმისა, რომ ქალების ქორწინების მიდიანურ ასაკი (იხ. ქვევით) დაახლ. 22,0 წელს შეადგენს, მოსახლეობის აღწერისას საკმაოდ ბევრმა 18 წლამდე ასაკის გოგონამ

განაცხადა, რომ ისინი ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ქვეყანაში 15-17 წლის ასაკის სულ 3 598 გოგონამ, ანუ იმ პირების საერთო რაოდენობის 7,5 პროცენტმა, რომლებმაც პასუხი გასცა კითხვას მათი ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ, განაცხადეს რომ იმყოფებოდნენ ქორწინებაში მოცემულ მომენტში ან წარსულში. როგორც მოსალოდნელი იყო, 15-17 წლის ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდა ქალების პროცენტული წილი გაცილებით მაღალი იყო სოფლის მოსახლეობაში (ქალების 10,9 პროცენტი), ვიდრე ამ ასაკის ქალაქის მოსახლეობაში (ქალების 4,4 პროცენტი). ამ ქორწინებათა დიდი უმრავლესობა არ იყო რეგისტრირებული, თუმცა სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 15-17 წლის ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდა ქალების 3,8 პროცენტი და საქალაქო დასახლებებში მცხოვრები იმავე ასაკის ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდა ქალების 1,5 პროცენტი, იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამ თვალსაზრისით გარკვეული სხვაობა ფიქსირდება რეგიონებს შორის, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში 3.1.

საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინების მაჩვენებლის შედარება სხვა ქვეყნების ანალოგურ მაჩვენებელთან ერთგვარად სირთულეს წარმოადგენს, ერთიანი მონაცემთა ბაზების არარსებობის გამო. გაეროს სტატისტიკის განყოფილების მიერ მომზადებულ დემოგრაფიულ წელიწდეულში ქორწინების მომენტში ქალებისა და მამაკაცების ასაკი 5 წლიან პირობით ინტერვალებად არის დაყოფილი, რომელზე დაყრდნობითაც შეუძლებელია 18 წლამდე ასაკში დაქორწინებულთა პროცენტული წილის განსაზღვრა. გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს ბავშვთა ფონდი და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ გამოყენებულია უფრო სტანდარტული ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს 20-24 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილს, რომლებიც 18 წლის ასაკამდე დაქორწინდნენ. აღნიშნული მაჩვენებლის გამოანგარიშებისთვის საჭიროა ინფორმაცია ქორწინების ასაკის შესახებ, რომლის შეგროვებაც არ წარმოებს

ცხრილი 3.1: 15–17 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი, რეგიონების, საქალაქო–სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის (ყველა ტიპის ქორწინება ან მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება) მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება
თბილისი	2,6	0,8	8,8	2,3	2,7	0,9
აჭარა	9,9	4,5	8,8	4,7	9,4	4,6
გურია	9,6	2,9	10,5	4,1	10,2	3,7
იმერეთი	5,7	2,0	8,2	3,0	6,9	2,5
კახეთი	9,0	1,7	13,5	4,1	12,4	3,5
მცხეთა მთიანეთი	3,2	0,6	5,0	0,9	4,5	0,8
რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2,5	1,3	3,4	0,4	3,1	0,6
სამეგრელო და ზემო სვანეთი	6,4	2,9	8,6	3,6	7,7	3,3
სამცხე–ჯავახეთი	4,9	1,3	6,8	2,6	6,2	2,2
ქვემო ქართლი	6,0	1,2	20,8	6,4	14,4	4,2
შიდა ქართლი	4,1	1,7	7,9	2,2	6,3	2,0
საქართველო	4,4	1,5	10,9	3,8	7,1	2,4

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა მოსახლეობის აღწერის დროს. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებლის გამოანგარიშება ხდება ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევისა (DHS) ან მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) მონაცემების საფუძველზე. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული მაჩვენებელი შემოღებული იქნა ისეთ ქვეყნებში გამოსაყენებლად, სადაც მაღალია ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები და, შესაძლებელია გარკვეული ცდომილება მოგვცეს⁴ აღმოსავლეთ ევროპის მსგავსი

ქვეყნების შემთხვევაში, რომლებშიც 20–24 წლის ასაკობრივი ჯგუფში დაქორწინებული ქალების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება. თუმცა ცხრილში 3.2 ეს მაჩვენებელი მოცემულია მონოგრაფიაში ინფორმაციის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით.

ადრეულ ასაკში ქორწინება ან ბავშვთა ქორწინება არის რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ–ერთს ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ანუ სრულწლოვანების ასაკისთვის. ბავშვთა ქორწინება მიიჩნევა ადამიანის უფლებების დარღვევად და ასევე,

4 შედარებისათვის ავიღოთ ორი ქვეყანა, აქედან ერთ ქვეყანაში ადრეულ ასაკში ქორწინების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება (18 წლამდე ასაკში – 15 პროცენტი; 18 ან 19 წლის ასაკში – 10 პროცენტი და 20–25 წლის ასაკში – 40 პროცენტი), ხოლო მეორე ქვეყანაში გავრცელებულია გვიან ასაკში ქორწინება, თუმცა მცირე რაოდენობით ფიქსირდება ადრეულ ასაკში ქორწინება (18 წლამდე ასაკში – 5 პროცენტი; 18 ან 19 წლის ასაკში – 3 პროცენტი და 20–25 წლის ასაკში – 10 პროცენტი). პირველი ქვეყნის შემთხვევაში აღნიშნული

მაჩვენებელი შედარებით მცირე იქნება, ვიდრე მეორე ქვეყნის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ქვეყანაში, იმ გოგონების პროცენტული წილი, რომლებიც 18 წლამდე ასაკში ქორწინდება, სამჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე პირველ ქვეყანაში.

ცხრილი 3.2: 18 წლამდე ასაკში დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი, 20-24 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების საერთო რაოდენობაში

ქვეყანა	სულ	უღარიბესი 40 პროცენტი	უმდიდრესი 40 პროცენტი	წყარო
სომხეთი	7,2	8,1	4,3	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა 2010 წ.
აზერბაიჯანი	12,2	15,6	8,2	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა 2006 წ.
საქართველო	17,2⁵	25,0	12,0	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2005 წ.
მოლდავეთი	18,9	25,5	15,0	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა 2005 წ.
თურქეთი	14,0	24,3	17,5	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა 2008 წ.
უკრაინა	9,9	16,2	7,7	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა 2007 წ.

წყარო: გაეროს მოსახლეობის ფონდი (2012 წ.)

ბავშვთა უფლებების დარღვევად. ადრეულ ასაკში ქორწინება წარმოადგენს გენდერული უთანასწორობის გამოვლინებას, ვინაიდან ის მოვლენა გაცილებით ხშირად გვხვდება გოგონებში, ვიდრე ბიჭებში.

არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებების და კონვენციების მთელი რიგი, რომლებიც ბავშვთა ქორწინების პრობლემას ეხება:

- 1962 წლის კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ;
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979 წ.) (კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართველო, 1994 წ.);
- ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989 წ.) ბავშვის უფლებათა კონვენცია, საქართველო, 1994 წ.);
- 1995 წლის პეკინის სამოქმედო პლატფორმა (რომელიც შეიქმნა გაეროს ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე).

⁵ გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, რომლის განგარიშებაც ეყარება 2010 წელს საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგებს (ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები საქართველოში, 2010 წ.), ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 14 პროცენტს.

საქართველოს კანონმდებლობა ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემას არეგულირებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებით. კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინების მინიმალური ასაკი არის 18 წელი. 2015 წლის დეკემბერში, სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებით სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილების შეტანამდე, 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინებისთვის საკმარისი იყო მხოლოდ მშობლების თანხმობა. სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლში ნათქვამია, რომ თანაცხოვრება არასრულწლოვანთან ანუ 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან, ისჯება სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით. 2014 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებით შეტანილი იქნა 150-ე (პრიმა) მუხლი - ქორწინების იძულება, რომლის თანახმადაც კანონის დამრღვევი ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 200-400 საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი მცირეწლოვნის მიმართ, ისჯება 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

ადრეულ ასაკში ქორწინება რელიგიურ და ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ადათ-წესებსა და ტრადიციებს უკავშირდება. ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 500 ქალის მონაწილეობით წარმოებული კვლევის შედეგად, რომელთა 86 პროცენტს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და მუსულმანი ქალები შეადგენდნენ (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014 წ.), გაირკვა, რომ გამოკითხულ ქალთა ნახევარი (51,2 პროცენტი) 18 წლამდე ასაკში იყვნენ დაქორწინებული. გაეროს მოსახლეობის ფონდის (2014 წ. გ.) მიერ წარმოებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები, ქორწინებაში მყოფი ქალების 32 პროცენტი 18 წლამდე ასაკში იყო დაქორწინებული, მათ შორის 5 პროცენტი - 13-14 წლის ასაკში, ხოლო 16 პროცენტი - 15-16 წლის ასაკში. „საქართველოში არსებული სტატისტიკა და წინამდებარე კვლევის შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვთა ქორწინებას საქართველოში არ აქვს განზოგადებული სახე, არამედ განპირობებულია ეთნიკური, რელიგიური და რეგიონალური ფაქტორებით. ბავშვთა ქორწინების შემთხვევებს ძირითადად ადგილი აქვს ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში; კონკრეტულად, რელიგიურ უმცირესობათა შორის, რომლებიც აჭარის მაღალმთიან რაიონებში ცხოვრობენ და ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის“ (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2014 წ. გ:3). ცხრილებში 3.3 და 3.4 შესული ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ არ არის სრულყოფილი, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება მეტად არის გავრცელებული აზერბაიჯანელ მოსახლეობასა და მუსულმან მოსახლეობაში, ვიდრე სხვა ნებისმიერ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფში.

ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის გარდა, სასოფლო დასახლებებში ცხოვრება და განათლების დაბალი დონე ადრეულ ასაკში ქორწინებას უწყობს ხელს. გარდა წარმომავლობისა და გარემო პირობებისა, სხვა ფაქტორებიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. ესენი უკავშირდება პატრიარქალურ დამო-

კიდებულებას ქორწინებამდე გოგონების პატიოსნების საკითხს. ადრეულ ასაკში ქორწინების მიზგებად ხშირად სახელდება სექსუალური თავისუფლების აღკვეთა და ახალგაზრდა ქალის მოტაცებისგან დაცვა. ოჯახის რეპუტაციის შელახვის თავიდან აცილება, როდესაც არასრულწლოვანი გოგონა რომანტიულ კავშირს ამყარებს ან ორსულდება ქორწინების გარეშე, ხშირად ხდება ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზი. არასრულწლოვან გოგონათა დაქორწინებას ასევე ხშირად საფუძვლად უდევს ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მოტივი.

ადრეულ ასაკში ქორწინებას ძალიან მრავალი უარყოფითი შედეგი მოყვება. იგი ხელს უშლის ქალებს განათლების მიღებაში და ამცირებს შემოსავლიან სამუშაოზე მათი დასაქმების შესაძლებლობებს და საბოლოო ჯამში მათი კეთილდღეობის დონეს. ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში, ახალგაზრდები იძულებულნი არიან შეწყვიტონ სკოლაში სწავლა, რის შედეგადაც ქორწინებაში მყოფ ქალებს შორის განათლების დაბალ დონეს ვიღებთ. 2015 წელს, ქორწინების გამო სკოლაში სწავლა შეწყვიტა 13-17 წლის ასაკის 408 მოსწავლემ. სკოლაში სწავლის შეწყვეტა ქორწინების გამო უფრო ხშირია გოგონებში, ვიდრე ბიჭებში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქორწინებაში მყოფ გოგონებს სურთ სწავლის გაგრძელება, ისინი წინააღმდეგობას აწყდებიან მათი თანატოლების მშობლების მხრიდან, რომლებსაც არ სურთ მათმა შვილებმა გათხოვილ ქალთან ერთად ისწავლოს სკოლაში (Sumbadze, 2015).

ადრეულ ასაკში ქორწინება ძალიან ხშირ შემთხვევაში ადრეულ ასაკში ბავშვის გაჩენას უკავშირდება, რაც საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობას. 16 წლამდე ასაკის გოგონებში მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებებისა და გარდაცვალების ალბათობა ხუთჯერ უფრო მაღალია, ვიდრე 16 წელზე უფროსი ასაკის ქალებში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015 წ.). ქვემო ქართლში ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული ქალების კვლევის შედეგების თანახმად, 500 გამოკითხულიდან, 39,2 პროცენტს ბავშვი გაჩენილი ჰყავდა 19

ცხრილი 3.3: 15-17 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების პროცენტული წილი, ეთნიკური წარმომავლობის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება
ქართველი	4,1	1,4	8,1	2,9	5,6	2,0
აზერბაიჯანელი	15,8	4,7	30,1	9,7	27,4	8,7
რუსი	10,8	2,2	26,7	6,7	12,3	2,6
სომეხი	4,1	1,3	5,9	2,3	5,0	1,8
იეზიდო	9,4	4,1	-	-	9,9	4,1
სხვა	4,7	1,9	9,2	1,5	6,9	1,7
ყველა ჯგუფი	4,4	1,5	10,9	3,8	7,1	2,4

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 3.4: 15-17 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების პროცენტული წილი, აღმსარებლობის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება
მართლმადიდებელი ქრისტიანი	3,9	1,3	8,1	2,8	5,4	1,8
მუსლიმი	11,9	4,4	21,9	7,5	19,6	6,8
სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი	3,9	1,7	6,0	2,4	5,1	2,1
კათოლიკე	3,2	3,2	3,8	1,5	3,6	2,1
იეჰოვას მოწმე	0,6	-	-	-	0,4	-
სხვა	8,6	5,1	-	-	7,9	4,7
არცერთი	6,9	3,1	5,5	1,4	6,4	2,5
ყველა ჯგუფი	4,4	1,5	10,9	3,8	7,1	2,4

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

წლამდე ასაკში, აქედან 5,1 პროცენტს - 13-14 წლის ასაკში, 15,8 პროცენტს - 15-16 წლის ასაკში და 30,3 პროცენტს - 17-18 წლის ასაკში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014 წ.).

2015 წელს იუსტიციის სამინისტროს შეფასებით, საქართველოში არასრულ-

წლოვან მშობელთა რაოდენობამ შეადგინა 1 378 პირი (აქედან, 1 261 შემთხვევაში მხოლოდ დედა იყო არასრულწლოვანი; 76 შემთხვევაში მხოლოდ მამა იყო არასრულწლოვანი, ხოლო 41 შემთხვევაში - ორივე მშობელი). მიუხედავად იმისა, რომ ქალების ქორწინების მედიანური ასაკი

(იხილეთ ქვევით) 22 წელზე ოდნავ მეტია, მოსახლეობის აღწერისას საკმაოდ ბევრმა 18 წლამდე ასაკის გოგონამ განაცხადა, რომ ისინი ქორწინებაში იმყოფებოდნენ. როგორც მოსალოდნელია, აღნიშნული პროცენტული წილი გაცილებით მაღალია სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებში (10,9 პროცენტი), ვიდრე საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებში (4,4 პროცენტი). ამ ქორწინებათა დიდი უმრავლესობა არარეგისტრირებულია, თუმცა სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის, ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდა ქალების 3,8 პროცენტი და საქალაქო დასახლებებში მცხოვრები იმავე ასაკის ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდა ქალების 1,5 პროცენტი, იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამ თვალსაზრისით გარკვეული სხვაობა ფიქსირდება რეგიონებს შორის.

ადრეულ ასაკში ქორწინება უფრო ხშირია სასოფლო დასახლებებში; ამასთანავე, ამ ტიპის დაურეგისტრირებელი ქორწინებების პროცენტული წილი უფრო მაღალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქოსთან შედარებით. ადრეულ ასაკში ქორწინება ყველაზე მეტად არის გავრცელებული ქვემო ქართლში, კახეთსა და გურიაში. ქვემო ქართლის შემთხვევაში, აღნიშნული ტენდენცია შესაძლებელია უკავშირდებოდეს მოსახლეობაში მუსლიმთა მაღალ პროცენტულ წილს, ვინაიდან მუსლიმებისთვის უფრო არის დამახასიათებელი ადრეულ ასაკში ქორწინება, ქორწინებამდე სქესობრივი კავშირების რისკის შემცირების მიზნით. თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს, ვინაიდან გურიისა და კახეთის რეგიონების მოსახლეობაში მუსლიმთა პროცენტული წილი, ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულ საშუალო მაჩვენებელს უახლოვდება. სხვაობა არარეგისტრირებულ და რეგისტრირებულ ქორწინებებს შორის ყველაზე მკვეთრია ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 18 წლამდე ქალების ქორწინებათა უმეტესობა არ არის რეგისტრირებული. თუმცა მიუხედავად იმ სამართლებრივი შეზღუდვებისა, რომელიც ამ ტიპის ქორწინებათა დარეგისტრირების

თვალსაზრისით არსებობს, გარკვეული ნაწილი მაინც ოფიციალურად რეგისტრირებულია. ცხრილში 3.5 მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იმ ტიპის ოფიციალურ ქორწინებათა პროცენტული წილი, რომლებშიც ერთ-ერთი პარტნიორი არასრულწლოვანია, მცირეა და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მცირდება:

ცხრილი 3.5: საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული იმ ქორწინებების პროცენტული წილი, რომელთა რეგისტრირებისას წყვილიდან ერთ-ერთი (ქალი ან მამაკაცი) 18 წლამდე ასაკის იყო

წელი	ქალი (პროცენტი)	მამაკაცი (პროცენტი)
2002	4,81	0,62
2003	4,75	0,58
2004	2,41	0,32
2005	3,47	0,45
2006	3,47	0,42
2007	3,03	0,32
2008	2,95	0,20
2009	2,89	0,21
2010	2,24	0,12
2011	2,13	0,13
2012	2,28	0,12
2013	2,21	0,16
2014	2,06	0,09
2015	2,03	0,11

წყარო: საქსტატი


საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძალიან იშვიათია არასრულწლოვან გოგობსა და ასაკით მათზე გაცილებით უფროს მამაკაცებს შორის ქორწინება: 2015 წელს დაქორწინებული არასრულწლოვანი გოგობების 76 პროცენტი დაქორწინდა 25 წლამდე ასაკის მამაკაცებზე, ხოლო 96 პროცენტი – 30 წლამდე მამაკაცებზე.

მრუდი, რომელიც აჩვენებს იმ პირების პროცენტულ წილს წლოვანების მიხედვით, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ასევე მოიცავს სხვა საინტერესო მახასიათებლებსაც. გრაფიკზე 3.1 ნაჩვენებია საქალაქო დასახლებებში (იასამნისფერი

მრუდები) და სასოფლო დასახლებებში (ნაცრისფერი მრუდები) მცხოვრები იმ მამაკაცებისა (უწყვეტი მრუდი) და ქალების (წყვეტილი მრუდი) პროცენტული წილები, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში. გრაფიკზე 3.1 იკვეთება რამდენიმე მახასიათებელი:

3. მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა იზრდება მამაკაცის ასაკის მატების პარალელურად, რაც განსაკუთრებით გამოკვეთილია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით.

გრაფიკი 3.1: იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

1. სხვაობა მამაკაცებსა და ქალებს შორის ქორწინების მედიანური ასაკის თვალსაზრისით დაახლ. 4 წელს შეადგენს (25,9 წელი და 22,0 წელი, შესაბამისად).

2. 30-დან 40 წლამდე და 40 -დან 50 წლამდე ასაკის, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებს შორის უფრო იშვიათია ქორწინება, ვიდრე იგივე ასაკობრივი ჯგუფების საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებს შორის, თუმცა სხვა მხრივ მათი მახასიათებლები საკმაოდ ერთნაირია; სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 40 წლამდე ასაკის მამაკაცების 20 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში.

4. სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალები საშუალოდ 2-3 წლით უფრო ადრე ქორწინდებიან, ვიდრე საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალები.

5. იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში უფრო მაღალია საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის, ვიდრე სასოფლო დასახლებებში.

6. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით უფრო გვიან ასაკში ქორწინდებიან, საბოლოო ჯამში, ქალებთან შედარებით უფრო ნაკლები მამაკაცი მიეკუთვნება კატეგორიას, ვინც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში და აღნიშნული

პროპორციის თვალსაზრისით ძალიან მცირე სხვაობა აღინიშნება ქალაქის მოსახლეობასა და სოფლის მოსახლეობას შორის.

7. თუ გრაფიკში 3.1 მოცემულ მრუდებს მოვიაზრებთ, როგორც კოჰორტის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ მამაკაცების 90 პროცენტი, რომლებიც 35 წლის ასაკში არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, საბოლოოდ მაინც ქორწინდებიან მაშინ, როცა 35 წლის ასაკის ქალებიდან, ვინც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, საბოლოოდ მხოლოდ ნახევარი ქორწინდება.

ცხრილი 3.6: 40-44 წლის მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში

ქვეყანა	მამაკაცი (%)	ქალი (%)	წელი
სომხეთი	10,5	9,2	2011
აზერბაიჯანი	5,1	8,2	2014
ბულგარეთი	33,5	18,5	2014
საქართველო⁶	9,1	8,9	2002
მოდანეთი	5,2	1,3	2012
რუმინეთი	15,6	9,7	2011
რუსეთი	8,2	6,6	2010
თურქეთი	5,4	6,7	2013
უკრაინა	4,4	3,0	2012

წყარო: ქორწინების მონაცემთა მსოფლიო ბაზა, გაეროს მოსახლეობის განყოფილება; 2015 წ.

როგორც ცხრილში 3.6 მოცემული საერთაშორისო მონაცემების შედარების შედეგად ირკვევა, საქართველოში 40-44 წლის ასაკის იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, კერძოდ დაახლ. 5-10 პროცენტი, რეგიონის მასშტაბით სხვა ქვეყნების მსგავსია, ან, რიგ შემთხვევაში, აჭარბებს კიდევ სხვა ქვეყნების ანალოგურ მონაცემებს. ქვეყნები, სადაც განსხვავებულ

სიტუაციას ვაწყდებით ამ თვალსაზრისით, არის ბულგარეთი და, შედარებით ნაკლები მასშტაბით, რუმინეთი. აქ იმ ქალებისა და განსაკუთრებით მამაკაცების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, მნიშვნელოვნად მაღალია, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

დემოგრაფიული ანალიზისათვის მიღებულია ყურადღების გამახვილება მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომლებიც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებს ჰაჯნალის ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის გამოანგარიშება.⁷ ცხრილში 3.7ა შესული მონაცემები გვაჩვენებს ინფორმაციას ქორწინების პირობით საშუალო ასაკზე, თუ რა სხვაობა ფიქსირდება საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის, რეგიონების მიხედვით. ამასთან, ცალ-ცალკეა მოწოდებული მონაცემები რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ (ყველა სხვა ტიპის) ქორწინებაში მყოფი ქალების შესახებ. რეგისტრირებული ქორწინებისაგან განსხვავებული ტიპის ქორწინებაში მყოფი ქალების შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემის გამოანგარიშებისას (პიპოთეტურად ინდიკატორის შექმნის მიზნით) მიჩნეულია, რომ ყველა ქალი, რომელიც არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ფაქტობრივად არ იმ-

⁷ ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის (SMAM) გამოანგარიშება შემდეგნაირად: 15-ს პლუს საშუალო რაოდენობა იმ წლებისა, რომელსაც 15 წლის ასაკში დასაქორწინებელი, მაგრამ 50 წლის ასაკამდე ერთხელ მაინც დაქორწინებული პირი ატარებს დასაქორწინებლის სტატუსით. აწარმოებს რა 15-დან 50 წლამდე ნებისმიერი ასაკის იმ პირების პროცენტული წილის ინტერპრეტირება, ვინც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ასაკში ნებისმიერი მოცემული პირი შესაძლებელია კვლავ არ იმყოფებოდეს ქორწინებაში, მიღებული მონაცემი წარმოადგენს პირველი ქორწინების ტიპურ ასაკს და მისი გამოანგარიშება წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია ქორწინების ასაკის შესახებ. საქართველოს შემთხვევაში, ამგვარი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სამოქალაქო რეგისტრიდან, თუმცა სამოქალაქო რეგისტრში ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებების შესახებ, რომლის საფუძველზეც შეუძლებელია სოციო-ეკონომიკური ანალიზის წარმოება. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის მონაცემი არ ვრცელდება მეროე და შემდგომ ქორწინებებზე.

⁶ უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები, განსაკუთრებით ამ კატეგორიის მამაკაცების პროცენტული წილის შესახებ. არსებობს კიდევ უფრო უახლესი მონაცემები ამ კატეგორიის ქალების შესახებ. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემებით მამაკაცების 9,0 პროცენტი და ქალების 13,8 პროცენტი არასდროს ყოფილა ქორწინებაში.

ცხრილი 3.7ა: ქალების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება
თბილისი	24,6	27,5	23,4	27,5	24,6	27,5
აჭარა	22,6	24,3	22,2	23,5	22,4	24,0
გურია	20,6	22,3	21,8	23,7	21,5	23,3
იმერეთი	22,1	24,3	22,3	24,8	22,2	24,5
კახეთი	21,7	26,6	21,0	26,0	21,1	26,2
მცხეთა-მთიანეთი	23,1	27,3	23,0	28,7	23,0	28,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	22,2	24,5	23,3	24,9	23,0	24,8
სამეგრელო და ზემო სვანეთი	22,1	24,0	22,3	24,2	22,2	24,1
სამცხე-ჯავახეთი	22,6	24,6	21,6	23,7	21,9	24,0
ქვემო ქართლი	22,6	26,8	19,9	25,2	21,2	25,9
შიდა ქართლი	22,2	25,2	22,0	26,2	22,1	25,7
საქართველო	23,6	26,4	21,6	25,0	22,9	25,9

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ყოფება ქორწინებაში, მაშინაც კი, როცა ისინი შესაძლებელია იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ცხრილში 3.7ა მოყვანილი მონაცემები ფაქტობრივად არსებულ მონაცემებზე დაბალი მაჩვენებლებით არის გამოხატული, იმის გამო, რომ მოსახლეობის აღწერისას ხშირად ახალგაზრდა ქალები არ პასუხობდნენ კითხვას მათი ქორწინებით მდგომარეობის შესახებ, რომელთა უმრავლესობა, სავარაუდოდ არ იმყოფებოდა ქორწინებაში.

მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილში 3.7ბ.

ცხრილებში 3.7ა და 3.7ბ მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება ზოგადად ქორწინების ასაკსა და რეგისტრირებული ქორწინების ასაკს შორის. ვინაიდან სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემა გვაწვდის ინფორმაციას მხო-

ლოდ რეგისტრირებული ქორწინებების შესახებ, მხოლოდ სამოქალაქო რეგისტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განმარტებული ქორწინების საშუალო ასაკი არაზუსტია და, რიგ შემთხვევაში, 4 ან 5 წლით აღემატება ქორწინების ფაქტობრივ ასაკს, მაგ., ქვემო ქართლის რეგიონის სასოფლო დასახლებებში, სადაც ქალების ქორწინების მედიანური ასაკი ოფიციალურად შეადგენს 25,2 წელს, თუმცა პირველი კავშირის ფაქტობრივი ასაკი შეადგენს 19,9 წელს.

რეგისტრირებული ქორწინებების შემთხვევაში ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის (ქალები - 25,9 წელი და მამაკაცები - 29,5 წელი) მონაცემების შედარება შესაძლებელია სამოქალაქო რეგისტრის მიერ აღრიცხულ ქორწინებებში მყოფი წყვილების საშუალო ასაკთან. 2015 წელს, ქალების ქორწინების საშუალო ასაკი შეადგენდა 28,2 წელს, ხოლო მამაკაცების - 31,5 წელს. ერთი

ცხრილი 3.7ბ: მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრირებული ქორწინება
თბილისი	27,6	29,7	27,0	29,8	27,6	29,7
აჭარა	26,9	27,9	27,3	28,2	27,1	28,1
გურია	26,7	27,9	28,0	29,1	27,6	28,7
იმერეთი	27,0	28,3	29,3	30,7	28,1	29,5
კახეთი	26,9	30,1	27,2	30,3	27,2	30,2
მცხეთა-მთიანეთი	28,3	30,9	28,2	31,6	28,2	31,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29,9	30,6	32,0	32,7	31,4	32,1
სამეგრელო და ზემო სვანეთი	28,0	29,0	29,5	30,7	28,9	30,0
სამცხე-ჯავახეთი	27,2	28,4	26,6	28,1	26,8	28,2
ქვემო ქართლი	26,8	29,5	25,9	29,3	26,3	29,4
შიდა ქართლი	27,2	28,8	28,0	30,2	27,7	29,6
საქართველო	27,4	29,2	27,7	29,8	27,5	29,5

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

შეხედვით სხვაობა საკმაოდ დიდი ჩანს, თუმცა გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი:


ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი ითვალისწინებს მხოლოდ პირველ ქორწინებას მაშინ, როცა დაბადების რეგისტრში წარმოებს ასევე მეორე და შემდგომი ქორწინებების რეგისტრაცია. 2015 წელს ქალების საშუალო ასაკი, პირველი ქორწინებისას, დაბადების რეგისტრის მონაცემების თანახმად, შეადგენდა 27,1 წელს, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - 30,4 წელს. უკანასკნელ წლებში მეორედ ქორწინებების რაოდენობის ზრდა წარმოადგენს 2002 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში ქალებისა და მამაკაცების ქორწინების საშუალო ასაკის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს: ქალების ასაკი გაიზარდა 25,3 წლიდან 28,2 წლამდე, ხოლო მამაკაცების ასაკი - 29,1 წლიდან 31,5 წლამდე; მაგრამ ეს არ არის ერთადერთი განმარტება, როგორც ეს ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნამდ-

ვილად აქვს ადგილი პირველი ქორწინების საშუალო ასაკის ზრდას.

ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის გამომწვევებია არ წარმოებს მხოლოდ მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე, არამედ ეყრდნობა მოსახლეობის აღწერამდე 15-20 წლიან პერიოდში ტიპური ასაკების შეწონილ საშუალოს. პირველი ქორწინების ტიპური ასაკის ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია ის, რომ ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი უფრო დაბალი იქნება, ვიდრე 2015 წლის მონაცემებით პირველი ქორწინების საშუალო ასაკი, მაგრამ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე 2002 წლის ანალოგური მონაცემი, რასაც რეალურადაც აქვს ადგილი.

გრაფიკზე 3.2 წარმოდგენილია საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქვრივი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი. აღნიშნული ქორწინებითი მდგომარეობის

გრაფიკი 3.2: ქვრივების პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით



თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება მამაკაცებისა და ქალების პროცენტულ წილებს შორის, ასევე ასაკობრივ ჯგუფებშიც; და უმნიშვნელო სხვაობა ფიქსირდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. მოცემული ვითარება ხშირად ფიქსირდება მსგავსი ანალიზისას და ძირითადად განპირობებულია სამი ფაქტორით:

1. ქალების მოკვდაობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში, ნაკლებია, ვიდრე მამაკაცების მოკვდაობის მაჩვენებელი, შესაბამისად მეტია ალბათობა იმისა, რომ ქალი დაქვრივდეს, ვიდრე პირიქით. გარდა ქვრივ ქალებსა და მამაკაცებს შორის რიცხობრივი სხვაობისა, ქალები შედარებით ახალგაზრდა ასაკში ქვრივდებიან (საშუალოდ 68,7 წლის ასაკში), ვიდრე მამაკაცები (საშუალოდ 72,2 წლის ასაკში).
2. პირველი ქორწინებისას ასაკობრივი სხვაობა, როდესაც დაქორწინებულ წყვილში ქალები, ზოგადად, მამაკაცებზე უმცროსები

არიან, აძლიერებს პირველ პუნქტში აღწერილ მიზეზს და ქალები უფრო ადრეულ ასაკში ქვრივდებიან.

3. საოჯახო-პარტნიორულ ურთიერთობებში, ქალების ფიზიკური მიმზიდველობა უფრო მეტად არის ასაკზე დამოკიდებული, ვიდრე მამაკაცებისა. მამაკაცები ნაყოფიერებას ინარჩუნებენ ცხოვრების თითქმის მთელი ციკლის მანძილზე მაშინ, როცა ქალების რეპროდუქციული ფუნქცია დაახლ. 45 წლის ასაკში სრულდება (Miller, 2015; Feingold, 1992). გარდა ამისა, ქალისთვის ხელახალი ქორწინება არ არის ადვილი, ვინაიდან რეპროდუქციულ ასაკში მათ უმრავლესობას ჰყავს მათზე დამოკიდებული შვილები, რაც ამცირებს ქალის ხელახალი ქორწინების პერსპექტივებს.

საქართველოს შემთხვევაში, სავარაუდოდ, გარე მიგრაცია გარკვეულ როლს თამაშობს, ვინაიდან ქვრივებისთვის დამახასიათებელია ქვეყნის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა, თუმცა აღნიშნული საკითხი რთული შესასწავლია. დამატებითი ინფორმაციის გარე-


შე რთულია იმის განსაზღვრა სავარაუდო მიზეზებიდან თუ რომელი არის უფრო მნიშვნელოვანი, თუმცა მიახლოებითი გამოთვლის შედეგად დგინდება, რომ ქვრივ მამაკაცებში ხელახლა ქორწინების მაღალი ალბათობა უფრო ნაკლებად ახდენს ზეგავლენას ქვრივი მამაკაცებისა და ქვრივი ქალების პროცენტულ წილებს შორის სხვაობაზე, ვიდრე ქალებისა და მამაკაცების მოკვდაობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა. მოცემულ ორ მრუდს შორის სხვაობა, საქართველოს შემთხვევაში, უფრო გამოკვეთილია, ვიდრე სხვა ქვეყნების შემთხვევაში, რაც, უმეტესწილად, შესაძლებელია გამოწვეული იყოს საქართველოში ქალებსა და მამაკაცებს შორის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თვალსაზრისით არსებული საკმაოდ დიდი განსხვავებით (8,5 წელი). სამწუხაროდ, საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის კითხვარში არ ყოფილა შეტანილი კითხვა იმის თაობაზე, არსებული ქორწინება პირველ ქორწინებას წარმოადგენს თუ

მეორე და შემდგომ ქორწინებას, რაც მესამე ალტერნატივის დაზუსტებაში დაგეგმვებარებოდა.

განქორწინებულ პირთა პროცენტული წილი, წესით, მსგავსი უნდა იყოს ქვრივ ქალთა და მამაკაცთა პროცენტული განაწილებისა. თუმცა გრაფიკში 3.3 მოყვანილი მონაცემები საპირისპიროზე მეტყველებს, რაც განპირობებულია იმით, რომ:

1. განსხვავებით ქვრივობისაგან, რაც ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით არის განპირობებული და ვინაიდან მამაკაცების გარდაცვალების ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ქალებისა და, შესაბამისად, ქვრივი ქალების რაოდენობა აჭარბებს ქვრივი მამაკაცების რაოდენობას, განქორწინებული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თავდაპირველად უნდა იყოს თანაბარი და მათ შორის სხვაობა მხოლოდ განქორწინების შემდგომ უნდა ფიქსირდებოდეს; შესაბამისად, ქალებისა და მამაკაცების მრუდები, მეტ-ნაკლებად

გრაფიკი 3.3: განქორწინებული პირების პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით



მსგავსი უნდა იყოს. თუმცა ისევე, როგორც დაქვრივების შემთხვევაში, განქორწინების შემთხვევაში მამაკაცები უფრო ხშირად ქორწინდებიან ხელმეორედ, ვიდრე განქორწინებული ქალები.

- საერთო ჯამში, საქართველოში განქორწინება უფრო იშვიათია, ვიდრე დაქვრივება, განსაკუთრებით ქალების დაქვრივების შემთხვევები. გარდა ამისა, საქართველოში განქორწინება მხოლოდ ბოლო წლებში გახშირდა. აქედან გამომდინარე, განქორწინებულ პირთა ყველაზე მაღალი პროცენტული წილი ფიქსირდება დაახლ. 45 წლის ასაკის პირებში. 60 წელზე უფროსი ასაკის პირთა თაობაში განქორწინება ჯერ კიდევ გამონაკლისს წარმოადგენდა.
- ახალგაზრდა თაობაშიც კი, საქალაქო დასახლებებში მცხოვრებთა შორის განქორწინება მნიშვნელოვნად ხშირია, ვიდრე სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა შორის. გრაფიკზე 3.3, ეს ტენდენცია გან-

საკუთრებით გამოკვეთილია ქალების შემთხვევაში. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცთა შორის განქორწინების მაჩვენებელიც უფრო მაღალია, ვიდრე სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებს შორის, თუმცა ეს სხვაობა არ არის დიდი, რაც სავარაუდოდ უკავშირდება იმას, რომ საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცები ხშირად ხელახლა ქორწინდებიან.

ცხრილში 3.8 ნაჩვენებია განქორწინებული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა, საქართველოს რეგიონების მიხედვით და, ასევე, განქორწინების შემთხვევების პროცენტული წილი 30-59 ასაკობრივ ჯგუფში (რომელიც განქორწინების თვალსაზრისით ყველაზე დამახასიათებელ ასაკს წარმოადგენს), რეგიონების მიხედვით.

განქორწინებულთა რაოდენობა არა მარტო უფრო მაღალია ახალგაზრდა თაობაში, უფროს თაობასთან შედარებით, არამედ, როგორც 2015 წელს ჩატარებული კავკასიის

ცხრილი 3.8: 15 წელზე უფროსი ასაკის განქორწინებული ქალებისა და მამაკაცების რიცხოვნობა და პროცენტული წილი, რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ქალი			მამაკაცი		
	სულ	განქორწინებული	პროცენტი	სულ	განქორწინებული	პროცენტი
თბილისი	503 571	34 162	6,8	393 198	11 364	2,9
აჭარა	140 122	4 321	3,1	128 148	1 682	1,3
გურია	49 755	1 305	2,6	45 116	942	2,1
იმერეთი	231 182	5 570	2,4	209 805	3 884	1,9
კახეთი	135 999	4 825	3,5	125 880	3 632	2,9
მცხეთა-მთიანეთი	39 355	1 462	3,7	39 153	1 379	3,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	14 650	224	1,5	13 558	282	2,1
სამეგრელო და ზემო სვანეთი	145 046	3 703	2,5	129 900	2 517	1,9
სამცხე-ჯავახეთი	67 313	1 801	2,7	61 475	770	1,3
ქვემო ქართლი	173 999	7 249	4,2	160 418	2 975	1,9
შიდა ქართლი	112 045	4 197	3,7	102 787	2 801	2,7
საქართველო	1 613 037	68 819	4,3	1 409 438	32 228	2,3

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 3.9: 30-დან 59 წლამდე ასაკის განქორწინებული ქალებისა და მამაკაცების პროცენტული წილი, რეგიონებისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
თბილისი	4,2	9,9	3,9	5,2	4,2	9,7
აჭარა	2,2	6,0	1,6	1,8	2,0	4,3
გურია	3,1	5,4	3,2	2,8	3,2	3,6
იმერეთი	2,7	4,6	2,9	2,1	2,8	3,4
კახეთი	4,9	8,5	4,1	3,8	4,3	4,9
მცხეთა-მთიანეთი	5,0	7,5	5,5	4,6	5,4	5,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3,4	3,8	3,3	1,9	3,3	2,4
სამეგრელო და ზემო სვანეთი	3,2	5,3	2,6	2,4	2,8	3,6
სამცხე-ჯავახეთი	2,5	6,0	1,6	2,4	1,9	3,7
ქვემო ქართლი	3,5	8,8	2,0	3,4	2,6	5,8
შიდა ქართლი	3,8	7,5	4,3	3,4	4,1	5,2
საქართველო	3,7	8,2	3,0	2,9	3,4	6,1

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ბარომეტრის კვლევის შედეგებით გამოირკვა, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს განქორწინების მიმართ. 55 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობა (55 პროცენტი) მიიჩნევს, რომ განქორწინება არ არის გამართლებული მაშინ, როცა 18-35 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 43 პროცენტი და 36-55 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 45 პროცენტი იზიარებს ამავე მოსაზრებას. გარდა ამისა, ამ მოსაზრებას სოფლის მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (58 პროცენტი) იზიარებს, ვიდრე ქალაქის (46 პროცენტი); ყველაზე ნაკლები პროცენტული წილი (30 პროცენტი) ამ მოსაზრებას იზიარებს ქ. თბილისში. თუმცა ასაკსა და დასახლების ტიპებზე მეტად, განქორწინების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას განაპირობებს მათი აღმსარებლობა. საქართველოში მცირერიცხოვანი რელიგიების მიმდევრების, როგორცაა იეჰოვას მოწმეები და პროტესტანტები, დიდი უმრავლესობა (78 პრო-

ცენტი) განქორწინების კატეგორიული წინააღმდეგია; მათ მოსდევნ მუსლიმები (72 პროცენტი), მართლმადიდებლები (44 პროცენტი) და სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები (31 პროცენტი).

როგორც მოსალოდნელია, განქორწინებულთა პროცენტული წილი, გაცილებით მაღალია ქ. თბილისში, ვიდრე სხვა ნებისმიერ რეგიონში, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში. რთული ასახსნელია ქვემო ქართლში განქორწინებული ქალების მაღალი პროცენტული წილი და, ასევე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში განქორწინებული მამაკაცებს პროცენტული წილი, რომელიც აჭარბებს განქორწინებულ ქალთა პროცენტულ წილს. განქორწინების შემთხვევათა რაოდენობა იზრდება დროთა განმავლობაში, რასაც შესაძლებელია ნაწილობრივ ხელი შეუწყოს იმ ფაქტმა, რომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში, ქორწინებათა დიდი რაოდენობა დაურეგისტრირებელი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვრივ და განქორწინებულ მამაკაცთა მცირე რაოდენობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მამაკაცებში მაღალია ხელახლა ქორწინების ტენდენცია. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები არ იძლევა აღნიშნულის დადასტურების საშუალებას, თუმცა სამოქალაქო რეესტრის ქორწინებასთან დაკავშირებული მონაცემები შეიცავს ინფორმაციას დაქორწინებამდე წყვილის ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად, შესაძლებელია მამაკაცებსა და ქალებში ხელახლა ქორწინების რაოდენობის დადასტურება. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდამდე საქართველოში იშვიათობას წარმოადგენდა ხელახალი ქორწინება, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში. 2009 წლამდე, ოფიციალური (რეგისტრირებული) ქორწინებების 96 პროცენტი, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში, წარმოადგენდა პირველ ქორწინებას. 2009 წლიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელახალი ქორწინების შემთხვევათა რაოდენობა და 2015 წელს დაქორწინებულ წყვილებში ქალების 9,9 პროცენტი და მამაკაცების 11,7 პროცენტი სულ მცირე ერთხელ უკვე იყვნენ ქორწინებაში.

ხელახალი ქორწინებების რაოდენობის ზრდა უშუალოდ უკავშირდება განქორწინების რაოდენობის ზრდას (იხ. ქვემოთ), ვინაიდან ხელახალი ქორწინებების დიდი უმრავლესობა მოდის განქორწინებულ პირებზე და არა ქვრივებზე. 2015 წელს, დაქორწინებულ წყვილებში ქალების მხოლოდ 1,0 პროცენტი და მამაკაცების მხოლოდ 0,8 პროცენტი იყო ქვრივი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვრივი ქალების პროცენტული მაჩვენებელი მცირედით აღემატება მამაკაცების მაჩვენებელს, რაც იმით აიხსნება, რომ ქვრივი ქალების რაოდენობა ბევრად აღემატება ქვრივ მამაკაცთა რაოდენობას, შესაბამისად, ხელახლა ქორწინების ალბათობა ქვრივ მამაკაცებში, რაც არ უნდა დაბალი იყოს, მაინც დაახლ. 5-ჯერ აღემატება ქვრივი ქალების ხელახალი ქორწინების ალბათობას, მიუხედავად იმისა, რომ ქვრივი ქალები

ქვრივ მამაკაცებზე საშუალოდ 3,5 წლით ახალგაზრდები არიან (იხ. ზევით). თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ქვრივი ქალების ხელახლა დაქორწინების შემთხვევათა გარკვეული ზრდა დაფიქსირდა, როგორც რაოდენობრივად, ასევე ქვრივი მამაკაცების ხელახალი ქორწინებების მაჩვენებელთან მიმართებაში. მაგ., 2002 წელს, დაქორწინებულ წყვილებში ქალების მხოლოდ 0,35 პროცენტი და მამაკაცების 0,75 პროცენტი იყო ქვრივი. განქორწინებულთა შორის, რომლებზეც მოდის ხელახალი ქორწინებების უმრავლესობა, მამაკაცები გაცილებით უფრო ხშირად ქორწინდებიან ხელახლა (2015 წელს დაქორწინებული მამაკაცების 10,9 პროცენტი), ვიდრე ქალები (2015 წელს დაქორწინებული ქალების 8,9 პროცენტი). განქორწინებული მამაკაცები, ასევე, უფრო ხშირად ქორწინდებიან ქალებზე, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ვიდრე განქორწინებულ ქალებზე. 2015 წელს, განქორწინებული ქალების 49,8 პროცენტი დაქორწინდა განქორწინებულ მამაკაცებზე, ხოლო 47,5 პროცენტი მამაკაცებზე, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში. განქორწინებულ მამაკაცებში აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენს 40,6 პროცენტსა და 56,1 პროცენტს, შესაბამისად. ხელახლა ქორწინებისას, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებობს სხვაობა ასაკის თვალსაზრისით. განქორწინებული ქალები ხელახლა ქორწინდებიან შედარებით ახალგაზრდა ასაკში და მათი პარტნიორები დაახლოებით მათივე ასაკის არიან (2015 წელს ხელახლა დაქორწინებული ქალების საშუალო ასაკი შეადგენდა 46,6 წელს, ხოლო მათი პარტნიორების - 47,0 წელს). ხოლო განქორწინებული მამაკაცები შედარებით გვიან ასაკში ქორწინდებიან ხელახლა და მათი პარტნიორები მათზე გაცილებით ახალგაზრდები არიან. 2015 წელს ხელახლა დაქორწინებული მამაკაცების საშუალო ასაკი შეადგენდა 57,5 წელს, ხოლო მათი პარტნიორების ასაკი - 47,5 წელს, ე.ი. წყვილებს შორის სხვაობა საშუალოდ 10 წელს შეადგენს. აღნიშნული ადასტურებს ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, რომ განქორწინებული ასაკოვანი

ცხრილი 3.10: განქორწინებათა რაოდენობა, მეუღლეთა საშუალო ასაკი განქორწინებისას და ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, 2002-2015 წწ.

წელი	განქორწინებათა რაოდენობა	ქალების საშუალო ასაკი	მამაკაცების საშუალო ასაკი	ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა
2002	1 836	37,2	40,2	12,0
2003	1 825	37,0	40,8	12,6
2004	1 793	37,8	41,4	12,7
2005	1 928	37,7	40,7	13,0
2006	2 060	37,9	40,4	12,6
2007	2 325	37,8	40,6	11,6
2008	3 189	36,2	39,4	12,7
2009	4 030	35,8	39,1	12,4
2010	4 726	36,1	39,4	12,8
2011	5 850	36,3	39,4	12,7
2012	7 136	36,3	39,4	12,5
2013	8 089	35,9	39,1	12,1
2014	9 119	36,2	39,3	11,8
2015	9 112	36,4	39,4	11,5

წყარო: საქსტატი

მამაკაცები ხელახლა ქორწინდებიან თავისზე ახალგაზრდა ქალებზე.

გარდა იმისა, რომ განქორწინება, ბოლო პერიოდში, საკმაოდ გავრცელებული მოვლენა გახდა, ცხრილში 3.10 წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ეს ტენდენცია ვრცელდება ახალგაზრდა წყვილებზეც, რომლებიც ქორწინებიდან რამდენიმე წელიწადში შორდებიან ერთმანეთს, თუმცა აღნიშნული ტენდენცია არ არის მკვეთრად გამოხატული. საბოლოო ჯამში, განქორწინებულ წყვილებში, განქორწინებისას მამაკაცების ასაკი შეადგენს დაახლ. 40 წელს, ხოლო ქალების – 36 ან 37 წელს, ხოლო ტიპური ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 11-13 წელს. 2015 წელს, განქორწინებათა ერთი მესამედი მოხდა ქორწინებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში, ხოლო ერთი მეოთხედის შემთხვევაში – ქორწინებიდან 20 ან მეტი წლის შემდეგ. 2002 წელს, განქორწინებათა დაახლ. ერთი მეოთხედის შემთხვევაში, განქორწინებას ქორწინებიდან პირველი 5 წლის პერიოდში ჰქონდა ადგილი.

ცხრილში 3.11 ნაჩვენებია განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები (ყოველ 1 000 მოსახლეზე, ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე) საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. განქორწინების მზარდი ტენდენცია საქართველოში მეტად არის გამოხატული, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში, თუმცა სხვა მხრივ, საქართველოში დაფიქსირებული განქორწინების მაჩვენებლები მსგავსია სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთისა, მაგრამ ჩამოუვარდება რუსეთის, უკრაინისა და მოლდავეთის მაჩვენებლებს.

ქორწინება, დაქვრივება, განქორწინება და ხელახალი ქორწინება, ასევე მიგრაცია განსაზღვრავს იმას, თუ ცხოვრების რა ნაწილს ატარებენ მამაკაცები და ქალები მეუღლეებთან თუ პარტნიორებთან ერთად ერთ შინამეურნეობაში და რა ნაწილს მათ გარეშე. გრაფიკზე 3.4 ნაჩვენებია საქალაქო და სასოფლო დასახლებებში პარტნიორის გარეშე მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი. ზოგადი სურათი

ცხრილი 3.11: განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები ყოველ 1 000 მოსახლეზე, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010-2013 წწ.

ქვეყანა	2010	2011	2012	2013
სომხეთი	3,2	1,0		
აზერბაიჯანი	1,0	1,2	1,2	1,2
ბულგარეთი	1,5	1,4	1,6	1,5
საქართველო⁸	1,1	1,3	1,6	
მოლდავეთი	3,2	3,1	3,0	
რუმინეთი	1,6	1,8	1,6	1,4
რუსეთის ფედერაცია	4,5	4,7	4,5	
თურქეთი	1,6	1,6	1,6	1,6
უკრაინა	2,7	4,0	3,7	3,6

წყარო: დემოგრაფიული წელიწადული, გაეროს სტატისტიკის განყოფილება, 2014 წ.


შემდეგნაირია: როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ცხოვრებას იწყებენ პარტნიორის გარეშე, შემდეგ ქორწინებიან და იწყებენ ცხოვრებას მეუღლეებთან ერთად, ხოლო ცხოვრების ბოლოს კვლავ მარტო რჩებიან, პარტნიორის გარეშე, რისი მიზეზიც არის პარტნიორის გარდაცვალება, განქორწინება ან მიგრაცია. თუმცა, როგორც გრაფიკიდან 3.4 ირკვევა, ამ თვალსაზრისით მამაკაცებისა და ქალების ცხოვრებისეული გზა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. როგორც საქალაქო, ასევე სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცები ცხოვრების უმეტეს ნაწილს პარტნიორთან ერთად ატარებენ. მხოლოდ ცხოვრების ბოლოს, 75 წელის ასაკიდან დაწყებული, ერთგვარად იზრდება მათი პარტნიორის გარეშე დარჩენის რისკი. რაც შეეხება ქალებს, პარტნიორის გარეშე დარჩენის რისკი ქალებისთვის გაცილებით ადრეულ ასაკში ჩნდება და გაცილებით მაღალ დონეს აღწევს, ვიდრე მამაკაცებისთვის. პარტნიორთან ერთად თანაცხოვრების ასაკი ქალებში (დაახლ. 80 პროცენტის შემთხვევაში) პიკს აღწევს 30 წლიდან 40 წლამდე ასაკში, თუმცა 40 წლის

ასაკის შემდეგ იზრდება პარტნიორის გარეშე მცხოვრები ქალების პროცენტული წილი, რომელიც 50 პროცენტს აჭარბებს საქალაქო დასახლებებში მცხოვრები, 60 წელზე უფროსი ასაკის ქალებში და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები, 70 წელზე უფროსი ასაკის ქალებში. პარტნიორის გარეშე ცხოვრების ალბათობა 5-10 პროცენტით მაღალია საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის, სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებთან შედარებით. იმ ქალების შემთხვევაში, რომლებიც პარტნიორებთან ერთად ცხოვრობენ, პარტნიორებს შორის ასაკობრივი სხვაობა თითქმის უცვლელია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ანუ ქალები ცხოვრობენ პარტნიორებთან, რომლებიც მათზე 4,4 წლით უფროსები არიან. მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა მცირედით მაღალია 20 წლამდე ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების შემთხვევაში და დაახლ. 6,2 წელს შეადგენს. პარტნიორთან ერთად მცხოვრები 50 წელზე უფროსი ასაკის ქალების შემთხვევაში, პარტნიორებს შორის ასაკობრივი სხვაობა მცირდება და 4 წელზე ნაკლებს შეადგენს, რის მიზეზსაც წარმოადგენს ის, რომ ცოლებზე ასაკით უფროსი ქმრები შედარებით ადრე კვდებიან.

საქართველოში, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ქალების რაოდენობა (8 384) აღემატება იმავე ხარისხის მქონე მამაკაცების რაოდენობას

⁸ საქართველოს მაჩვენებლები ფაქტობრივად ძალიან დაბალია, ვინაიდან ისინი ეფუძნება მოსახლეობის მეტობით შეფასებას. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით კორექტირებული მაჩვენებლების თანახმად, განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 2010 წლისათვის იქნებოდა 1,3, 2011 წელს - 1,6, 2012 წელს - 1,9, 2013 წელს - 2,2 და 2014 წელს - 2,5.

გრაფიკი 3.4: საქალაქო და სასოფლო დასახლებებში პარტნიორის გარეშე მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ასაკის მიხედვით



(7 372). შესაძლებელია ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ ამ კატეგორიის ქალებს შორის საშუალოზე მაღალია იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პარტნიორის გარეშე ცხოვრობენ (56,7 პროცენტი), ვინაიდან ეს ქალები არ ქორწინდებიან ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით და რომლებიც, როგორც წესი, არ ქორწინდებიან მამაკაცებზე, რომლებსაც განათლების მათზე დაბალი დონე აქვთ. აღნიშნული მაჩვენებელი იცვლება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, თუმცა 30-34 წლის ასაკის ქალებს შორისაც კი, რომელთა დიდი უმრავლესობა პარტნიორთან ერთად ცხოვრობს, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ქალების 42 პროცენტი პარტნიორის გარეშე ცხოვრობს. მამაკაცების შემთხვევაში,

დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მამაკაცების მხოლოდ 29,5 პროცენტი ცხოვრობს პარტნიორის გარეშე, რაც, უფრო დაბალია, ვიდრე განათლების დონის მიხედვით ყველა კატეგორიის მამაკაცებს შორის პარტნიორის გარეშე მცხოვრები მამაკაცების საშუალო პროცენტული წილი. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, პარტნიორთან ერთად მცხოვრები ქალების ორი მესამედი დაქორწინებულია მამაკაცებზე, რომლებსაც სულ მცირე მაგისტრის ხარისხი აქვთ. განათლების საშუალო დონის მქონე ყველა ასაკის ქალების 45 პროცენტი პარტნიორის გარეშე ცხოვრობს, თუმცა აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი კვლავ იზრდება განათლების დაბალი დონის მქონე ქალების კატეგორიაში:

იმ ქალების 70 პროცენტი, რომელთა განათლების მიღწეული დონე მაქსიმუმ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურია, პარტნიორის გარეშე ცხოვრობს. ამ ქალების უმრავლესობა, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე იმყოფებოდა ქორწინებაში და ამჟამად მათი პარტნიორის გარეშე ცხოვრება უკავშირდება პარტნიორის გარდაცვალებას, განქორწინებას, ან პარტნიორის მიგრაციას. იგივე ვითარებაა განათლების დაბალი დონის მქონე მამაკაცებს შორის, რომელთა შორისაც გაცილებით მცირე პროცენტი ცხოვრობს

25 წლამდე ქალები, რომელთაც, შესაძლოა არ ჰქონდეთ დასრულებული განათლების მიღება. სავარაუდოდ, ცხრილის 3.12 ყველაზე საინტერესო ასპექტი არის ის, რომ 25 წელზე უფროსი ასაკის ქალებს, ასაკობრივი ჯგუფის მიუხედავად, საშუალოდ საკუთარმეუღლეებზე მაღალი განათლება აქვთ მიღებული, თუმცა აღნიშნული ტენდენცია ნაკლებად არის გამოხატული ხანდაზმულ ქალებში. აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ტენდენცია სიახლეს არ წარმოადგენს, არამედ რამდენიმე ათწლეულია არსებობს, თუმცა

ცხრილი 3.12: მეუღლესთან ერთად მცხოვრები ქალების პროცენტული წილი, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით და მეუღლესთან შედარებით განათლების დონის (თანაბარი, უფრო დაბალი ან უფრო მაღალი) მიხედვით

ასაკი	საქალაქო დასახლებები			სასოფლო დასახლებები			სულ		
	თანაბარი	დაბალი	მაღალი	თანაბარი	დაბალი	მაღალი	თანაბარი	დაბალი	მაღალი
15-19	50,4	40,4	9,2	53,0	37,6	9,4	52,0	38,7	9,3
20-24	51,5	27,2	21,2	57,0	22,2	20,9	54,1	24,9	21,1
25-29	51,4	21,2	27,4	53,2	20,3	26,4	52,2	20,8	27,0
30-34	53,1	20,7	26,3	53,2	21,8	25,1	53,1	21,1	25,8
35-39	55,6	18,4	26,0	52,6	22,2	25,2	54,3	20,0	25,7
40-44	57,2	18,1	24,7	55,3	19,9	24,7	56,4	18,9	24,7
45-49	58,8	18,4	22,7	57,7	19,2	23,1	58,3	18,8	22,9
50-54	60,1	19,4	20,4	57,7	20,3	21,9	59,0	19,8	21,1
55-59	59,7	20,0	20,3	57,8	20,3	21,9	58,8	20,2	21,0
60-64	59,3	20,4	20,3	57,1	20,5	22,4	58,2	20,5	21,3
65-69	60,9	19,7	19,4	56,7	20,4	22,8	58,8	20,1	21,1
70-74	60,7	19,2	20,2	56,3	20,8	22,9	58,3	20,0	21,7
75-79	59,6	19,4	21,0	56,1	20,0	23,9	57,6	19,7	22,6
80+	60,4	19,7	19,8	57,8	21,7	21,0	58,8	20,7	20,6
სულ	56,6	20,2	23,2	55,8	20,9	23,2	56,3	20,5	23,2

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

პარტნიორთან ერთად, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცებს შორის. ცხრილში 3.12 მოცემული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ქალები, ძირითადად ქორწინებაში იმყოფებიან განათლების იგივე დონის მქონე მამაკაცებთან, რა განათლების დონეც თავად აქვთ. თუ აღნიშნულს არ აქვს ადგილი, მაშინ ქალები უფრო ხშირად ქორწინებაში იმყოფებიან მათზე დაბალი დონის განათლების მქონე მამაკაცებთან. გამონაკლისს, ძირითადად, წარმოადგენენ

უფრო და უფრო მეტად ხდება გამოხატული ახალგაზრდა თაობაში. ამ თვალსაზრისით მხოლოდ მცირედი სხვაობა ფიქსირდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის.

საქართველოში შედარებით იშვიათია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ქორწინების შემთხვევები, საქართველოში მცხოვრები დაქორწინებული წყვილების 96,9 პროცენტი ერთი და იგივე ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს (ქართველები ძირითადად ქორწინდებიან

ცხრილი 3.13: ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ქორწინებების პროცენტული წილი, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

ეთნიკური ჯგუფი	სულ	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
ქართველი	97,5	96,7	98,5
აზერბაიჯანელი	97,6	90,8	99,1
სომეხი	79,5	66,1	93,0
სხვა ეთნიკური ჯგუფები	32,9	31,0	37,6
ყველა ჯგუფი	96,9	95,7	98,4

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ქართველებზე, აზერბაიჯანელები აზერბაიჯანელებზე, სომეხები სომეხებზე და ა.შ.). ოგანესიანის თანახმად (2014 წ.), რომელიც საკუთარ კვლევას ეთნიკური ნიშნით ქორწინების სტატისტიკის (რომელიც მოიცავს 2007 წლამდე პერიოდის შესაბამის მონაცემებს) საფუძველზე ახორციელებს, 1994-დან 2007 წლამდე საქართველოში შერეული ქორწინებების რაოდენობა შემცირდა თითქმის 50 პროცენტით. ავტორი იშველიებს კავკასიის ბარომეტრის კვლევის (CRRC, 2009-2013) ფარგლებში წარმოებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, რომელიც ადასტურებს, რომ ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალების ეთნიკურად ქართველ მამაკაცებზე ქორწინების მომხრე არიან (90-91 პროცენტი). იგივე კვლევის თანახმად, ეთნიკურად რუსებზე ქორწინება უფრო მისაღებია, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ სხვა ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე. სავარაუდოდ, რუსებთან ერთად ამ კონტექსტში მოიაზრებიან უკრაინელებიც, თუმცა ოგანესიანის ნაშრომში ეს ნახსენები არ არის. ებრაელებზე, აზერბაიჯანელებზე და ქურთებზე/იეზიდებზე ქორწინება, ხშირად ასოცირდება აღმსარებლობათა აღრევასთან და ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობს. ოგანესიანი ასკვნის, რომ შერეული ქორწინებების კლება შესაძლებელია მინიშნებდეს მასზე, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში, ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული გამყოფი ბღვრები უფრო გამყარდა. ამგვარი ტენ-

დენცია შესაძლებელია უარყოფითად აისახოს ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა სოციალურ და სამოქალაქო ინტეგრაციაზე.“ არსებული ვითარების ახსნა ასევე შესაძლებელია რელიგიური განწყობების გაძლიერებით და იმ ფაქტით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქართველი მამაკაცებისთვის გართულდა რუს ქალებზე ქორწინება, წარსულთან შედარებით.

მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, იმ წყვილების 97,5 პროცენტის შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი პარტნიორი ქართველია, მეორე პარტნიორიც ქართველია (ქალაქის მოსახლეობაში - 96,7 პროცენტი, ხოლო სოფლის მოსახლეობაში - 98,5 პროცენტი). აღნიშნული ტენდენცია ბუნებრივია, ვინაიდან ქართველები საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან. თუმცა მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაშიც, სადაც მსგავსი ქორწინებები 97,6 პროცენტს შეადგენს, (ქალაქის მოსახლეობაში - 90,8 პროცენტს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში - 99,1 პროცენტს). ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში ვითარება სხვაგვარადაა, იმ წყვილების 20,5 პროცენტი, რომელთაგან ერთ-ერთი პარტნიორი სომეხია, მეორე პარტნიორი სხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს. ქალაქის მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი ერთ მესამედს შეადგენს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 7 პროცენტს. შერეული ქორწინებების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (67,1 პროცენტი) ფიქსირდება „სხვა ეთნიკურ ჯგუფებში“, რომელთა შორისაც არიან ეთნიკურად რუსი და უკრაინელი

მოსახლეობა. ოგანესიანის თანახმად, საქართველოში შერეულ ქორწინებებს შორის ჭარბობს ქართველებსა და სომხებსა და ქართველებსა და რუსებს შორის ქორწინებების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ, 17 793 წყვილიდან, რომლებშიც ერთ-ერთი პარტნიორი „სხვა ეთნიკურ ჯგუფს“ განეკუთვნება, ხოლო მეორე არა, ყველაზე მრავლად არის წარმოდგენილი წყვილები, რომელთა ერთი პარტნიორი ქართველი მამაკაცია, ხოლო მეორე „სხვა ეთნიკურ ჯგუფს“ წარმომადგენელი ქალი (10 317). ამავე კატეგორიაში, რიგით მეორე დიდ ჯგუფს ქმნიან ქართველი ქალები, რომელთა პარტნიორებიც „სხვა ეთნიკურ ჯგუფს“ განეკუთვნებიან (5 113). აღნიშნული ტენდენციის შესაძლო მიზეზს წარმოადგენს ის, რომ საქართველოში დაბრუნებულ ემიგრანტებს (რომელთა უმრავლესობასაც მამაკაცები წარმოადგენენ) თან ჩამოჰყავთ უცხოელი მეუღლეები. ამ თვალსაზრისით ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვაობა მინიმალურია.

4. შინამეურნეობების შემადგენლობა

შინამეურნეობის შემადგენლობის შესახებ მონაცემები მნიშვნელოვანია, რამდენიმე მიზეზის გამო, მათ შორის შინამეურნეობის შემადგენლობასა და სიღარიბის დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობის გამო. შინამეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან, ასევე შინამეურნეობები, რომელთა წევრების რაოდენობაც აღემატება 5 და ის შინამეურნეობები, რომელთა წევრებიც 15 წლამდე ასაკის ბავშვები არიან, მეტად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე (მსოფლიო ბანკი, 2016 წ. ბ). სამწუხაროდ, მოსახლეობის აღწერის შედეგები არ იძლევა უშუალო ინფორმაციას აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ და შინამეურნეობების შემადგენლობის თავისებურებები, ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლის გამო, საფრთხილოს ხდის სხვა კონტექსტში გამოყენებული მიდგომების მორგებას საქართველოზე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე მონოგრაფიაში არ განვიხილავთ აღნიშნულ ასპექტს.

„შინამეურნეობის უფროსის“ ცნება არ არის ერთმნიშვნელოვანი, ვინაიდან მას სხვადასხვა კონოტაცია აქვს, იმის მიხედვით, წმინდა სტატისტიკური მნიშვნელობით გამოიყენება იგი, თუ გენდერული ანალიზის კონტექსტში. გენდერული ანალიზის კონტექსტში აღნიშნული ცნება გულისხმობს „შინამეურნეობის მართვაზე ძირითადი პასუხისმგებლობის მქონე პირს“. აღნიშნულის განსაზღვრა და რიცხობრივი გამოხატვა არ არის მარტივი, ვინაიდან პირი, რომელიც შინამეურნეობას შემოსავლით უზრუნველყოფს არ არის აუცილებელი იყოს პირი, რომლის მფლობელობაშიც არის საცხოვრისი ან პირი, რომელიც განკარგავს შინამეურნეობის ფინანსებს და იღებს გადაწყვეტილებას შინამეურნეობის ხარჯების შესახებ. გარდა ამისა, არ არის აუცილებელი შინამეურნეობას მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი პირი ჰყავდეს,

განსაკუთრებით საქალაქო დასახლებებში, სადაც დაქორწინებული წყვილი შესაძლებელია მეტ-ნაკლებად თანაბრად ავსებდეს შინამეურნეობის ბიუჯეტს და ერთად იღებდეს გადაწყვეტილებას შინამეურნეობის ხარჯებთან დაკავშირებით. საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცნების განმარტებებს შორის უმნიშვნელო სხვაობამ შესაძლებელია დიდი სხვაობა გამოიწვიოს შინამეურნეობის უფროსის როლის მინიჭებისას (Fuwa, 2000).

სტატისტიკის გადმოსახედიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას წარმოადგენს თუ არა შინამეურნეობის უფროსი შინამეურნეობის მართვაზე ძირითად პასუხისმგებელ პირს. მოსახლეობის აღწერისას საჭიროა დადგინდეს შინამეურნეობის სხვადასხვა წევრებს შორის კავშირის ტიპები და შეირჩეს ძირითადი რესპოდენტი, რომელიც აღწერის კითხვარში შესული კითხვების საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციას შინამეურნეობის წევრებისა და მათ შორის კავშირების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასურველია ეს პირი წარმოადგენდეს პირს, რომელიც შინამეურნეობას ძირითადი შემოსავლით უზრუნველყოფს, ან პირს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს შინამეურნეობის ხარჯებთან დაკავშირებით, ეს არ არის არსებითი და ძირითადი რესპოდენტი შესაძლებელია იყოს შინამეურნეობის სხვა წევრიც. აქედან გამომდინარე, არსებობს ტენდენცია, „შინამეურნეობის უფროსის“ ნაცვლად გამოყენებული იყოს ტერმინი „შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირი“. სწორედ ეს ტერმინი იყო გამოყენებული მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს. აღნიშნული ტერმინის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირი აუცილებელი არ არის გულისხმობდეს პირს, რომელიც შინამეურნეობას ძირითადი შემოსავლით უზრუნველყოფს და არც პირს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, თუმცა ეს მიდგომა


ავიწროებს დიაპაზონს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გაკეთდეს გენდერული ანალიზი, ვინაიდან ეს უკანასკნელი სწორედ გემოლნიშნულ კონოტაციას ეყრდნობა.

ფაქტობრივად, ჯერ კიდევ დომინირებს ტრადიციული ტენდენცია, რომელიც შინამეურნეობის უფროსის ან შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის ოჯახის უხუცეს მამაკაცთან იდენტიფიცირებას გულისხმობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს მნიშვნელოვანი წვლილი (თუმცა არ არის აუცილებელი ყველაზე დიდი წვლილი) შეაქვს შინამეურნეობის ბიუჯეტში. გრაფიკზე 4.1 მოცემულია შინამეურნეობის უფროსთა ასაკობრივი განაწილება ე.ი. შინამეურნეობის უფროსი (მოცემულ შემთხვევაში, შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი) მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ასაკის მიხედვით. შინამეურნეობის უფროსთა, როგორც მამაკაცთა, ასევე ქაღთა პროცენტული წილი იზრდება ასაკის მატების პარალელურად. დღევანდელ მამაკაცებს შორის მცირდება შინამეურნეობის უფ-


როსთა პროცენტული წილი, ხოლო დღევანდელ ქაღებში შინამეურნეობის უფროსთა პროცენტული წილი წყვეტს ზრდას, რაც უკავშირდება ხანდაზმული ასაკში შინამეურნეობის უფროსის როლის ახალგაზრდა თაობაზე ეტაპობრივ გადაცემას. შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირებს შორის მამაკაცების რაოდენობა ჭარბობს; აღნიშნული ტენდენცია მეტ-ნაკლებად მცირდება დღევანდელ მოსახლეობაში, სადაც უფრო ხშირად ვხვდებით შინამეურნეობებს, რომელთა უფროსებსაც ქაღები წარმოადგენენ, რაც სავარაუდოდ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქაღების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღემატება მამაკაცებისას.

გრაფიკზე 4.1ბ მოცემულია ინფორმაცია შინამეურნეობების უფროსების შესახებ, მხოლოდ განსხვავებული კუთხით, კონკრეტულად, შინამეურნეობების პროცენტული წილი კონკრეტული ასაკისა და სქესის პირველად ჩაწერილი პირის მიხედვით. მოცემული გრაფიკიდან აშკარაა, რომ

გრაფიკი 4.1ა: შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი მამაკაცებისა და ქაღების და ერთსულიანი შინამეურნეობის უფროსი მამაკაცებისა და ქაღების პროცენტული წილი, ასაკის მიხედვით



გრაფიკი 4.1ბ: შინამეურნეობების პროცენტული წილი კონკრეტული ასაკისა და სქესის პირველად ჩაწერილი პირის მიხედვით



შინამეურნეობის უფროსის რანგში მამაკაცები დომინირებენ და ეს იზრდება ასაკის მატებასთან ერთად, დაახლ. 53 წლის ასაკამდე, რის შემდგომაც კლებას იწყებს. შინამეურნეობის უფროსის რანგში ქალების პროცენტული წილი შედარებით დაბალია, თუმცა სტაბილურად იზრდება 75 წლის ასაკამდე. ამ ასაკობრივ კატეგორიაში უფრო მეტი ქალი გვევლინება შინამეურნეობის უფროსად, ვიდრე მამაკაცი.

შედარებით ნაკლებია სიტუაციები, როდესაც ქალები სახელდებიან შინამეურნეობის უფროსად ან პირველად ჩაწერილ პირად. ერთ-ერთია ერთსულიანი შინამეურნეობები, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობენ. ესენი წარმოადგენენ იმ შინამეურნეობების უმრავლესობას, სადაც შინამეურნეობების უფროსები ქალები არიან. როგორც გრაფიკ-ზე 4.1 მოცემული ინფორმაციიდან ირკვევა, 65 წელზე უფროსი ასაკის ქალების 20 პროცენტი მართლაც ცხოვრობს, ხშირად იმის გამო, რომ მათი მეუღლეები გარდაცვლილები არიან და შვილები მათთან აღარ ცხოვრობენ.

ამ თვალსაზრისით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის სხვაობა უმნიშვნელოა. საქალაქო დასახლებებში, იმ შინამეურნეობების რაოდენობა, სადაც

უფროსები არიან ქალები, განსაკუთრებით ახალგაზრდა და შუახნის ასაკის ქალები, შედარებით მაღალია. მაგ., საქალაქო დასახლებებში მცხოვრები 40-49 წლის ასაკის ქალების 25,0 პროცენტი შინამეურნეობების პირველად ჩაწერილ პირებს წარმოადგენენ; მაშინ როცა, ქვეყნის მასშტაბით, ამ ასაკის ქალების მხოლოდ 19,1 პროცენტი წარმოადგენს შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს, ხოლო სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 40-49 წლის ასაკის ქალების - 10,3 პროცენტი. დღეგრძელ (80 წლის და უფროსი ასაკის) მოსახლეობაში აღნიშნული თვალსაზრისით არსებული სხვაობა ნაკლებადაა გამოხატული. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებს შორის, შინამეურნეობების უფროსებად ყველაზე ხშირად გვევლინებიან ახალგაზრდა და შუახნის მამაკაცები, რომელთა პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე მამრობითი სქესის მთლიან მოსახლეობაში. თუმცა საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ხანდაზმულ მამაკაცებს შორის შინამეურნეობის უფროსების პროცენტული წილი უფრო დაბალია, ვიდრე მამრობითი სქესის მთლიან მოსახლეობაში. მაგ., საქალაქო დასახლებებში მცხოვრები 60-69 წლის ასაკის მამაკაცების 84,4 პროცენტი შინამეურნეობის

პირველად ჩაწერილი პირია მაშინ, როცა ამავე ასაკის მამრობითი სქესის მთლიან მოსახლეობის 87,9 პროცენტი წარმოადგენს შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს; სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 60-69 წლის ასაკის მამაკაცების 91,7 პროცენტი წარმოადგენს შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს. დაახლოებით იგივე ვითარებაა ერთსულიანი შინამეურნეობების შემთხვევაში. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები 40 წლამდე მამაკაცები უფრო ხშირად ცხოვრობენ მარტო, ვიდრე სასოფლო დასახლებებში მცხოვრები იგივე ასაკის მამაკაცები, თუმცა 40 წელზე უფროსი ასაკის მამაკაცებში ვითარება პირიქითაა. ერთსულიანი შინამეურნეობაში მცხოვრები ქალების პროცენტული წილი უფრო მაღალია საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების შემთხვევაში, ვიდრე სასოფლო დასახლებებში. ამ თვალსაზრისით

გამონაკლისს წარმოადგენენ 75 წელზე უფროსი ასაკის ქალები, რომელთა შემთხვევაშიც ვითარება პირიქითაა.

ცხრილში 4.1 ნაჩვენებია შინამეურნეობის მამრობითი და მდედრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების მდგომარეობა შინამეურნეობებში და სქესთა შორის არსებული სხვაობა თვალშისაცემია. მდედრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების დიდი უმრავლესობა ან მარტო ცხოვრობს ან ცხოვრობს პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან მათი მეუღლეები, შვილები ან მშობლები. მდედრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ შვილებთან ერთად (5,4 პროცენტი), შვილებთან და სხვა პირებთან ერთად (2,4 პროცენტი) და შვილებთან და საკუთარ დედებთან ერთად (0,3 პროცენტი) გასაოცრად მცირეა. აღნიშნული კუთხით სრულებით განსხვავებული სიტუაციაა

ცხრილი 4.1: შინამეურნეობის შემადგენლობის კატეგორიები, შინამეურნეობის მამრობითი და მდედრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების მიხედვით

შინამეურნეობის შემადგენლობის კატეგორია	%
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლეებთან და სხვა პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან მათი შვილები ან მშობლები	33,7
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლეებთან და შვილებთან ერთად	18,2
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლესთან ერთად, შვილების გარეშე	14,7
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო	10,1
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ სხვა პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან მათი მეუღლეები, შვილები ან მშობლები	7,2
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლესთან, შვილებთან და სხვა პირებთან ერთად	6,5
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლესთან, შვილებთან და ერთ ან ორივე მშობელთან ერთად	2,9
მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლესთან და ერთ ან ორივე მშობელთან ერთად	0,8
ქალები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო	30,6
ქალები, რომლებიც ცხოვრობენ სხვა პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან მათი მეუღლეები, შვილები ან მშობლები	48,2
ქალები, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ შვილებთან ერთად	5,2
ქალები, რომლებიც ცხოვრობენ შვილებთან და სხვა პირებთან ერთად	2,4
ქალები, რომლებიც ცხოვრობენ შვილებთან და საკუთარ დედებთან ერთად	0,3

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მამრობითი სქესის პირველად ჩაწერილ პირებთან, რომელთა უმრავლესობა ცხოვრობს მეუღლეებთან და სხვა პირებთან ერთად (33,7 პროცენტი) ან მეუღლეებთან და შვილებთან ერთად (18,2 პროცენტი). მამრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების საკმაოდ მაღალი პროცენტული წილი (14,7 პროცენტი) ცხოვრობს მეუღლეებთან, შვილების გარეშე. ასევე არ წარმოადგენენ იშვიათობას მამრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირები, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლესთან, შვილებთან და სხვა პირებთან ერთად (6,5 პროცენტი) და მათი პროცენტული წილი აღემატება მამრობითი სქესის იმ პირველად ჩაწერილი პირების პროცენტულ წილს, რომლებიც ცხოვრობენ მეუღლესთან, შვილებთან და ერთ ან ორივე მშობელთან ერთად (2,9 პროცენტი).

საქალაქო დასახლებებში აღწერილი შინამეურნეობების მხოლოდ 15,1 პროცენტი და სასოფლო დასახლებებში აღწერილი შინამეურნეობების 9,4 პროცენტი წარმოადგენს ტიპურ ნუკლეარულ შინამეურნეობას (წყვილი შვილებთან ერთად და სხვა პირების გარეშე). საქალაქო დასახლებებში აღწერილი შინამეურნეობების 8,5 პროცენტს და სასოფლო დასახლებებში აღწერილი შინამეურნეობების 12,7 პროცენტს წარმოადგენენ წყვილები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, შვილების გარეშე. საქალაქო დასახლებებში, ამ ტიპის შინამეურნეობების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის პირველად ჩაწერილ პირებს ქალები წარმოადგენენ (12,3 პროცენტი), თუმცა სასოფლო დასახლებებში აღნიშნული ტიპის შინამეურნეობები იშვიათობაა (2,9 პროცენტი). მეორე მხრივ, საქალაქო დასახლებებში აღწერილი შინამეურნეობების 22,9 და სასოფლო დასახლებებში აღწერილი შინამეურნეობების 20,7 პროცენტი წარმოადგენს შინამეურნეობებს, რომლებშიც პირველად ჩაწერილი პირები ცხოვრობენ „სხვა“ პირებთან ერთად. ძალიან ხშირად ამ ტიპის შინამეურნეობებში (საქალაქო დასახლებებში - 80,5 პროცენტი, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 77,2 პროცენტი) შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს ქალები წარმოადგენენ. ამ ტიპის

შინამეურნეობების უმრავლესობაში მდედრობითი სქესის პირველად ჩაწერილი პირების მეუღლეები საზღვარგარეთ იყოფებიან და შინამეურნეობებს ფულადი გზავნილებით უზრუნველყოფენ.

დაბოლოს, ცხრილში 4.2 ნაჩვენებია 10 წლამდე იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ ერთ ან ორივე მშობელთან ერთად. საერთო ჯამში, 10 წლამდე ბავშვების 82,5 პროცენტი ცხოვრობს ორივე მშობელთან ერთად; აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება ბავშვების ასაკის მატების პარალელურად, ვინაიდან უფროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში უფრო მაღალია მშობლების განქორწინების ალბათობა. აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ საკუთარ შვილებთან ერთად მცხოვრები ქალები შინამეურნეობების მხოლოდ 5,4 პროცენტს შეადგენენ (იხ. ზევით), განქორწინებული მშობლების ბავშვების უმრავლესობა დედებთან ერთად ცხოვრობს (10 წლამდე ყველა ბავშვის 11,3 პროცენტი) და მხოლოდ მცირე რაოდენობა ცხოვრობს მამებთან ერთად (1,4 პროცენტი).

ცხრილი 4.2: 0-9 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა და მათი პროცენტული წილი, იმის მიხედვით ცხოვრობენ ისინი ერთ თუ ორივე მშობელთან ერთად, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

სულ	სულ	ბავშვების ასაკი		
		0	1-4	5-9
ბავშვების რაოდენობა სულ	485 113	51 655	203 434	230 024
შინამეურნეობაში არ არის არც ერთი მშობელი	4,7	5,0	4,7	4,8
შინამეურნეობაში არის მხოლოდ მამა	1,4	1,1	1,1	1,8
შინამეურნეობაში არის მხოლოდ დედა	11,3	8,3	9,4	12,9
შინამეურნეობაში არის ორივე მშობელი	82,5	85,6	84,8	80,5
საქალაქო დასახლებები				
ბავშვების რაოდენობა სულ	292 067	292 067	122 108	139 301
შინამეურნეობაში არ არის არც ერთი მშობელი	4,4	4,5	4,3	4,6
შინამეურნეობაში არის მხოლოდ მამა	1,5	1,2	1,2	1,8
შინამეურნეობაში არის მხოლოდ დედა	13,7	9,5	11,0	16,0
შინამეურნეობაში არის ორივე მშობელი	80,4	84,8	83,5	77,6
სასოფლო დასახლებები				
ბავშვების რაოდენობა სულ	193 046	193 046	81 326	90 723
შინამეურნეობაში არ არის არც ერთი მშობელი	5,2	5,8	5,4	5,1
შინამეურნეობაში არის მხოლოდ მამა	1,4	0,8	0,9	1,8
შინამეურნეობაში არის მხოლოდ დედა	7,7	6,5	7,1	8,3
შინამეურნეობაში არის ორივე მშობელი	85,7	86,8	86,7	84,8

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

5. შობადობა და უშვილობა



შობადობა და უშვილობა

მოსახლეობის 2014 წელს აღწერის შედეგების მიხედვით მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი საქართველოში შობადობის მაჩვენებლის განსაზღვრა, ვინაიდან მოსახლეობის აღწერის დროს გამოყენებულ კითხვარში არ იყო შეტანილი სრულად ის კითხვები, რომლებიც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებოდა. ერთადერთი კითხვა, რომელიც ამ მიმართულებით იყო დასმული (და რომელზეც პასუხის გაცემა ევალებოდათ 15 წელზე უფროსი ასაკის ქალებს) ეხებოდა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას, რომელიც – ცალკე აღებული – არ არის საკმარისი შობადობის მაჩვენებლის განსაზღვრისთვის, თუმცა ამ კითხვაზე გაცემული პასუხები შესაძლებელია სხვა მიზნებისათვის იყოს გამოყენებული.⁹ გარდა ამისა, ამ კითხვაზე პასუხი არ გასცა ქალების საკმაოდ დიდმა წილმა (7,3 პროცენტი). აღნიშნული, ჩვეულებრივ, უკავშირდება იმას, რომ პირები, რომლებიც გამოკითხვას აწარმოებდნენ, აღნიშნულ გრაფას ტოვებდნენ შეუვსებელს, იმის მაგივრად რომ ჩაეწერათ „0 ბავშვი“, განსაკუთრებით თუ ქალის ასაკი და ქორწინებითი მდგომარეობა გულისხმობდა იმას, რომ მას ბავშვები არ ჰყავდა. მსგავსი ვითარება დაფიქსირდა ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ კითხვების შემთხვევაშიც, შესაბამისი გრაფები შეუვსებელი რჩებოდა იმის გამო, რომ ქალის ასაკი იმაზე მინიმუმს იჭერდა, რომ იგი, წესით, არ უნდა ყოფილიყო ქორწინებაში. არსებობს მეთოდი, ე.წ. „El-Badry Technique“, (Moultrie et al., 2013: 35), რომლის საშუალებითაც წარმოებს


იმის შეფასება, იყო თუ არა აღნიშნული ფაქტი, კითხვარში პასუხგაუცემელი კითხვების რეალური მიზეზი და შესაძლებელია თუ არა შესაბამისი კორექციის წარმოება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით დადგინდა, რომ პასუხების 2,9 პროცენტი მართლაც უცნობია, ხოლო დანარჩენი 4,4 პროცენტი უნდა მივიჩნიოთ, როგორც 0. წინამდებარე ანალიზში გამოყენებულია შესაბამისად კორექტირებული მონაცემები, ცოცხლად დაბადებულზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კორექტირება ვრცელდება მთლიან მოსახლეობაზე და განსხვავებული იქნება მოსახლეობის კონკრეტული სეგმენტების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის აღწერისას გარკვეული ხარვეზები არსებობდა შობადობის შესახებ კითხვებთან დაკავშირებით, მიღებული მონაცემებით იკვთება ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც, ფაქტობრივად, ავსებს არსებულ ხარვეზებს. კერძოდ, მოსახლეობის აღწერის შედეგები იძლევა იმ ქალების იდენტიფიცირების საშუალებას, რომლებიც საკუთარ შვილებთან ერთად ცხოვრობენ ერთ შინამეურნეობაში. საერთო ჯამში, აღნიშნული მონაცემები იგივე ინფორმაციას იძლევა, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია შობადობის შესახებ კითხვების საშუალებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვები არ ცხოვრობენ თავიანთ დედებთან ერთად, თუმცა ამგვარი შემთხვევები, 1 წლამდე ასაკის ბავშვებში მხოლოდ 6,2 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, ანალოგური ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი ბავშვების მამებთან დაკავშირებითაც, რაც, გარდა ქალების ნაყოფიერების ასაკისა, მამაკაცების ნაყოფიერების ასაკის იდენტიფიცირების საშუალებასაც იძლევა.¹⁰

⁹ კითხვარში ასევე შეტანილი იყო კითხვა ცოცხლად დაბადებულთაგან ამჟამად ცოცხალი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებლები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას, წარმოებს გარდაცვლილი ბავშვების პროცენტული წილის დაკავშირება სხვადასხვა ასაკის ქალებში რეტროსპექტული კვლევის შედეგად მიღებული შობადობის მაჩვენებელთან, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობა და, ასევე, გარდაცვალებისას მათი საშუალო ასაკი (Moultrie et al., 2013: 139).

¹⁰ დემოგრაფიულ ლიტერატურაში, ამგვარ ანალიზს ეწოდება „Own Children Method“, საკუთარი შვილების მეთოდი“ (Moultrie et al., 2013: 82). აღნიშნული მეთოდით წარმოებს ბავშვების დაკავშირება დედებთან, თუმცა წინამდებარე ანგარიშში

გრაფიკი 5.1: მამაკაცებისა და ქალების ნაყოფიერება, ასაკის მიხედვით, იმ შინამეურნეობში, რომლის წევრებიც არიან 1 წლამდე (0 წლის) ასაკის ბავშვები და რომელშიც ორივე მშობელი, დედაც და მამაც წარმოდგენილია



გრაფიკზე 5.1 ნაჩვენებია 1 წლამდე ასაკის ბავშვების განაწილება შინამეურნეობებში, სადაც ბავშვების ორივე მშობელია წარმოდგენილი, დედებისა და მამების ასაკის მიხედვით. აღნიშნული მონაცემები გამოგვადგება მამაკაცებისა და ქალების ნაყოფიერების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის. მამაკაცების ნაყოფიერების ასაკი დაახლ. 5 წლით გვიან იწყება, ვიდრე ქალების და მცირედით აღემატება ქალების ნაყოფიერებას, რაც ბუნებრივია. ვინაიდან მონაცემები ეხება მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებიც ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ, შეუძლებელია გრაფიკში 5.1 მოცემული ინფორმაციის პირდაპირი ინტერპრეტირება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტებად. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ 1 წლამდე ასაკის

ბავშვების 85,6 პროცენტი ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს და თუ მივიჩნევთ, რომ იმ ბავშვების მშობლების ნაყოფიერების ასაკი, რომლებიც მხოლოდ ერთ მშობელთან ან მშობლების გარეშე ცხოვრობენ, დიდად არ განსხვავდება იმ ბავშვების მშობლების ნაყოფიერების ასაკისაგან, რომლებიც ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს, შობადობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 1,98 ბავშვს ერთ ქალზე, მოსახლეობის აღწერამდე ერთი წლით ადრე.

შობადობა საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ქორწინებას. მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, 40-44 წლის ქალებს შორის, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, მხოლოდ 3,7 პროცენტს ჰყავს გაჩენილი ბავშვი. აღნიშნული მაჩვენებელი ოდნავ მაღალია ქალაქის მოსახლეობაში (4,6 პროცენტი) სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (1,6 პროცენტი). ცხრილში 5.1

ბავშვების დაკავშირება წარმოებს, როგორც დედებთან, ასევე მამებთან, იმ შინამეურნეობებში, სადაც ორივე მშობელია წარმოდგენილი.

მოცემულია 15 წელზე უფროსი ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში და ჰყავთ ბავშვები. შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქ. თბილისში (15 წელზე უფროსი ასაკის ქალების 1,73 პროცენტი და 40-44 წლის ასაკის ქალების 5,7 პროცენტი), თუმცა გურიისა და სამცხე-ჯავახეთის საქალაქო დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით მაღალია 15 წელზე უფროსი ასაკის ქალებში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მაჩვენებლები ძალიან დაბალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

გემოაღნიშნული “El-Badry“ კორექტირების მეთოდის გამოყენებისას, 40-44 წლის ასაკის ქალების 14,0 პროცენტი, მათ შორის ქალებისა, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, უშვილოა. აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 13,4 პროცენტს და დიდად არ განსხვავდება 1961-დან 1967 წლამდე დაბადებული ქალების კოჰორტული მაჩვენებლისგან, რაც

დადგინდა საქართველოში ჩატარებული ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევის (GGS) შედეგად. მაგრამ უშვილობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სომხეთში 2011 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ანალოგიური მაჩვენებელი (11,0 პროცენტი). უშვილობა უფრო ხშირია საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის (15,4 პროცენტი, კორექტირების შედეგად) სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებთან შედარებით (11,8 პროცენტი, კორექტირების შედეგად). გენდერულ თანასწორობასა და უშვილობას შორის კორელაცია არ არის მკაფიო, ვინაიდან ორივე ასპექტს საკუთარი ფაქტორები გააჩნია. მიტინენ და სხვების (Miettinen et al. 2015: გვ. 31) კვლევის თანახმად ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და უშვილობის მაღალ მაჩვენებელს შორის კორელაცია არ დგინდება ან, შესაძლებელია მცირედ უარყოფით კორელაციას ჰქონდეს ადგილი.“

ცხრილი 5.1: 15 წელზე უფროსი ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში და ჰყავთ ბავშვები, რეგიონებისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

რეგიონი	შვილიანი ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში		
	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები	სულ
თბილისი	1,75	1,16	1,73
აჭარა	0,97	0,14	0,63
გურია	2,12	0,82	1,22
იმერეთი	1,08	0,54	0,83
კახეთი	1,96	1,09	1,34
მცხეთა-მთიანეთი	1,40	0,78	0,95
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,30	0,73	0,87
სამეგრელო და ზემო სვანეთი	0,98	0,49	0,69
სამცხე-ჯავახეთი	1,99	0,40	1,03
ქვემო ქართლი	1,66	0,74	1,24
შიდა ქართლი	1,39	0,92	1,13
საქართველო	1,58	0,67	1,29

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

იგივე კვლევის (Miettinen et al.) ფარგლებში, საქართველოში ქალების უშვილობის მაჩვენებელი შეფასებულია, როგორც „საშუალო“, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე ბულგარეთის, ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლიტვის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, მოლდავეთის (ეს უკანასკნელი არ არის ნახსენები მიტინენის კვლევაში (Miettinen et al.) და რუსეთის მაჩვენებელი; ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევის (GGG) შედეგად მიღებული 13,4 პროცენტის გადმოსახედიდან, საქართველოში ქალების უშვილობის მაჩვენებელი თითქმის უტოლდება საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, ნორვეგიაში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, სლოვენიაში, შვედეთში და აშშ-ში დაფიქსირებულ ანალოგურ მაჩვენებლებს, მაგრამ ჩამოუვარდება ავსტრიაში, იტალიაში, ფინეთში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს, რომლებიც საშუალოდ 20 პროცენტს შეადგენს. მიტინენის (Miettinen et al.) გემოალნიშნული კვლევა წარმოებდა, როგორც მამაკაცების უშვილობის, ასევე ქალების უშვილობის მიმართულებით, თუმცა მამაკაცებს შორის უშვილობის შესახებ მონაცემების მოპოვება შეუძლებელია საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგად, ვინაიდან ცოცხლად დაბადებულ ბავშვებზე კითხვას მხოლოდ ქალებს უსვამდნენ და ძალიან იშვიათად უსვამენ მამაკაცებს, მოსახლეობის აღწერის დროს). მამაკაცებს შორის უშვილობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (23 პროცენტზე მეტი 45–49 წლის ასაკის მამაკაცებში) ფიქსირდება ფინეთში, იტალიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. ზოგადად უშვილობის მაჩვენებელი მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში, თუმცა 2009 წელს საქართველოში ჩატარებული ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების კვლევის (GGG) მონაცემებით (რომლის ფარგლებშიც აღნიშნულ კითხვას უსვამდნენ მამაკაცებსაც) ირკვევა, რომ საქართველოში აღნიშნული ტენდენცია არ იკვეთება, რადგან 45–49 წლის ასაკის მამაკაცებში უშვილობის მაჩვენებელი

შეადგენდა 12,2 პროცენტს (Miettinen et al., 2015: Table 3c).

ცხრილში 5.2 შესულია საქართველოს მოსახლეობაში უშვილობის შესახებ მონაცემები, რეგიონებისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით.

ცხრილში 5.2 მოცემული პროცენტული მაჩვენებლები უკიდურესად დაბალია, ისეთ კატეგორიებშიც კი, როგორცაა ქვრივი ან განქორწინებული ქალები, რომლებსაც თეორიულად შესაძლებელია ვერ მოესწროთ ბავშვის გაჩენა განქორწინებამდე ან მეუღლის გარდაცვალებამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პირველი ბავშვის დაბადება ქორწინებიდან ძალიან მალე ხდება და შეუძლებელი წყვილები არ იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ პირველი ბავშვის გაჩენა მათთვის ხელსაყრელ დრომდე გადადონ, ანუ, ვიდრე არ მოაწესრიგებენ საკუთარ კარიერასა და არ გაიუმჯობესებენ ფინანსურ მდგომარეობას.

სამწუხაროდ, შეუძლებელია ამ ვარაუდის დადასტურება, ვინაიდან მოსახლეობის აღწერის ფარგლებში არ მომხდარა ინფორმაციის მოპოვება ქორწინებიდან პირველი ბავშვის დაბადებამდე პერიოდის შესახებ. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია, არის ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა, რომლის ანალიზიც შესაძლებელია საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, როგორც ეს ნაჩვენებია გრაფიკზე 5.2. აღნიშნულ გრაფიკზე განსაკუთრებით გამოსაყოფია შემდეგი:

1. შობადობა უფრო მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით.
2. ერთ ქალზე ბავშვების საშუალო რაოდენობა საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის მეტ-ნაკლებად სტაბილური ხდება 40 წელზე უფროსი ასაკის ქალებში, თუმცა ზრდას განაგრძობს სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის. ეს გვაძლევს საშუალებას

ცხრილი 5.2: 40-44 წლის იმ უშვილო ქალების პროცენტული წილი, რომლებიც ერთხელ მაინც იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ქორწინებითი მდგომარეობისა და ქორწინების ტიპის მიხედვით

დასახლების ტიპები	რეგისტრირებული ქორწინება	სხვა ტიპის ქორწინება	ქვრივი	განქორწინებული
საქალაქო დასახლებები				
თბილისი	1,9	5,4	2,0	3,9
აჭარა	1,2	4,4	1,3	4,7
გურია	0,8	5,1	2,1	3,6
იმერეთი	1,5	4,9	0,8	3,0
კახეთი	1,7	4,6	0,9	4,1
მცხეთა-მთიანეთი	0,8	5,6	-	6,1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,3	-	-	8,3
სამეგრელო და ზემო სვანეთი	2,0	3,4	0,7	2,1
სამცხე-ჯავახეთი	0,7	3,2	1,9	0,9
ქვემო ქართლი	1,2	3,1	1,4	2,4
შიდა ქართლი	1,6	2,8	1,2	3,9
საქართველო	1,6	4,7	1,6	3,7
სასოფლო დასახლებები				
თბილისი	0,5	5,4	4,0	6,0
აჭარა	0,8	6,7	0,9	7,8
გურია	0,9	1,3	-	5,9
იმერეთი	1,1	4,6	0,8	2,7
კახეთი	0,9	3,8	0,9	3,8
მცხეთა-მთიანეთი	0,9	3,3	0,9	8,1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,6	4,4	-	-
სამეგრელო და ზემო სვანეთი	1,0	6,1	0,6	3,3
სამცხე-ჯავახეთი	0,3	5,6	-	1,5
ქვემო ქართლი	0,5	1,3	0,6	6,8
შიდა ქართლი	0,7	4,1	0,4	5,9
საქართველო	0,8	3,8	0,7	4,9
სულ				
თბილისი	1,8	5,4	2,1	4,0
აჭარა	1,0	5,1	1,2	5,3
გურია	0,9	2,5	0,6	5,0
იმერეთი	1,3	4,8	0,8	2,9
კახეთი	1,1	4,0	0,9	3,9
მცხეთა-მთიანეთი	0,9	3,8	0,7	7,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,5	3,0	-	3,2
სამეგრელო და ზემო სვანეთი	1,3	4,9	0,7	2,0
სამცხე-ჯავახეთი	0,4	4,6	0,9	1,1
ქვემო ქართლი	0,8	2,2	0,9	3,7
შიდა ქართლი	1,1	3,6	0,8	4,6
საქართველო	1,3	4,4	1,2	3,9

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ვივარაუდოთ, რომ ქალაქის მოსახლეობაში შობადობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობაში შობადობის მაჩვენებელი ნელ-ნელა იკლებს და უფრო და უფრო უახლოვდება ქალაქის მოსახლეობაში დაფიქსირებულ შობადობის მაჩვენებელს.

- რეგისტრირებული ქორწინებების შემთხვევაში შობადობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე არარეგისტრირებული ქორწინებების შემთხვევაში, თუმცა მათ შორის სხვაობა უმნიშვნელოა.
- ქვრივ ქალთა კოჰორტული შობადობის მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ქორწინებაში მყოფ ქალთა კოჰორტული შობადობის მაჩვენებელი, მაგრამ ეს სხვაობა დიდი არ არის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქალების დაქვრივება ძირითადად ხდება მას შემდეგ, რაც მათ დაასრულეს ბავშვთა შობის პერიოდი.
- როგორც მოსალოდნელი იყო, განქორწინებულ ქალებში შობადობის კოჰორტული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქორწინებაში მყოფი ქალების მაჩვენებლისგან.

ცხრილში 5.2 ნაჩვენებია ქალების ეკონომიკურ აქტიურობასა და შობადობის დონეებს შორის ურთიერთკავშირი. საერთო ჯამში, ამ მიმართულებით ძირითადად სამი ფაქტორია გადამწყვეტი მნიშვნელობის:


- შემოსავალი და ეკონომიკური უსაფრთხოება;
- დამოკიდებული ასაკის ბავშვებზე ზრუნვისათვის საკმარისი დრო;
- ოჯახის ბიუჯეტში ბავშვების პოტენციური წვლილი.

ერთად აღებული, აღნიშნული ფაქტორები ხსნის იმას, თუ რატომ ფიქსირდება ბავშვების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (2,14 ბავშვი ერთ ქალზე – 35-39 წლის ასაკის ქალებში) სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის, რომლებიც თვითდასაქმებულნი არიან საკუთარ სოფლის მეურნეობაში ან არიან

დამხმარე ოჯახის წევრები. სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ამ ქალების კატეგორიას გააჩნია ეკონომიკური უსაფრთხოების გარკვეული დონე და ამასთან, მათი სამუშაო ხელს არ უშლით მათ ბავშვებზე ზრუნვაში. გარდა ამისა, ბავშვები მათთვის გარკვეულ ეკონომიკურ ღირებულებას წარმოადგენენ. მეორე მხრივ, საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს, რომლებიც დაქირავებით მუშაობენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბავშვების სარჩენად საკმარისი შემოსავალი აქვთ, სამუშაოს გამო არ აქვთ საკმარისი დრო იზრუნონ მცირეწლოვან ბავშვებზე, განსაკუთრებით ბავშვთა მოვლის ინსტიტუციური დაწესებულებების ნაკლებობის პირობებში. 35-39 წლის ასაკის საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების შემთხვევაში, ბავშვების საშუალო რაოდენობა მხოლოდ 1,49 ბავშვს შეადგენს ერთ ქალზე, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია განხილულ კატეგორიებს შორის. უმუშევარ ქალებს და, ნაწილობრივ, იმ ქალებს, რომლებიც არ არიან ეკონომიკურად აქტიური, საკმარისი დრო აქვთ ბავშვებზე ზრუნვისათვის, მაგრამ ხშირად განიცდიან ეკონომიკური უსაფრთხოების ნაკლებობას, რომელიც მეორე და შემდგომი ბავშვების გაჩენის წინაპირობაა. საერთო ჯამში, ცხრილიდან 5.3 შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნა, რომ გადამწყვეტ ფაქტორს შობადობის თვალსაზრისით წარმოადგენს არა ის, დასაქმებულია თუ არა ქალი, არამედ კონკრეტული სამუშაო პირობები, როგორცაა მაგ., მოქნილი სამუშაო განრიგი. მიუხედავად ამისა, ცხრილი 5.3 გვიჩვენებს, რომ ქალებს, რომლებიც დაქირავებით მუშაობენ, ნაკლები ბავშვები ჰყავთ, ვიდრე ქალებს, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი ან არიან ეკონომიკურად არააქტიურები.

ზემოაღნიშნული მიგნებები უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კონტექსტში, კერძოდ, ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში აქტუალურ „ოჯახური ურთიერთობების მოდელის“ და ქალთა ეკონომიკურ აქტიურობასა და შობადობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში. „ოჯახური ურთიერთობების“ პრინციპები საკმაოდ აქტუალურ განხილვის საგანს

გრაფიკი 5.2: ცოცხლად დაბადებულთა საშუალო რაოდენობა ქალზე, ასაკის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ქორწინების ტიპის მიხედვით



ცხრილი 5.3: 25–29, 30–34 და 35–39 ასაკობრივი ჯგუფის ქალები, ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობის, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და დასაქმების სტატუსის მიხედვით

დასაქმების სტატუსი	25–29		30–34		35–39	
	საქალაქო დასახლ.	სასოფლო დასახლ.	საქალაქო დასახლ.	სასოფლო დასახლ.	საქალაქო დასახლ.	სასოფლო დასახლ.
სულ	1,04	1,36	1,46	1,75	1,67	1,97
დასაქმებული	0,73	1,32	1,23	1,76	1,54	2,00
დაქორწინებით მომუშავე	0,69	0,87	1,18	1,43	1,49	1,77
დამქორწინებელი (მეწარმე, ფერმერი დაქორწინებული მუშახელით)	1,00	1,16	1,42	1,95	1,69	1,69
თვითდასაქმებული (გარდა საკუთარ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულისა)	0,96	1,19	1,43	1,67	1,67	1,86
თვითდასაქმებული საკუთარ სოფლის მეურნეობაში	1,59	1,58	1,92	1,95	2,10	2,14
ოჯახში დამხმარე წევრი	1,57	1,59	2,03	1,90	2,06	2,11
უმუშევარი	1,13	1,18	1,53	1,64	1,72	1,84
ეკონომიკურად არააქტიური	1,38	1,47	1,74	1,80	1,88	1,96
არ არის მითითებული	1,00	1,17	1,29	1,44	1,34	1,61

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, მათ შორის, რეგიონში შობადობის დაბალი მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. აღნიშნული მოდელის თანახმად, შობადობის დაბალი მაჩვენებლები საბჭოთა პერიოდის დროს წარმოებული პოლიტიკის მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომელმაც შეცვალა „ბავშვების ნორმატიული საჭიროებისადმი“ ხალხის დამოკიდებულება. კონსერვატიულად მოაზროვნე საზოგადოება მხარს უჭერს „ოჯახური ფასეულობების“ გაძლიერებას, მათ შორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქალების წახალისება არ იმეუფონ და არ მისდიონ კარიერას, ხელს შეუწყობს შობადობის ზრდას. თუმცა პარადოქსია, რომ ის საზოგადოებები, სადაც მსგავსი მოსაზრებები დომინირებს, ასევე წარმოადგენენ საზოგადოებებს, სადაც შობადობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია. თანამედროვე საზოგადოებებში, მკაცრად ოჯახზე ორიენტირებულ ინსტიტუტებსა და დამოკიდებულებებზე მეტისმეტი ყურადღების გამახვილება შობადობის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა.

კონკრეტულად, ქალების დასაქმების როლის შესახებ ბოლო დროს წარმოებული კვლევები იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ შობადობასა და ქვეყანაში ქალების დასაქმების დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც წარსულში უკუპროპორციული იყო, თანდათან პირდაპირპროპორციული ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში, მაშინაც კი, როცა ინდივიდუალურ დონეზე აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება კვლავაც უკუპროპორციულია (Matysiak & Vignoli, 2008; Neyer, Lappegård & Vignoli, 2011). შობადობასა და ქვეყანაში ქალების დასაქმების დონეს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების გათვალისწინება უკვე დაწყებულია სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირებისას. ამის დასტურია ევროპის კომისიის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების

შეთავსების უზრუნველყოფას, სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობისა (მიზანი: 2020 წლისათვის ქალთა 75 პროცენტის მონაწილეობა) და ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდას, მათ შორის იმ ქალებისა, რომლებსაც შვილებზე ზრუნვა აკისრიათ (ევროპის კომისია, 2010 წ.). ევროპის კომისიას მტკიცედ სჯერა, რომ თანაბარი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ქალთა დასაქმების დონის ზრდა და სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის ხელშეწყობა დადებითად აისახება შობადობაზე.

თუმცა აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც 1990-იან წლებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საგრძნობლად გაუარესდა დასაქმებული ქალების ხელშეწყობაზე ორიენტირებული სისტემები, დასაქმებასა და შობადობას შორის ურთიერთდამოკიდებულება კვლავ უკუპროპორციული რჩება. აღნიშნულ ქვეყნებში ერთ დროს აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაო ძალაში მონაწილეობის თვალსაზრისით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, თუმცა ყურადღება არ მახვილდებოდა აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობის განაწილებაზე მამაკაცებსა და ქალებს შორის (Matysiak & Vignoli 2010). აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შობადობაზე ზემოქმედებას ახდენს არა იმდენად თავისთავად ქალების დასაქმება, არამედ ის პირობები, რომლებშიც წარმოებს ქალების ეკონომიკური აქტიურობის რეალიზება. როდესაც ეკონომიკური აქტიურობა ქალის არჩევანზე დამოკიდებული, დასაქმებასა და შობადობას შორის იმგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა მოსალოდნელი, როგორსაც ადგილი აქვს დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში (Hakim, 2000). მაგრამ, როდესაც ქალების დასაქმება ოჯახის შემოსავლების შევსების აუცილებლობით არის განპირობებული და როდესაც სამუშაო გარემო მკაცრია და არ იძლევა საშუალებას დასაქმებულმა ქალებმა ისარგებლონ მოქნილი სამუშაო გრაფიკითა და სხვა საშუალებებით, რათა შეათავსონ თავიანთი პროდუქტიული და რეპროდუქტიული

ფუნქციები, ქალების ეკონომიკურ აქტიურობასა და შობადობას შორის ურთიერთდამოკიდებულება, სავარაუდოდ, უკუპროპორციული დარჩება. დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც შობადობის მაჩვენებელი მაღალია, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები მიიჩნევენ, რომ ქალების ეკონომიკური აქტიურობა ზიანს არ აყენებს მათ შვილებს მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მტკიცედ არის დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, რომ ქალებმა საკუთარი თავი უნდა მიუძღვნან შვილებზე ზრუნვას და შეასრულონ დედის ფუნქცია. მსოფლიო ღირებულებების 2014 წლის კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ ერთი მესამედი (32,9 პროცენტი) არ ეთანხმება ან კატეგორიულად არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ „როდესაც დედა ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებული, შვილები გარალდებიან“.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულმა მიდგომამ დიდწილად განაპირობა ამ რეგიონში შობადობის არსებული ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირი სამუშაოს შესრულებისათვის ქალები და მამაკაცები ერთნაირ ანაზღაურებას იღებდნენ, როგორც ოჯახში, ასევე სამუშაო ადგილებზე იზრდებოდა მათ მიმართ დისკრიმინაცია და ქალები უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაოზე საქმდებოდნენ, ვიდრე მამაკაცები.

6. მოკვდაობა

აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობებს შორის სხვაობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ თვალსაზრისით, თუმცა მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის საქართველოში დაფიქსირებული სხვაობა არ არის ისეთი დიდი, როგორც ზოგიერთ მის მეზობელ ქვეყანაშია. 2010-2014 წლებში, მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობა მოცემულია ცხრილებში 6.1ა და 6.1ბ, რომლებიც ეფუძნება სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს მოკვდაობის შესახებ და მოსახლეობის მნიშვნელებს, რომლებიც მიღებულია 2014-2002

წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშების საფუძველზე.

მოკვდაობის ცხრილების 6.1ა და 6.1ბ თანახმად, სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია საქართველოში მცხოვრებ მამაკაცებსა (67,72 წელი) და ქალებს (76,54 წელი) შორის. სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოანგარიშება ასევე მოხდა 2002-2004 და 2005-2009 წლებისთვის. 2002-2004 წლების პერიოდში მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ შეადგინა 66,62 წელი, ხოლო ქალებისამ - 73,67 წელი; 2005-2009 წლებში ეს მონაცემები შეადგენდა 65,86 წელსა და 74,64 წელს, შესაბამისად. აღნიშნული მიუთითებს საქართველოში აღწერათაშორის

ცხრილი 6.1ა: საქართველოში მცხოვრები მამაკაცების მოკვდაობის ცხრილი, 2010-2014 წწ.; ასაკის მიხედვით მოკვდაობა და მოსახლეობის მნიშვნელები გადაანგარიშების მიხედვით

მამაკაცი	nmx	nqx	ndx	lx	nLx	Tx	ex
0	15,23	15,04	1 504	100 000	98 797	6 772 482	67,72
1	0,57	2,29	225	98 496	393 430	6 673 686	67,76
5	0,31	1,53	150	98 271	491 002	6 280 255	63,91
10	0,37	1,83	180	98 120	490 184	5 789 253	59,00
15	0,79	3,95	387	97 941	488 858	5 299 069	54,10
20	1,47	7,32	714	97 554	486 109	4 810 211	49,31
25	1,76	8,76	848	96 839	482 186	4 324 102	44,65
30	2,57	12,78	1 227	95 991	477 092	3 841 916	40,02
35	3,67	18,18	1 723	94 765	469 721	3 364 823	35,51
40	5,49	27,11	2 522	93 042	459 144	2 895 102	31,12
45	8,91	43,65	3 952	90 519	443 319	2 435 958	26,91
50	12,88	62,50	5 411	86 568	419 923	1 992 639	23,02
55	18,73	89,61	7 273	81 157	388 312	1 572 715	19,38
60	26,68	125,25	9 254	73 884	346 843	1 184 404	16,03
65	37,52	171,96	11 114	64 630	296 204	837 561	12,96
70	57,78	253,00	13 540	53 516	234 318	541 357	10,12
75	88,53	362,66	14 498	39 977	163 756	307 039	7,68
80	142,38	520,20	13 254	25 479	93 087	143 283	5,62
85	243,54	1000,00	12 225	12 225	50 196	50 196	4,11

წყარო: გადაანგარიშების შედეგად მიღებული სტატისტიკა

ცხრილი 6.1ბ: საქართველოში მცხოვრები ქალების მოკვდაობის ცხრილი, 2010-2014 წწ.; ასაკის მიხედვით მოკვდაობა და მოსახლეობის მნიშვნელები გადაანგარიშების მიხედვით

ქალი	nmx	nqx	ndx	lx	nLx	Tx	ex
0	11,79	11,68	1 168	100 000	99 065	7 653 700	76,54
1	0,47	1,86	184	98 832	394 853	7 554 635	76,44
5	0,23	1,17	115	98 647	492 934	7 159 782	72,58
10	0,22	1,08	106	98 532	492 414	6 666 848	67,66
15	0,29	1,46	144	98 426	491 796	6 174 434	62,73
20	0,35	1,76	173	98 282	490 962	5 682 638	57,82
25	0,50	2,48	243	98 109	489 943	5 191 676	52,92
30	0,74	3,69	361	97 866	488 533	4 701 733	48,04
35	1,07	5,34	520	97 505	486 295	4 213 200	43,21
40	1,65	8,23	798	96 984	483 086	3 726 905	38,43
45	2,67	13,26	1 276	96 186	477 933	3 243 819	33,72
50	4,20	20,79	1 973	94 910	470 029	2 765 886	29,14
55	6,61	32,58	3 027	92 937	457 730	2 295 857	24,70
60	10,49	51,20	4 603	89 910	438 715	1 838 127	20,44
65	17,14	82,46	7 035	85 306	410 343	1 399 412	16,40
70	31,55	147,02	11 508	78 272	364 711	989 069	12,64
75	59,39	260,23	17 374	66 764	292 517	624 358	9,35
80	108,07	425,98	21 039	49 390	194 675	331 841	6,72
85	206,69	1000,00	28 351	28 351	137 166	137 166	4,84

წყარო: გადაანგარიშების შედეგად მიღებული სტატისტიკა

ცხრილების ზედა მწკრივში მოცემული სიმბოლოები წარმოადგენს მოკვდაობის ცხრილების სტანდარტულ ფუნქციებს. ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელთა შორისაა lx, რომელიც აღნიშნავს x ასაკში ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანების რაოდენობას, ყოველ 100 000 ცოცხლად დაბადებულზე და ex - x ასაკის პირების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (ე.ი. დარჩენილი წლების საშუალო რაოდენობა), ფუნქცია nqx აღნიშნავს გარდაცვალების ალბათობას (ყოველ 1 000 პირზე) მომდევნო n წლის განმავლობაში, x ასაკში ჯერ კიდევ ცოცხალი პირების შემთხვევაში.

პერიოდში მოკვდაობის მხრივ ვითარების გაუმჯობესებაზე, ვინაიდან მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზარდა 1,10 წლით, ხოლო ქალების - 2,87 წლით; შესაბამისად, გაიზარდა სხვაობაც მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობებს შორის, რომელიც 2002 წელსაც საკმაოდ დიდი იყო. ცხრილში 6.2 ერთმანეთთან შედარებულია საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობები.

**ცხრილი 6.2: მამაკაცებისა და ქალების
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა,
საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში,
2010-2014 წწ.**

და უკრაინის გაეროს მოსახლეობის
განყოფილების მიერ განსაზღვრული
ანალოგური მაჩვენებლები.

ქვეყანა	მამაკაცი	ქალი
სომხეთი	70,64	77,03
აზერბაიჯანი	68,58	74,55
ბულგარეთი	70,83	77,78
საქართველო¹¹	68,47	76,97
მოლდავეთი	66,74	75,21
რუმინეთი	71,35	78,37
რუსეთის ფედერაცია	64,66	75,92
თურქეთი	71,53	78,12
უკრაინა	66,07	76,02

წყარო: მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები,
გაეროს მოსახლეობის განყოფილება, 2017 წლის
გადახედვა

როგორც ცხრილიდან 6.2 ირკვევა, გაეროს მოსახლეობის განყოფილების მონაცემები საქართველოში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ მცირედით აღემატება გადაანგარიშების მოდელში მოცემულ მონაცემებს. აღნიშნულის მიზეზს შესაძლებელია წარმოადგენდეს ის, რომ გადაანგარიშების მოდელში მოკვდაობის მაჩვენებელი, კორექტირების შედეგად, მცირედით გაიზარდა. გაეროს მოსახლეობის განყოფილების თანახმად, საქართველოში მოკვდაობის მაჩვენებლები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (მოლდავეთი, რუსეთი, უკრაინა) მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია და თურქეთის მაჩვენებლისგან არ განსხვავდება. სქესთა შორის მოკვდაობის თვალსაზრისით არსებული სხვაობა (7,23 წელი) საკმაოდ დიდია, მაგრამ ნაკლებია, ვიდრე რუსეთსა ან უკრაინაში. წინამდებარე მონოგრაფიაში გამოყენებული სხვაობის მაჩვენებელი (8,82 წელი) საკმაოდ მაღალია, თუმცა ნაკლებია, ვიდრე რუსეთისა

¹¹ გაეროს მონაცემები მოიცავს აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) მოსახლეობას და ამ მონაცემების მოპოვება განხორციელდა აქ გამოყენებული მეთოდოლოგიისაგან განსხვავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებს შორის ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას. შშმ პირების შესახებ 2011 წლის ანგარიშში (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია/მსოფლიო ბანკი, 2011 წ.) აღნიშნულია, რომ მსოფლიოს მასშტაბით ქალებს შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გავრცელება 19,2 პროცენტს შეადგენს მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი მამაკაცებს შორის 12 პროცენტს უტოლდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები ასაკის მიხედვით მეტად არის გამოხატული ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. საერთო ჯამში, შშმ ქალების სიჭარბე აიხსნება იმით, რომ ხანდაზმული ქალების რაოდენობა აღემატება ხანდაზმული მამაკაცების რაოდენობას და შეზღუდული შესაძლებლობების გავრცელება, ხშირად, მკვეთრად იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. გრაფიკზე 7.1ა ნაჩვენებია მხედველობის მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევის გავრცელება მამაკაცებსა და ქალებში, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ასაკის მიხედვით სქესთა შორის სხვაობა მხედველობის დარღვევის თვალსაზრისით უმნიშვნელოა.

გრაფიკზე 7.1ბ ნაჩვენებია სმენის დარღვევის გავრცელება. ამ ტიპის დარღვევა თითქმის თანაბრად გვხვდება სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ხანდაზმულ მამაკაცებსა და ქალებში მაშინ, როცა ქალაქის მოსახლეობაში სმენის დარღვევა მცირედით მაღალია მამაკაცებში.


გრაფიკზე 7.1გ ნაჩვენებია გადაადგილების/დგომის დარღვევის გავრცელება. ამ ტიპის დარღვევა შედარებით მეტად არის გავრცელებული ხანდაზმულ ქალებში.

გრაფიკებზე 7.1ა - ვ ნაჩვენებია სხვაობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების გავრცელების თვალსაზრისით ფიქსირდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. სასოფლო დასახლებებში მხედველობისა და სმენის დაქვეითების მქონე პირთა პროცენტული წილი აღემატება საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ იგივე შშმ პირთა პროცენტულ წილს, ორივე სქესის შემთხვევაში; სასოფლო დასახლებებში კომუნიკაციის და თვითმომსახურების უნარის დარღვევის მქონე ქალების პროცენტული წილი აღემატება საქალაქო დასახლებებში მცხოვრები იგივე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების პროცენტულ წილს. ანალოგური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცების პროცენტული წილები თანაბარია სასოფლო და საქალაქო დასახლებებში. ცნობიერების, კონცენტრირების, მეხსიერების შეზღუდვის მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი უფრო მაღალია ქალაქის მოსახლეობაში, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით.


მამაკაცებისა და ქალების შემთხვევაში კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობების შედეგებთან დაკავშირებით მეტნაკლებად დეტალურად იქნა განხილული ორი საკითხი: 6-15 წლის ასაკის ბიჭებისა და გოგოების სკოლებში (გაკვეთილებზე) დასწრების საკითხი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციაში ნათქვამია, რომ შშმ პირებს უნდა შეეძლოთ იცხოვრონ დამოუკიდებლად და სრული მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მუხლი 3). სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, შშმ პირთა უფლებების დაცვა საქართველოში გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება (სახალხო დამცველის

გრაფიკი 7.1 ა-ვ: ჯანმრთელობის დარღვევებისა და შეზღუდვების მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით


გრაფიკი 7.1 ა: მხედველობის მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა




გრაფიკი 7.1 ბ: სმენის მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა




გრაფიკი 7.1 გ: გადაადგილების/დგომის მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა




გრაფიკი 7.1 დ: ცნობიერების, კონცენტრირების, მესხიერების მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა



გრაფიკი 7.1 ე: კომუნიკაციის უნარის მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა



გრაფიკი 7.1 ვ: თვითმომსახურების უნარის მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

აპარატი, 2015 წ.). ჩართულობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ განათლების, დასაქმების, მომსახურებისა და ინფორმაციის, დასვენებისა და ოჯახის შექმნის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საშუალებით. შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის საბაბით არ უნდა მოხდეს შშმ პირთა გარიყვა განათლების საერთო სისტემიდან და მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სრული საშუალო განათლება, გაიარონ პროფესიული მომზადება, დაესწრონ სრულწლოვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილ კურსებს და ისარგებლონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობებით, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

2006 წლიდან საქართველოში მოქმედებს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა. დღესდღეობით, ყველა სკოლა ვალდებულია შშმ ბავშვებს მისცეს საშუალება მიიღონ სასკოლო განათლება. გარდა ამისა საჯარო სკოლებში შემოტანილი იქნა 9 ინტეგრირებული კლასი, სხვადასხვა შშმ ბავშვებისათვის, სმენის დარღვევის მქონე, აუტისტური სპექტრის მქონე და ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის. 2012 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს 8 სპეციალურისკოლაფსიკურიპრობლემების მქონე, მხედველობადაქვეითებული, სმენადაქვეითებული და ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვებისათვის. 2015 წელს, სპეციალურ სკოლებში სულ ირიცხებოდა 449 ბავშვი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი მოხსენება კონვენციით აღებული ვალდებულების განხორციელების თაობაზე).

2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში 4 927 (გოგოების - 37,4 და ბიჭების 62,6 პროცენტი), ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში 4 277 (გოგოების - 36,8 და ბიჭების 63,2 პროცენტი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ირიცხებოდა

სკოლაში. შშმ ბავშვების მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტმა შეძლო სკოლის დამთავრება (79 შშმ ბავშვმა 2014-2015 სასწავლო წელს და 92 შშმ ბავშვმა 2015-2016 სასწავლო წელს). როგორც სკოლაში ჩარიცხვის, ასევე სკოლის დამთავრების მაჩვენებლის თვალსაზრისით ბიჭების რაოდენობა აჭარბებს გოგოების რაოდენობას, თუმცა სკოლის კურსდამთავრებული ბიჭების და გოგოების რაოდენობებს შორის სხვაობა ძალიან დიდი არ იყო 2014-2015 სასწავლო წელსა (გოგოების - 46,8 და ბიჭების 53,2 პროცენტი) და 2015-16 სასწავლო წელს (გოგოების - 43,5 და ბიჭების 56,5 პროცენტი). საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეღწევა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის განათლების მიღების თვალსაზრისით. 2014-2015 სასწავლო წელს მხოლოდ 426 შშმ პირი ჩაირიცხა პროფესიულ სასწავლებლებში. 2016 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მხოლოდ 67 პირი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, 2016 წ.).

მოსახლეობის აღწერის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის (მხედველობის, სმენის, გადაადგილების/დგომის და ა.შ.) მძიმე ფორმის (მნიშვნელოვანი ან სრული) მქონე ბავშვების გაცილებით მცირე პროცენტული წილი ირიცხება სკოლებში, მათ თანატოლ, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვებთან შედარებით. შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვების მხოლოდ 0,7-დან 1,4 პროცენტამდე არ დადის სკოლაში და აღნიშნული მაჩვენებელი მერყეობს სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით. როგორც ცხრილიდან 7.1 ირკვევა, შშმ ბავშვებში ანალოგური მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, განსაკუთრებით იმ ბავშვებში, რომლებსაც კომუნიკაციის უნარის ან ცნობიერების, კონცენტრირების, მეხსიერების მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა/შეზღუდვა აქვთ. თუმცა მნიშვნელოვანი სხვაობა შშმ ბიჭებსა და გოგოებს შორის არ ფიქსირდება. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მხედველობადაქვეითებულ გოგოებს მცირედით უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე ბიჭებს. ამავე დროს, სმე-

ნადაქვეითებულ ბიჭებს მცირედით უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე გოგოებს. საქალაქო დასახლებებში, გადაადგილების/დგომის, ცნობიერების, კონცენტრირების, მესხიერების ან თვითმომსახურების უნარის დარღვევის მქონე გოგოებს, ბიჭებთან შედარებით გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვთ, თუმცა - რაც მოულოდნელი იყო - სოფლებში მცხოვრებ იგივე შებენიანი შესაძლებლობის მქონე ბავშვებში ვითარება პირიქით არის. საქალაქო დასახლებებში, კომუნიკაციის უნარის დარღვევის მქონე გოგოებს უარესი მდგომარეობა აქვთ იგივე შებენიანების მქონე ბიჭებთან შედარებით, მაგრამ სასოფლო დასახლებებში აღნიშნული სხვაობა უმნიშვნელოა. საერთო ჯამში, ბიჭები გოგოებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ, თუმცა სხვაობა არ არის დიდი და არ არის ყოველთვის დამოკიდებული იმაზე, შშმ ბიჭები და გოგოები საქალაქო დასახლებებში ცხოვრობენ თუ სასოფლოში.

აღნიშნული მონაცემების რეგიონების მიხედვით განაწილებისას, ქ. თბილისსა და მეტ-ნაკლებად აჭარაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იკვეთება, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. გურიაში, კახეთსა და ქვემო ქართლში ვითარება ამ კუთხით არასახარბიელოა. ეს სავარაუდოდ უკავშირდება შშმ

ბავშვებისათვის ქ. თბილისსა და აჭარაში შექმნილ უკეთეს ინფრასტრუქტურას. დანარჩენი რეგიონებიდან ზოგ რეგიონში ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარება ფიქსირდება. მაგ., იმერეთში, შშმ ბიჭების სიტუაცია უკეთესია, ვიდრე ქვეყნის მასშტაბით არსებული სიტუაცია, ხოლო შშმ გოგოების სიტუაცია - პირიქით უარესია. სამცხე-ჯავახეთში ვითარება საპირისპიროდ არის. თუმცა უმჯობესია ამგვარი ანომალიების სიღრმისეული ანალიზისგან თავი შევიკავოთ, ვინაიდან ისინი შესაძლებელია მონაცემთა ხარისხს უკავშირდებოდეს, ან შემთხვევითაა მცირე რაოდენობით იყოს განპირობებული და არა გოგოებისა და ბიჭებისადმი განსხვავებული მოპყრობით.

25-44 წლის ასაკის მოსახლეობაში, იმ მაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, ვინც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, უფრო მაღალია შშმ პირებს შორის, ვიდრე შებენიანი შესაძლებლობის არმქონე პირებს შორის (15-დან 30 პროცენტამდე სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით). თუმცა როგორც ცხრილიდან 7.3 ირკვევა, აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია შშმ მამაკაცებსა და ქალებში, განსაკუთრებით თუ მათი მდგომარეობა უკავშირდება ცნობიერების, კონცენტრირების, მესხიერების შეზღუდვას,

ცხრილი 7.1: კონკრეტული შებენიანი შესაძლებლობის (მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა) მქონე 6-15 წლის ასაკის იმ ბიჭებისა და გოგოების პროცენტული წილი, რომლებიც არ დადიან სკოლაში, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

შებენიანი შესაძლებლობის ტიპი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო
მხედველობის დაქვეითება/შებენიანობა	5,0	3,6	9,5	7,8	6,6	4,9
სმენის დაქვეითება/შებენიანობა	9,2	10,6	20,3	20,1	13,9	15,1
გადაადგილების/დგომის დარღვევა	13,8	19,6	25,7	22,0	19,3	20,7
ცნობიერების, კონცენტრირების, მესხიერების დარღვევა	23,5	26,7	29,9	27,7	26,6	27,2
კომუნიკაციის უნარის დარღვევა	21,8	29,9	30,5	31,3	25,9	30,5
თვითმომსახურების უნარის დარღვევა	17,3	22,0	26,2	23,5	21,3	22,7

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 7.2: კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის (მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა) მქონე 6–15 წლის ასაკის იმ ბიჭებისა და გოგოების პროცენტული წილი, რომლებიც არ ირიცხებიან სკოლაში, ქ. თბილისისა (დაბალი მაჩვენებელი) და გურიის (მაღალი მაჩვენებელი) რეგიონებში

შეზღუდული შესაძლებლობის ტიპი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო
მხედველობის დაქვეითება/შეზღუდვა	2,8	2,3	17,6	9,1	6,6	4,9
სმენის დაქვეითება/შეზღუდვა	9,1	12,1	30,8	21,4	13,9	15,1
გადაადგილების/დგომის დარღვევა	9,1	15,4	28,9	31,4	19,3	20,7
ცნობიერების, კონცენტრირების, მესხიერების დარღვევა	20,3	20,8	40,0	31,3	26,6	27,2
კომუნიკაციის უნარის დარღვევა	15,4	24,8	42,3	33,3	25,9	30,5
თვითმომსახურების უნარის დარღვევა	13,6	18,1	27,9	25,6	21,3	22,7

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 7.3: 25–44 წლის დაუქორწინებელი, კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

შეზღუდული შესაძლებლობის ტიპი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო
მხედველობის დაქვეითება/შეზღუდვა	37,9	29,6	41,3	31,4	39,3	30,3
სმენის დაქვეითება/შეზღუდვა	43,1	43,4	54,0	49,2	48,6	46,5
გადაადგილების/დგომის დარღვევა	47,7	56,1	52,5	51,7	50,1	53,8
ცნობიერების, კონცენტრირების, მესხიერების დარღვევა	76,6	77,9	77,7	71,9	77,2	74,3
კომუნიკაციის უნარის დარღვევა	75,0	79,2	76,9	76,1	76,1	77,3
თვითმომსახურების უნარის დარღვევა	70,7	80,5	72,0	73,4	71,4	76,6

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა
 კომუნიკაციის ან თვითმომსახურების უნარის დარღვევას. მხედველობის დარღვევის მქონე მამაკაცებს, როგორც ირკვევა, უფრო უჭირთ პარტნიორის პოვნა, ვიდრე იგივე შეზღუდვის მქონე ქალებს. სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ სმენადაქვეითებულ მამაკაცებს ამ თვალსაზრისით უფრო უარესი სიტუაცია აქვთ, ვიდრე ქალაქის სმენადაქვეითებულ მოსახლეობას. საქალაქო დასახლებებში

მცხოვრები გადაადგილების/დგომის შეზღუდვის მქონე ქალები უფრო არასახარბიელო სიტუაციაში არიან, ვიდრე იგივე შეზღუდვის მქონე მამაკაცები; თუმცა, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სასოფლო დასახლებებში ეს მოვლენა არ ფიქსირდება. მსგავსი ვითარებაა კომუნიკაციის უნარის დარღვევის მქონე მოსახლეობაში. სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ცნობიერების,

კონცენტრირების, მესხიერების შეზღუდვის მქონე მამაკაცები უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, ვიდრე ქალები, თუმცა ამ თვალსაზრისით სხვაობა არ ფიქსირდება იგივე შეზღუდვის მქონე საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებსა და ქალებს შორის. თვითმომსახურების უნარის დარღვევა უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალებისათვის, ვიდრე ამავე კატეგორიის მამაკაცებისათვის, თუმცა იგივე შეზღუდვის მქონე სოფლის მოსახლეობაში, ამ თვალსაზრისით არსებული სხვაობა უმნიშვნელოა. საერთო ჯამში, პარტნიორის პოვნის თვალსაზრისით, სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვაობა რაიმე მკაფიოდ გამოხატულ პრინციპს არ ექვემდებარება. თუმცა შეიძლება დავასკვნათ, რომ სენსორული და მოძრაობის შეზღუდვის მქონე მამაკაცებისა და ქალებისათვის უფრო მარტივია პარტნიორის პოვნა, ვიდრე შემეცნებითი ფუნქციებისა და თვითმომსახურების უნარის შეზღუდვის მქონე ორივე სქესის პირთათვის.

ძირითადი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს შშმ პირების უფლებებს არის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, რომელიც მიღებული იქნა გაეროს მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს და რომელსაც საქართველო მიუერთდა 2014 წლის აპრილში. აღნიშნული კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან „პირები ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირების სრულ და ქმედით მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანასწორობის პრინციპის საფუძველზე“.

შშმ პირის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობით 4 კატეგორიად ანუ ე.წ. ჯგუფად იყოფა: სრული, მნიშვნელოვანი, მცირედი შეზღუდვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. აღნიშნულ ჯგუფებში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს მნიშვნელოვანი შეზღუდვის

მქონე პირები, რომლებიც შშმ პირების საერთო რაოდენობის 60,8 პროცენტს შეადგენენ. მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, 26 784 პირი წარმოადგენს პირველი ჯგუფის შშმ პირს, რაც შესაძლებლობის სრულ შეზღუდვას გულისხმობს. 58 255 პირი წარმოადგენს მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, 9 902 პირი – მესამე ჯგუფის შშმ პირს. 2014 წელს აღიწერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 5 172 ბავშვი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენს 25 532, 76 047, 13 747 და 9 696, შესაბამისად. მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, შშმ ქალების პროცენტული წილები, კატეგორიების მიხედვით, შეადგენდა 46,7, 49,6, 45 და 40 პროცენტს, შესაბამისად. ის ფაქტი, რომ შშმ პირებს შორის ქალების რაოდენობა მცირედით ჩამოუვარდება მამაკაცების რაოდენობას, მოულოდნელია, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა იზრდება ხანდაზმულ ასაკში და ხანდაზმული ასაკი ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ხანდაზმული მამაკაცების რაოდენობას. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ შშმ ქალების გარკვეული ნაწილი არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული, რასაც ადგილი აქვს ისეთ შინამეურნეობებში, სადაც შშმ ქალების პენსია არ არის მნიშვნელოვანი შინამეურნეობის შემოსავლების თვალსაზრისით, მაშინ, როცა ოჯახის მარჩენალი მამაკაცების პენსია – მნიშვნელოვანია. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ შშმ პირად ოფიციალურად რეგისტრირებულ მამაკაცთა 69,4 პროცენტი და შშმ პირად რეგისტრირებულ ქალთა 58,4 პროცენტი 25-დან 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ეს წარმოადგენს ყველაზე მაღალი ეკონომიკური აქტიურობის მქონე ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში ოფიციალურად რეგისტრირებული შშმ მამაკაცთა და ქალთა რაოდენობები შედარებით მცირეა მაშინ, როცა ამ ასაკობრივ ჯგუფში საგრძნობლად მატულობს შშმ პირთა საერთო რაოდენობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

ცხრილი 7.4: ოფიციალურად დადასტურებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა, სქესისა და რეგიონების მიხედვით

	სულ	საერთოდ არა	სრული შეზღუდვა	მნიშვნელოვანი შეზღუდვა	ნაწილობრივ შეზღუდვა	უშუბავეები	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
მამაკაცი								
თბილისი	502 890	478 702	3 298	6 609	1 208	847	595	11 631
აჭარა	162 928	153 861	1 353	2 262	489	321	343	4 299
გურია	54 660	51 073	559	1 138	189	139	332	1 230
იმერეთი	258 598	244 148	2 692	5 990	1 009	446	63	4 250
კახეთი	156 154	148 142	1 427	2 925	514	286	380	2 480
მცხეთა-მთიანეთი	47 645	44 500	416	885	168	57	197	1 422
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	15 584	14 428	234	558	95	22	16	231
სამეგრელო და ზემო სვანეთი	159 070	150 730	1 360	2 918	521	282	101	3 158
სამცხე-ჯავახეთი	78 521	75 164	605	1 244	264	107	44	1 093
ქვემო ქართლი	208 532	198 770	1 152	2 049	484	337	965	4 775
შიდა ქართლი	128 282	121 100	1 182	2 771	501	257	32	2 439
საქართველო	1 772 864	1 680 618	14 278	29 349	5 442	3 101	3 068	37 008
ქალი								
თბილისი	605 827	580 111	3 157	6 850	979	563	626	13 541
აჭარა	171 025	161 505	1 162	2 583	574	245	350	4 606
გურია	58 690	55 075	485	1 199	138	86	346	1 361
იმერეთი	275 308	261 300	2 409	5 846	699	333	62	4 659
კახეთი	162 429	155 254	1 067	2 636	364	164	389	2 555
მცხეთა-მთიანეთი	46 928	44 925	306	807	111	45	18	716
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	16 505	15 293	228	623	84	17	15	245
სამეგრელო და ზემო სვანეთი	171 691	163 386	1 186	2 876	510	171	100	3 462
სამცხე-ჯავახეთი	81 983	78 886	516	1 057	276	74	33	1 141
ქვემო ქართლი	215 454	206 715	986	1 969	400	217	340	4 827
შიდა ქართლი	135 100	128 574	1 004	2 460	325	156	35	2 546
საქართველო	1 940 940	1 851 024	12 506	28 906	4 460	2 071	2 314	39 659

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

უფლებების კონვენციის 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შშმ პირთა უფლებას შრომაზე, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. გარდა ამისა, სახელმწიფოები ვალდებული არიან დაასაქმონ შშმ პირები საჯარო სექტორში და ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას კერძო სექტორში. დასაქმების დადებითი გავლენა შშმ პირების ცხოვრებაზე განუზომელია. როგორც თავად შშმ პირები აღნიშნავენ, დასაქმება, მატერიალური უზრუნველყოფის შემდეგ, არის იზოლაციისაგან თავის დაღწევის ძირითადი გზა, საზოგადოებაში ყოფნის შესაძლებლობა, იწვევს კმაყოფილების შეგრძნებას, ზრდის თავდაჯერებასა და თვითშეფასებას, აქვს თერაპიული ეფექტი ჯანმრთელობაზე, ხელს უწყობს კარიერულ წინსვლას, მეგობრული ურთიერთობების დამყარებას და ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის ზრდას (Sumbadze et al, 2015). საქართველოში, დღესდღეობით შშმ პირთა ძალიან მცირე ნაწილია დასაქმებული. 2015 წელს საჯარო სექტორში დასაქმებული 53 109 პირიდან მხოლოდ 112 (0,2 პროცენტი) იყო შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირი (საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიში). ანალოგიური სიტუაციაა კერძო სექტორში. 2016 წლის თებერვალში, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ აღირიცხა 1 689 შშმ პირი, რომელთაგანაც დასაქმებული იყო მხოლოდ 21 (სახალხო დამცველის აპარატი, 2015 წ.).

შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 30-ე მუხლში საუბარია შშმ პირთათვის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, დასვენების, თავისუფალი დროის გატარებისა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის თანაბარი უფლების უზრუნველყოფაზე. საქართველოში აღნიშნული შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. სატელევიზიო სადგურები არ უზრუნველყოფენ გადაცემების თარგმნას ჟესტების ენაზე ან სუბტიტრების დართვას სმენადაქვეითებული პირებისათვის, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე გადაცემა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. არ არსებობს მედია პროდუქტი, რომელიც მხედველობადაქვეითებული მო-

სახლეობის საჭიროებებზეა მორგებული (სახალხო დამცველის აპარატი, 2015 წ.). მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, სტადიონები, ტურისტული ადგილები ან სპორტული ობიექტები იშვიათად არის აღჭურვილი შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისად.

8. განათლება

განათლების მიღწეული დონის თვალსაზრისით მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებულ სხვაობაზე უკვე ვისაუბრეთ ქორწინებაში მყოფი წყვილების მასობრივად კონტექსტში. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში, უმაღლესი განათლების მქონე ქალების დიდი ნაწილი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, ხოლო ქორწინებაში მყოფი ქალების დიდ ნაწილს საკუთარ მეუღლეზე მაღალი განათლების დონე აქვს. აღნიშნული სხვაობა, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ პარტნიორის არჩევის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციას უკავშირდება, არამედ არის გამოხატულება იმ ფაქტისა, რომ საქართველოში, ზოგადად, ქალების განათლების მიღწეული დონე (მიუხედავად ქორწინებითი მდგომარეობისა) უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა. აღნიშნული ტენდენცია იკვეთება სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ 55 წლამდე ასაკის მოსახლეობაში და საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ 60 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განათლების დონის თვალსაზრისით ქალების უპირატესობა მამაკაცებთან შედარებით არ წარმოადგენს უახლეს ტენდენციას, არამედ სათავეს იღებს 1960-იანი წლებიდან. რაც შეეხება შედარებით ახალგაზრდა თაობას, კონკრეტულად 25-34 წლის ასაკის მამაკაცებსა და ქალებს, ცხრილში 8.1 მოცემულია ამ ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებისა და ქალების განაწილება განათლების მიღწეული დონისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ქალთა მოძრაობის ძირითად მისიას ქალების განათლებისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა. პატარა ქალაქებსა და სოფლებში არსებული ქალთა საშინაო სკოლების გარდა, ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონალური ცენტრში გაიხსნა დახურული

სასწავლო დაწესებულებები ქალებისთვის. ქალთა განათლების უმთავრეს მიზანს საკუთარი შვილების განათლებაზე ზრუნვა წარმოადგენდა (Khomeiriki & Javakhishvili, 2005).

იგივე აზრია გამოთქმული ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას ჩანაწერში: „დედაა გადამწყვეტი შვილების ბედობლისა... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილისა... ვინაიდან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდევ აღადგინოს“ (ვაჟა-ფშაველა). 1872 წელს 8 ქართველი ქალისაგან შემდგარი პირველი ჯგუფი გაემგზავრა შვეიცარიაში უმაღლესი განათლების მისაღებად (Khomeiriki & Javakhishvili, 2005).

როგორც ცხრილიდან 8.1 ირკვევა, საქართველოს, როგორც საქალაქო, ასევე სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში, ქალებს შორის უფრო მაღალია უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი, ვიდრე მამაკაცებში და მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილია უფრო დაბალი ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. საქსტატის (2015: 30) მონაცემების მიხედვით უმაღლესდამთავრებული ქალების რაოდენობა აჭარბებს უმაღლესდამთავრებული მამაკაცების რაოდენობას, თითქმის ყველა სამეცნიერო დარგში, მათ შორის მეცნიერებასა და სოფლის მეურნეობის დარგებში, გარდა საინჟინრო, საწარმოო, სამშენებლო და მომსახურების დარგებისა. პროფესორ-მასწავლებლეთა შორის ქალების რაოდენობა აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას (საქსტატი, 2015: 26), გამონაკლისს წარმოადგენს სრული პროფესორის წოდება, რომლის მფლობელთა ორ მესამედს მამაკაცები შეადგენენ.

ცხრილი 8.1: 25–34 წლის მოსახლეობის პროცენტული წილი განათლების მიღწეული დონის მიხედვით და სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

განათლების მიღწეული დონე	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	0,4	0,4	0,1	0,1	0,3	0,3
მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი	15,2	18,7	4,5	5,9	10,7	14,0
ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი	32,4	35,6	15,0	17,2	25,1	28,9
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ბაზაზე	7,7	11,0	6,5	11,3	7,2	11,1
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ბაზაზე	3,4	4,1	2,6	3,6	3,0	3,9
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების დაწყებითი ბაზაზე	2,0	2,5	2,2	3,4	2,0	2,8
სრული ზოგადი განათლება	33,6	23,6	54,0	44,3	42,2	31,2
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	2,9	2,0	10,2	9,1	5,9	4,6
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	0,5	0,4	2,0	2,3	1,1	1,1
განათლების გარეშე, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე	0,1	0,1	0,5	0,5	0,3	0,3
წერა-კითხვის უცოდინარი	0,2	0,2	0,6	0,6	0,4	0,3
არ არის მითითებული	1,7	1,4	1,8	1,6	1,7	1,5

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

9. ქართულ ენაზე მეტყველების უნარი

საქართველოში, უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ქართულ ენაზე მეტყველების უნარი, ვინაიდან ეს არის ქართულენოვან გარემოში მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზა. ოფიციალური სახელმწიფო ენის ცოდნა უმაღლესი განათლების მიღების წინაპირობაა. ქართულ ენაზე მეტყველების დეფიციტი მნიშვნელოვანად განაპირობებს ეთნიკურ უმცირესობებში განათლების დაბალ დონეს, განსაკუთრებით მიუდგომელ ადგილებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდების (15-29 წელი) მხოლოდ 5,1 პროცენტს და იგივე ასაკის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 12,9 პროცენტს აქვს მიღებული საუნივერსიტეტო განათლება მაშინ, როცა იგივე ასაკის ქართველ მოსახლეობაში აღნიშნული პროცენტი შეადგენს 23,4-ს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საქართველოში აქვთ შესაძლებლობა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები უნარებში აფხაზურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ ან რუსულ ენებზე და გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხონ უნივერსიტეტში იმ პირობით, რომ ქართული ენის ერთწლიან კურსს გაივლიან. თუმცა იმ პირების რაოდენობა, რომლებიც წარმატებით აბარებენ ქართული ენის გამოცდას, ძალიან მცირეა. 2014 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 351 პირი, ხოლო 2015 წელს მხოლოდ 443 პირი ჩაირიცხა საქართველოს უნივერსიტეტებში. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია იურისტებისა და ნოტარიუსებისთვის, რათა მათ შეძლონ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.

ზოგადად, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობებში (რომელთა მშობ-

ლიურ ენას წარმოადგენს აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, რუსული, სომხური და სხვა უცხო ენები) უფრო ნაკლები ქალი საუბრობს ქართულ ენაზე, ვიდრე იგივე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მამაკაცი. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის მამაკაცების 40,9 პროცენტი და ქალების 39,6 პროცენტი საუბრობს ქართულად. აღნიშნული სხვაობა, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა, თუმცა ის საგრძნობლად იზრდება ცალკეული ენობრივი ჯგუფების და საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობების ანალიზისას, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 9.1.

ცხრილში 9.1 შესული მონაცემებიდან ირკვევა, რომ, ფაქტობრივად, იმ მოსახლეობაში, რომელთა მშობლიურ ენასაც „სხვა“ ენათა კატეგორიაშია, ქართულ ენის მცოდნე ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცების რაოდენობას. თუმცა რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ უფრო ტრადიციულ ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შემთხვევაში ვითარება საპირისპიროა. ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში ყველაზე მცირეა იმ პირების რაოდენობა, რომლებსაც ქართულ ენაზე მეტყველება შეუძლიათ; ამ ჯგუფში მამაკაცებთან შედარებით უფრო ნაკლები ქალი ფლობს ქართულ ენას, რაც უფრო მკვეთრად არის გამოხატული სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობაში. ქართული ენის ფლობის თვალსაზრისით ქალების არასახარბიელო სიტუაცია ფიქსირდება დანარჩენ ეთნიკურ უმცირესობებშიც, გარდა ეთნიკურად რუსი მოსახლეობისა. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ რუსულენოვან მოსახლეობაში, მამაკაცებთან შედარებით ნაკლები ქალი ფლობს ქართულ ენას, თუმცა სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ რუსულენოვან მოსახლეობაში, საპირისპირო ვითარებაა.

ზოგადად მოსალოდნელია, რომ აღნიშნული

ცხრილი 9.1: იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებსთვისაც ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს და რომლებიც ქართულ ენაზე საუბრობენ, მშობლიური ენის, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

მშობლიური ენა	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
აფხაზური	97,6	87,6	100,0	91,3	97,8	88,3
ოსური	98,3	97,6	99,0	98,0	98,8	97,9
აზერბაიჯანული	48,9	40,0	21,6	12,2	26,4	17,2
რუსული	85,3	76,4	61,2	67,0	82,4	75,2
სომხური	78,9	76,9	24,0	20,5	47,4	46,4
სხვა	71,2	76,6	72,0	80,0	71,5	77,8
ყველა ენა (ქართულის გარდა)	71,0	69,3	25,7	20,0	40,9	39,6

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 9.2: დაწყებითი საშუალო ან უფრო დაბალი დონის განათლების მქონე იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებსთვისაც ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს და რომლებიც ქართულ ენაზე საუბრობენ, მშობლიური ენის, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

მშობლიური ენა	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
აფხაზური	100,0	100,0	-	100,0	100,0	100,0
ოსური	100,0	98,7	96,2	92,6	96,7	93,9
აზერბაიჯანული	45,5	31,7	23,2	10,4	25,8	12,8
რუსული	70,4	56,0	47,8	47,2	63,9	53,2
სომხური	72,7	64,9	25,8	16,0	40,7	29,5
სხვა	72,3	73,7	69,3	60,6	70,9	67,5
ყველა ენა (ქართულის გარდა)	62,1	51,7	26,7	14,9	33,8	21,8

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

სხვაობა, წესით, მეტად უნდა იყოს გამოხატული განათლების შედარებით დაბალი დონის მქონე მამაკაცებსა და ქალებს შორის. ცხრილში 9.2 წარმოდგენილია ცხრილის 9.1 ანალოგიური ინფორმაცია მხოლოდ იმ მოსახლეობისთვის, რომელთა განათლების მიღწეული დონე მაქსიმუმ

ბოგადი განათლების დაწყებითი საფეხურით შემოიფარგლება.

საერთო ჯამში, ცხრილებში 9.1 და 9.2 შესული მონაცემები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება და ზოგ შემთხვევაში, ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით, განათლების

დაბალი დონის მქონე მოსახლეობაში უკეთესი ვითარებაა. სხვა შემთხვევებში, როგორცაა, მაგ. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა, სქესთა შორის სხვაობა, სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით, მეტად არის გამოხატული განათლების დაბალი დონის მქონე მოსახლეობაში, ვიდრე მთლიანად საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობაში. სასოფლო დასახლებებში მცხოვრები, ზოგადი განათლების მაქსიმუმ დაწყებითი დონის მქონე იმ აზერბაიჯანელი ქალების რაოდენობა, რომლებიც ფლობენ ქართულ ენას დაახლ. ორჯერ ნაკლებია, ვიდრე იგივე კატეგორიის მამაკაცების რაოდენობა.

10. არსებობის საშუალებათა წყაროები


საქართველოში მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების არსებობის საშუალებათა სამ ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოსავალი სამუშაოდან, პენსია და სხვათა შემოსავლებზე დამოკიდებულება. გარდა ამისა, პირები შესაძლებელია შემოსავლებს იღებდნენ ქონებიდან, დანაზოგებიდან, ან სტიპენდიის, სოციალური დახმარების, სხვადასხვა სახის სახელმწიფო დახმარების და ფულადი გზავნილების სახით, თუმცა ამგვარი შემოსავლები სტატისტიკის თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანია. გრაფიკზე 10.1 ნაჩვენებია, ასაკის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების განაწილება არსებობის საშუალებათა სამი ძირითადი წყაროს მიხედვით.

გრაფიკზე 10.1 მოცემული მრუდების თანახმად, მამაკაცებისა და ქალების არსებობის საშუალებათა წყაროებს შორის უმთავრეს სხვაობას წარმოადგენს ის, რომ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, სამუშაოდან შემოსავალზე დამოკიდებული ქალების რაოდენობა, მამაკაცების შედარებით, დაბალია. აღნიშნული სხვაობა უფრო ნაკლებად ეხება სახელფასო შემოსავლებს. სხვაობა იმ მამაკაცებისა (356 865) და ქალების (327 733) რაოდენობებს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ მათთვის არსებობის საშუალებათა წყაროს ძირითადად სახელფასო შემოსავლები წარმოადგენს, შედარებით მცირეა. ქალაქის მოსახლეობაში აღნიშნული სხვაობა კიდევ უფრო უმნიშვნელოა: 258 703 და 253 519, შესაბამისად. თუმცა მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება სამუშაოს სხვა კატეგორიებში, განსაკუთრებით ინდივიდუალური ეკონომიკური საქმიანობიდან და საკუთარი სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს. საერთო ჯამში, 95 453 მამაკაცმა განაცხადა, რომ მათთვის არსებობის საშუალებათა წყაროს

წარმოადგენდა ინდივიდუალური ეკონომიკური საქმიანობა მაშინ, როცა მხოლოდ 35 511 ქალმა განაცხადა იგივე. აღნიშნული სხვაობა მკვეთრად არის გამოკვეთილი სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა შორის: 36 042 მამაკაცი და 9 915 ქალი. მეორე მხრივ, 244 252 მამაკაცმა და 175 377 ქალმა განაცხადა, რომ მათ არსებობის საშუალებათა წყაროს წარმოადგენდა საკუთარი სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი. გრაფიკზე 10.1 მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია ზუსტად არ ასახავდეს რეალობას, ვინაიდან სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალები, სავარაუდოდ, დროის გარკვეულ ნაწილს უთმობენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას დამხმარე ძალის სახით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ ძირითად საქმიანობას შეიძლება არც კი წარმოადგენდეს. სოფლის მეურნეობაში გენდერული საკითხების კვლევის (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2016 წ.) შედეგად ირკვევა, რომ მამაკაცები და ქალები თანაბრად არიან ჩართული სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მამაკაცები წელიწადში საშუალოდ 98,1 დღეს უთმობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ზრუნვას, ხოლო ქალები 84,3 დღეს. რაც შეეხება მეცხოველეობას, მამაკაცები წელიწადში საშუალოდ 165,8 დღეს უთმობენ მეცხოველეობას, ხოლო ქალები - 259,9 დღეს. დაბოლოს, უფრო ნაკლები ქალი (23 313) მართავს საკუთარ საწარმოს, ვიდრე მამაკაცი (32 865).

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად ყველაზე მაღალაქტიურ ასაკშიც კი (30-59 წელი), მამაკაცებს დაახლ. ერთი მესამედის არსებობის საშუალებათა ძირითად წყაროს არ წარმოადგენს სამუშაოდან მიღებული შემოსავალი. ამ ასაკის მამაკაცების 15-20 პროცენტი სხვათა შემოსავლებზეა დამო-

გრაფიკი 10.1: საქართველოში მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროები (შემოსავალი სამუშაოდან, პენსიებიდან, სხვათა შემოსავლებზე დამოკიდებული), ასაკის მიხედვით



კიდებული, სავარაუდოდ თავიანთ დასაქმებულ პარტნიორებზე, ხოლო დანარჩენი 15-20 პროცენტი სხვადასხვა სახის სახელმწიფო დახმარებას იღებს.

15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში, პენსიაზე დამოკიდებული ქალების რაოდენობა (397 053) მნიშვნელოვნად აღემატება პენსიაზე დამოკიდებული მამაკაცების რაოდენობას (205 456). აღნიშნული დიდი სხვაობა სამი ფაქტორით არის განპირობებული:

- ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღემატება მამაკაცებისას და შესაბამისად, ხანდაზმული ქალების რაოდენობა აღემატება ხანდაზმული მამაკაცების რაოდენობას.
- ქალების საპენსიო ასაკი (60 წელი) 5 წლით უსწრებს მამაკაცების საპენსიო ასაკს (65 წელი).

- საპენსიო ასაკს გადაცილებული უფრო მეტი მამაკაცი აგრძელებს მუშაობას, ვიდრე ქალი. პენსიის სიმცირის გამო, რომელმაც მხოლოდ ახლახანს გადააჭარბა საარსებო მინიმუმს, ხშირ შემთხვევაში, საპენსიო ასაკს გადაცილებული პირების არსებობის საშუალებათა ძირითად წყაროს სამუშაოდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს.

გრაფიკზე 10.1 ნათლად ჩანს მამაკაცებსა და ქალებს შორის საპენსიო ასაკებს შორის 5 წლიანი სხვაობის გავლენა და ის ფაქტი, რომ საპენსიო ასაკის შემდეგაც კი მამაკაცებში უფრო დაბალია პენსიაზე დამოკიდებულება, რაც 65 წელზე უფროსი ასაკის შემდეგ შესაბამის მრუდეებს შორის 3-12 პროცენტთან სხვაობაში გამოისახება.

გრაფიკზე 10.1 იკვეთება ერთი საინტერესო მახასიათებელი, კერძოდ ეს არის საპენსიო ასაკს მიღწეულ მამაკაცებსა და ქალებში, იმ პირების პროცენტული წილის მკვეთრი შემცირება, რომლებიც სხვათა შემოსავლებზე არიან დამოკიდებული. რაც იმის მაჩვენებელია, რომ საპენსიო ასაკი, ფაქტობრივად, ხანდაზმულ მოსახლეობაში ფინანსური დამოუკიდებლობის გარკვეული დონის მიღწევის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპენსიო ასაკამდე ისინი ფინანსურად სხვა პირებზე იყვნენ დამოკიდებული. გრაფიკზე 10.1 ასევე ნათლად ჩანს, რომ 30 წლიდან 60 წლამდე ასაკში, ფინანსურად დამოკიდებული ქალების პროცენტული წილი დაახლ. ორჯერ აღემატება მამაკაცების წილს, თუმცა 60-64 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ფინანსურად დამოკიდებული ქალების პროცენტული წილი გაცილებით დაბალია, ვიდრე მამაკაცების, ხოლო 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი 0-ს უახლოვდება, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში.

სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებული მამაკაცებისა (60 360) და ქალების (69 600) რაოდენობა თითქმის თანაბარია მაშინ, როცა სხვა ტიპის სოციალური დაცვით მოსარგებლე მამაკაცების რაოდენობა (25 877) მცირედით აღემატება ქალებისას (19 810). საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ფულად გზავნილებზე დამოკიდებული პირების რაოდენობა (34 053), შეიძლება ითქვას, მოსალოდნელზე უფრო მცირეა და ფულად გზავნილებზე დამოკიდებული ქალების რაოდენობა (18 604) მხოლოდ მცირედით აღემატება მამაკაცების რაოდენობას (15 449). აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ფულადი გზავნილები მცირე მოცულობის არის, არამედ უფრო იმის მაჩვენებელია, რომ ამ ფულადი გზავნილების მიმღები პირები მხოლოდ ამ გზავნილებზე არ არიან დამოკიდებული და რომ მათ არსებობის საშუალებათა სხვა წყაროებიც გააჩნიათ. აღნიშნული სტატისტიკის მიზეზი შესაძლებელია ასევე იყოს ის, რომ ფულადი გზავნილების უმეტესი ნაწილის შემოდინება ქვეყანაში ფორმალური არხების გვერდის ავლით ხდება.

11. ეკონომიკური აქტიურობა

როგორც განათლების საკითხზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, განათლების მიღწეული დონის თვალსაზრისით, საქართველოში ქალები უპირატესობით სარგებლობენ. ცხრილში 11.1 ნაჩვენებია, თუ რა შედეგი აქვს აღნიშნულს ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობაზე სამუშაო ბაზარზე. იგივე ცხრილში ნაჩვენებია მამაკაცებისა და ქალების განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ქალების ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი მამაკაცებისაზე დაბალია. ცხრილის 11.1 თანახმად, 15 წელზე უფროსი ასაკის, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების 46,1 პროცენტი და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების 34,3 პროცენტი არ არიან ეკონომიკურად აქტიური

მაშინ, როცა იგივე ასაკობრივ კატეგორიაში, ეკონომიკურად არააქტიური მამაკაცების პროცენტული წილი საქალაქო დასახლებებში 30,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 15,2 პროცენტს. უმუშევარ მამაკაცებსა და ქალებს შორის პროცენტული სხვაობა უმნიშვნელოა და მხოლოდ მცირედით არის მაღალი საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცების შემთხვევაში. სოფლის მოსახლეობაში უმუშევართა პროცენტული წილი მცირედით მაღალია ქალების შემთხვევაში მამაკაცებთან შედარებით. მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავება თავს იჩენს ისეთ კატეგორიებში, როგორცაა დამსაქმებლები და თვითდასაქმებულები, სადაც მამაკაცები აშკარად უმრავლესობას ქმნიან; ასევე ოჯახის

ცხრილი 11.1: მამაკაცებისა და ქალების განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით და თითოეულ კატეგორიაში უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

დასაქმების სტატუსი	საქალაქო დასახლებები				სასოფლო დასახლებები			
	%		% უმაღლესი განათლებით		%		% უმაღლესი განათლებით	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
15+ ასაკის მოსახლეობა სულ	100	100	48,2	54,2	100	100	24,6	27,6
დასაქმებული	36,3	28,6	64,4	75,6	17,9	12,8	41,3	65,4
დამქირავებელი (მეწარმე, ფერმერი დაქირავებული მუშახელით)	2,1	0,7	71,1	71,7	0,4	0,1	47,5	45,1
თვითდასაქმებული (გარდა საკუთარ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულისა)	6,7	2,4	44,0	55,1	4,5	1,4	23,7	34,1
თვითდასაქმებული საკუთარ სოფლის მეურნეობაში	5,6	3,4	38,4	35,7	53,4	38,6	23,4	22,3
ოჯახის დამხმარე წევრი	0,1	0,3	31,7	32,4	2,3	4,9	17,2	22,5
უმუშევარი	15,2	14,7	43,8	54,1	3,9	4,5	22,7	36,2
ეკონომიკურად არააქტიური	30,1	46,1	34,7	43,4	15,2	34,3	12,2	19,5
არ არის მითითებული	3,8	3,9	27,1	37,8	2,6	3,4	14,0	20,4

დასაქმების სტატუსი	საქალაქო დასახლებები				სასოფლო დასახლებები			
	%		% უმაღლესი განათლებით		%		% უმაღლესი განათლებით	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
25-39 ასაკის მოსახლეობა	100	100	55,7	65,7	100	100	25,8	34,4
დასაქმებული	50,2	39,6	67,6	80,9	25,2	18,7	41,4	68,2
დამქირავებელი (მეწარმე, ფერმერი დაქირავებული მუშახელით)	2,2	0,7	68,3	73,8	0,5	0,1	42,3	49,1
თვითდასაქმებული (გარდა საკუთარ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულისა)	7,5	2,2	40,3	56,9	6,7	1,8	21,3	33,2
თვითდასაქმებული საკუთარ სოფლის მეურნეობაში	2,6	1,5	31,2	33,0	40,5	28,7	19,7	21,7
ოჯახის დამხმარე წევრი	0,2	0,3	33,6	31,9	3,9	6,2	19,7	23,4
უმუშევარი	17,7	20,5	49,1	61,3	6,5	8,4	28,1	42,0
ეკონომიკურად არააქტიური	15,9	32,1	42,3	54,5	13,3	32,2	19,2	27,2
არ არის მითითებული	3,7	3,2	25,6	40,1	3,4	3,8	18,1	25,0
55-64 ასაკის მოსახლეობა	100	100	57,2	57,8	100	100	31,9	31,0
დასაქმებული	36,1	27,5	66,9	73,8	18,6	13,6	47,1	65,5
დამქირავებელი (მეწარმე, ფერმერი დაქირავებული მუშახელით)	2,7	0,8	75,5	70,0	0,5	0,1	57,0	44,4
თვითდასაქმებული (გარდა საკუთარ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულისა)	8,6	3,3	49,4	52,7	3,9	1,6	31,1	35,2
თვითდასაქმებული საკუთარ სოფლის მეურნეობაში	9,4	4,9	44,1	39,5	70,6	47,4	28,2	25,4
ოჯახის დამხმარე წევრი	0,1	0,3	41,3	37,4	0,6	5,2	27,2	25,8
უმუშევარი	13,2	10,6	57,5	59,3	0,8	2,0	34,8	36,4
ეკონომიკურად არააქტიური	26,6	47,9	51,8	52,1	4,4	27,0	26,5	24,5
არ არის მითითებული	3,3	4,7	35,8	41,4	0,7	3,1	23,0	23,3

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 11.2: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დასაქმების სხვადასხვა კატეგორიებში, ასაკობრივი ჯგუფებისა და განათლების დონის (ყველა დასაქმებული და უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულები) მიხედვით

დასაქმების კატეგორიები	ასაკი 15+		ასაკი 25-39		ასაკი 55-64	
	ყველა	უმაღლესი განათლებით	ყველა	უმაღლესი განათლებით	ყველა	უმაღლესი განათლებით
დასაქმებული მოსახლეობა სულ	1,24	1,03	1,40	1,06	1,20	1,10
შეიარაღებული ძალები	13,82	8,82	19,79	13,21	5,58	5,82
კანონმდებლები, მაღალი რანგის თანამდებობის პირები	4,46	4,22	3,09	2,85	5,73	5,97
კორპორაციული მენეჯერები	1,47	1,42	1,33	1,27	1,77	1,76
გენერალური მენეჯერები	1,76	1,75	1,56	1,51	2,42	2,69
ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	2,68	2,59	2,94	2,79	3,01	3,05
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები	0,23	0,24	0,22	0,23	0,25	0,27
სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	0,17	0,17	0,13	0,12	0,21	0,21
სხვა პროფესიონალები	0,68	0,66	0,79	0,75	0,56	0,57
ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების ტექნიკოსები	3,40	3,25	3,59	3,40	3,83	3,86
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები და მონათესავე დარგების დამხმარე პერსონალი	0,21	0,20	0,23	0,20	0,24	0,25
განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი	0,14	0,15	0,09	0,10	0,24	0,31
სხვა დამხმარე პერსონალი	1,79	1,52	1,91	1,62	1,81	1,76
ოფისის მოსამსახურეები	0,82	0,74	0,81	0,71	1,03	1,01
მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები	0,26	0,24	0,24	0,22	0,41	0,42
ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები	0,98	1,00	1,36	1,48	0,58	0,63
მოდელეები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები	0,78	0,72	0,95	0,76	0,69	0,77
ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	1,28	1,34	1,51	1,54	1,21	1,40
სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	1,24	1,30	1,43	1,28	1,24	1,38

დასაქმების კატეგორიები (გაგრძელება)	ასაკი 15+		ასაკი 25-39		ასაკი 55-64	
	ყველა	უმადლესი განათლებით	ყველა	უმადლესი განათლებით	ყველა	უმადლესი განათლებით
მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები	59,36	40,92	78,36	47,44	47,48	44,69
ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	128,56	98,90	270,54	178,83	86,45	77,71
პრეციზიული, ხელით ნაკეთი და პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებლები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	2,65	2,03	3,05	2,14	2,67	2,36
ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	0,79	0,59	1,16	0,95	0,56	0,51
სტაციონარული მანქანების ოპერატორები და ზეინკალ-ამწყობები	7,32	7,13	15,49	11,73	5,36	6,52
სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	2,59	2,10	4,29	3,06	1,67	1,97
მძლოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები	181,91	178,77	298,10	255,62	149,01	152,90
ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები	0,72	0,73	1,02	1,09	0,63	0,73
სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები	2,47	1,93	3,70	2,98	1,69	1,74
სამთომოპოვებითი და სამშენებლო სფეროების არაკვალიფიციური მუშები	14,97	10,84	19,94	13,13	12,28	9,67
არ არის მითითებული	1,80	1,44	2,41	1,69	1,27	1,28

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

დამხმარე წევრის კატეგორიაში, რომელთა ორ მესამედს ქალები წარმოადგენენ, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში.

განათლების მიღწეულ დონესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცების 64,4 და ქალების 75,6 პროცენტს, რომლებიც დაქირავებით მომუშავეებს წარმოადგენენ, უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.¹²

¹² აღნიშნული მოიცავს საშუალო განათლების შემდგომ

იგივე ვითარებაა საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ დამქირავებლებთან მიმართებაში: დამქირავებელი მამაკაცების 71,1 და დამ-

პროფესიულ განათლებას. ამ ქვე-კატეგორიის ჩართვა, როგორც ირკვევა, ზრდის სქესთა შორის განათლების მიღწეული დონის თვალსაზრისით არსებულ სხვაობას, ვინაიდან გულისხმობს ბევრ ისეთ სფეროს, რომლებიც მამაკაცებზე მეტად ქალებს იზიდავს. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს განათლებას ამ ქვე-კატეგორიის გარეშე განვიხილავთ, სხვაობა მამაკაცებსა და ქალებს შორის მცირდება, თუმცა ქალები მაინც უპირატესობით სარგებლობენ.

ქირავებელი ქალების 71,7 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. დასაქმების სხვა კატეგორიებში უმაღლესი განათლების მქონე პირების სიმცირე შეინიშნება, რაც აიხსნება იმით, რომ ურბანული დასაქმების ბაზარი კონკურენტულია და უმაღლესი განათლება დასაქმების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში. ოჯახის დამხმარე წევრებს, ძირითადად, განათლების შედარებით დაბალი დონე აქვთ, თუმცა ამ კატეგორიაშიც კი, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები, ოჯახის დამხმარე წევრი მამაკაცების 31,7-ს და ქალების 32,4 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. სოფლის მოსახლეობაში ყველა აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით დაბალია. კიდევ ერთი დასკვნა, რომელიც შესაძლებელია გაკეთდეს ცხრილში 11.1 მოცემული ინფორმაციის საფუძველზე არის ის, რომ თითქმის ყველა კატეგორიაში, ქალების განათლების მიღწეული დონე უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცების. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენენ საკუთარ მეურნეობაში თვითდასაქმებული პირები და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები დამსაქმებლები. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ, ეკონომიკურად არააქტიურ ქალებს შორის უმაღლესი განათლების მქონე ქალების პროცენტული წილი თითქმის უტოლდება თვითდასაქმებულ მამაკაცებს შორის უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცების პროცენტულ წილს. თუ სამუშაო ძალაში ჩართულ ახალგაზრდა თაობას (25-39 წლის ასაკის) შევადარებთ უფროს თაობას (55-64 წლის ასაკის) დავინახავთ, რომ განათლების მიღწეულ დონეებს შორის სხვაობა დროთა განმავლობაში იზრდებოდა. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ, 55-64 წლის ასაკის დაქირავებით მომუშავე პირებში, მამაკაცებსა და ქალებს შორის აღნიშნული სხვაობა 6,9 პროცენტს შეადგენს, ხოლო 25-39 წლის ასაკის დაქირავებით მომუშავე პირებში, მამაკაცებსა და ქალებს შორის აღნიშნული სხვაობა 11,2 პროცენტს უტოლდება. სამუშაო ძალის შედარებით უფროსი ასაკის წევრებს შორის უფრო მეტია კატეგორიები, სადაც მამაკაცებს ქალებთან შედარებით უფრო მაღალი განათლების დონე აქვთ.

ცხრილში 11.2 ნაჩვენებია სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები დასაქმების კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული მონაცემები ქალების და მამაკაცების დასაქმების ტიპური სფეროების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. მამაკაცების დასაქმების ტიპური სფეროები მოიცავს შეიარაღებულ ძალებს; კანონმდებლებსა და მაღალი რანგის თანამდებობის პირებს; ასევე, გენერალურ მენეჯერებსა და ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალებს ან ასოცირებულ პროფესიონალებს. ქალების დასაქმების ტიპური სფეროები მოიცავს: სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებსა და დამხმარე პერსონალს; სპეციალისტ-პროფესიონალებს განათლების სფეროში, ოფისის მოსამსახურეებს ან მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეებს.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის სხვაობა მამაკაცების დასაქმების ტიპურ სფეროებში არ არის მკვეთრი, როცა საქმე ეხება უმაღლესი განათლების მქონე მუშახელს. მაგ., სამთო-მოპოვებითი და მშენებლობის სფეროში დასაქმებულთა შორის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 59,36 მამაკაცს 1 ქალზე, თუმცა უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 40,92 მამაკაცს ყოველ ქალზე. ვინაიდან საქართველოში განათლების მიღწეული დონის თვალსაზრისით ქალების უპირატესობა იკვეთება, მამაკაცების დასაქმების ტიპურ სფეროებში დასაქმებული ქალები ძირითადად ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც განათლების უფრო მაღალ დონეს მოითხოვს, როგორცაა მაგ., ადმინისტრაციული ფუნქციები. არსებული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია იმის დადასტურება, აისახება თუ არა აღნიშნული ტენდენცია იერარქიულ უპირატესობაში (მაგ., მამაკაცებთან შედარებით მეტი ქალი-დირექტორი ან ქალი-ზედამხედველი) და, შესაბამისად, არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამგვარი კავშირი არსებობს. სამწუხაროდ,

მოსახლეობის აღწერის კითხვარში არ შესულა კითხვა, რომელიც სამუშაო ადგილებზე იერარქიული უპირატესობის ან ხელფასების ოდენობაზე მოგვცემდა პირდაპირ ინფორმაციას.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები ერთმანეთისგან განსხვავდება ასაკობრივ კატეგორიებში, ე.ი. შედარებით ახალგაზრდა (25-39 წლის ასაკის) მუშაკებსა და შედარებით უფროსი ასაკის (55-64 წლის ასაკის) მუშაკებს შორის. მაგ., შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულ, შედარებით უფროსი ასაკის მუშაკებს შორის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი არ არის ისეთი მაღალი, როგორც შედარებით ახალგაზრდა მუშაკებში. ეს იმით აიხსნება, რომ შეიარაღებულ ძალებში დასაქმებული უფროსი ასაკის პირები, ძირითადად ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებენ, სადაც ქალები უპირატესობით სარგებლობენ. კვლევის თვალსაზრისით საინტერესო საკითხია არის თუ არა ერთი სქესის დომინირება მეორეზე დასაქმების კონკრეტულ კატეგორიაში ნაკლებად გამოხატული ახალგაზრდა თაობაში, ვიდრე უფროს თაობაში და არის თუ არა ეს კულტურული ნორმების ცვლილების მაჩვენებელი. დასაქმების გარკვეულ კატეგორიებში ეს რაღაც დონეზე ფიქსირდება, მაგ. როგორცაა კანონმდებლები და მაღალი რანგის თანამდებობის პირები, სადაც სქესთა შორის დისბალანსი 25-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში ნაკლებად არის გამოხატული, ვიდრე 55-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში. მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ხელოსნებსა და სხვა მონათესავე პროფესიის პირებს შორის, სადაც ქალების დასაქმების ტიპურ კატეგორიებში უფრო მეტი მამაკაცია დასაქმებული ახალგაზრდა თაობაში, ვიდრე უფროსი ასაკის თაობაში. თუმცა ზოგადად, დასაქმებაში, სქესთა შორის ბალანსის გამყარების ტენდენცია საქართველოში არ იკვეთება და დასაქმების ზოგიერთ კატეგორიაში, როგორცაა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები, სქესთა შორის სხვაობა, პირიქით, უფრო მკვეთრად გამოხატული ახალგაზრდა თაობაში, ვიდრე უფროსი ასაკის

თაობაში. თუმცა დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალური ნორმები არ განიცდის ცვლილებას, არამართებული იქნება, ვინაიდან შესაძლებელია არსებობდეს სხვა ახსნაც. მაგ., შესაძლებელია უფრო მეტი ქალი პედაგოგი ან ჯანდაცვის მუშაკი ანებებს თავს სამუშაოს ასაკის მატებასთან ერთად, ვიდრე მამაკაცი.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის აღწერის მონაცემები არ იძლევა პირდაპირ ინფორმაციას ხელფასების შესახებ, სხვა წყაროებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ ქალების ანაზღაურება მამაკაცებისაზე ნაკლებია. 2014 წელს ქალების ნომინალური საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენდა 618 ლარს, ხოლო მამაკაცების - 980 ლარს (საქსტატი, 2015 წ.). ერთნაირ თანამდებობებზე დასაქმებულ მამაკაცებსა და ქალებს ერთნაირი ანაზღაურება აქვთ, მაგ. სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში, თუმცა ქალები უფრო ხშირად არიან დასაქმებული უფრო დაბალ თანამდებობებზე. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო დაბალ ანაზღაურებას განაპირობებს დასაქმების სხვადასხვა სფეროში არსებული გენდერული დისბალანსია, რომელიც სათავეს იღებს გენდერული სტერეოტიპებიდან და იწვევს დასაქმების სფეროების დაყოფას მამაკაცებისა და ქალების სფეროებად. სხვადასხვა მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილების ძიება შესაძლებელია მიჩნეული იქნას დასაქმების სფეროების გენდერული ნიშნით დაყოფის ხელშემწყობ ფაქტორად. მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ სამუშაოს მატერიალურ მხარეს, ხოლო ქალები თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. გამოკითხვაში მონაწილე ქალების 45,7 და მამაკაცების 34,0 პროცენტი სამუშაოს თვითრეალიზაციის საშუალებად მიიჩნევს მამინ, როცა მამაკაცების 65,4 და ქალების 49,0 პროცენტი-არსებობის საშუალებათა წყაროდ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წ.). გენდერული დისბალანსის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს სამუშაოსა და ოჯახის ვალდებულებების შეთავსების აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვანი ფაქ-

ტორია ქალებისთვის. აღნიშნულის გამო ქალები ეძებენ სამუშაოს, რომელიც უფრო მოქნილ სამუშაო საათებს სთავაზობს მათ, მაგ., როგორცაა პედაგოგის სამუშაო. აღნიშნული მიზეზების გამო, ქალები ხშირად უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაოზე საქმდებიან, მაგ. მასწავლებლებად ან ოფისის მოსამსახურეებად. დასაქმების სფეროები, სადაც მამაკაცები დომინირებენ შემდეგია: მძღოლები და მოძრავე ტექნიკური საშუალებების ოპერატორები, ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროები; სამთომოპოვებითი და სამშენებლო სფეროები; მრეწველობა და შეიარაღებული ძალები. დასაქმების სფეროები, სადაც უმეტესწილად ქალები არიან დასაქმებულები მოიცავს: განათლების, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის, მომხმარებელთა მომსახურების, ოფისის დამხმარე მუშაკების და მოდელის, გამყიდველებისა და გაყიდვების აქციების წარმომადგენლების სფეროებს.

12. მიგრაცია



წინამდებარე თავში შესული ინფორმაციის უმეტესობა მოდის საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შედგენილი საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილიდან. აღნიშნული დოკუმენტი, თავის მხრივ, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდში, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემები სრულად არ იყო ხელმისაწვდომი, შესაბამისად, წინამდებარე თავში შესული ინფორმაცია ერთგვარად შეავსებს აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულ ინფორმაციას.

ქვევით მოცემულ ცხრილში შესულია მონაცემები იმ პირების მიერ საზღვრის გადაკვეთის შესახებ, რომლებმაც ქვეყანა დატოვან თვეზე მეტი პერიოდით ან ქვეყანაში დარჩა ამავე პერიოდით, ამ პირთა სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით.

ცხრილში შესული მონაცემების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ გარე მიგრანტებს შორის ქალების რაოდენობა ძალიან დიდია, როგორც იმიგრანტებს, ასევე ემიგრანტებს შორის მამაკაცები ჭარბობენ. აღნიშნული ეხება ნებისმიერი ეროვნების მიგრანტს, მათ შორის ქართველებსაც. თუმცა როცა მონაცემები მუშავდება ასაკობრივ კატეგორიების მიხედვით (შესაბამისი მონაცემები არ არის მოცემული წინამდებარე ანგარიშში), ცხადი ხდება, რომ ქალების რიცხობრივი უპირატესობა ვლინდება 50 წელზე უფროსი ასაკის ემიგრანტებსა და 55 წელზე უფროსი ასაკის იმიგრანტებს შორის. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან საერთო მოსახლეობაში ამ ასაკობრივ ჯგუფებში ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცების რაოდენობას. საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 2015 წლის ანგარიში ასევე გვაწვდის ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ 2015 წლის ნოემბერში, რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამ-

სახურის თანახმად (რუსეთი წარმოადგენს საქართველოდან ემიგრირებული პირების ძირითადი დანიშნულების ქვეყანას) რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან ემიგრირებული 26 371 მამაკაცი და 17 391 ქალი იმყოფებოდა. ეს ადასტურებს ემიგრანტებს შორის მამაკაცების რიცხობრივ უპირატესობას – ემიგრანტთა სამ მეხუთედს შეადგენენ მამაკაცები, ხოლო ორ მეხუთედს – ქალები. საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ 2014 წელს, საქართველოში დაბრუნებულმა 170 მიგრანტმა მამაკაცმა და 139 მიგრანტმა ქალმა ისარგებლა საქართველოს მობილურობის ცენტრების დახმარებით. აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ფინანსური კრიზისის შედეგები ემიგრანტ მამაკაცებზე უფრო მეტად აისახა, ვიდრე ემიგრანტ ქალებზე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სამშობლოში დაბრუნებულ მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაფარდობა დაახლოებით შეესაბამება ემიგრანტ მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაფარდობას, აღნიშნული დასკვნის გამოტანა არ არის მართებული.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები იმიგრაციის შესახებ ადასტურებს, რომ საქართველოდან წასული ემიგრანტების ძირითადი დანიშნულების ქვეყნებიდან სამშობლოში დაბრუნებულ პირთა შორის უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ¹³, თუმცა ამ ქვეყნებიდან სამშობლოში დაბრუნებული მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობას შორის სხვაობა ძალიან დიდი არ არის. საქართველოში დაბრუნებულ იმ იმიგრანტთა შორის, რომლებიც სამშობლოში 2014 წელს დაბრუნდნენ, 5 293 მამაკაცი და 4 876 ქალი იყო. 2013 წლის

¹³ ფაქტობრივად, მოსახლეობის აღწერის დროს იმიგრანტებს შორის არ წარმოებდა იმის გარჩევა, ისინი სამშობლოში დაბრუნებულ პირებს წარმოადგენდნენ თუ არა; თუმცა, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ეროვნებით ქართველი იმიგრანტები სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს წარმოადგენენ.

ცხრილი 12.1: მოქალაქეობის მქონე ემიგრანტები და იმიგრანტები, 2014 წლის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით

მოქალაქეობა	ემიგრანტები			იმიგრანტები		
	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი
საქართველო	69 855	40 221	29 634	49 706	29 047	20 659
რუსეთის ფედერაცია	5 424	3 065	2 359	9 692	5 224	4 468
თურქეთი	2 395	1 785	610	4 672	3 617	1 055
სომხეთი	2 821	1 684	1 137	3 856	2 313	1 543
აზერბაიჯანი	1 254	697	557	2 163	1 175	988
უკრაინა	762	419	343	1 552	757	795
ერაყი	333	261	72	1 777	1 491	286
აშშ	690	436	254	883	537	346
საბერძნეთი	371	211	160	997	545	452
ირანი	392	284	108	825	575	250
სხვა ქვეყნები	4 338	2 748	1 590	5 923	3 586	2 337
არ არის მითითებული	69	47	22	115	71	44
სულ	88 704	51 858	36 846	82 161	48 938	33 223

წყარო: საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ანგარიში (2015 წ.): ცხრილი 1

მონაცემების თანახმად, სამშობლოში დაბრუნებულ პირებს შორის 4 181 მამაკაცი და 3 709 ქალი იყო. სამშობლოში დაბრუნებულ მამაკაცთა რიცხოვნობა უპირატესობა განსაკუთრებით იკვეთება რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან დაბრუნებულ მიგრანტებს შორის (4 122 მამაკაცი და 2 341 ქალი, 2013 და 2014 წლებში ერთად). თუმცა ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა სომხეთი, თურქეთი, საბერძნეთი და ისრაელი, სამშობლოში დაბრუნებულ პირებს შორის ქალების რიცხოვნობა უპირატესობა იკვეთება. იმ მცირერიცხოვან იმიგრანტთა შორის, რომლებიც არ არიან საქართველოში დაბადებული, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მეტ-ნაკლებად თანაბარია. რუსეთიდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებულ იმიგრანტებს შორის ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცების რაოდენობას, ხოლო თურქეთიდან ჩამოსულ იმიგრანტებს შორის მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალებისას, ანუ, ამ შემთხვევაში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით, ვითარება პირიქით არის, ვიდრე სამშობლოში დაბრუნებულ იმიგრანტებს შორის. არსებული ვითარების ერთ-ერთ ასსნას წარმოადგენს ის, რომ

რუსეთიდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან საქართველოში ჩამოსული ქალები, რომლებიც არ არიან დაბადებული საქართველოში, წარმოადგენენ იმ ახალგაზრდა ქართველი მამაკაცების მეუღლეებს, რომლებიც ამ ქვეყნებში სამუშაოდ გაემგზავრნენ და იქ დაქორწინდნენ ადგილობრივ ქალებზე, რომლებიც თან წამოიყვანეს სამშობლოში დაბრუნებისას. აღნიშნულს ადასტურებს მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები: 2010 და 2014 წლებში, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში იმიგრირებული, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ქალების 50,0 პროცენტი ქორწინებაში იმყოფებოდნენ საქართველოში დაბადებულ მამაკაცებთან. ხოლო, ამავე პერიოდში, ამავე ქვეყნებიდან საქართველოში იმიგრირებული, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული მამაკაცების მხოლოდ 19,0 პროცენტი იმყოფებოდნენ ქორწინებაში საქართველოში დაბადებულ ქალებთან. ბუნებრივია, რომ ქართველი მამაკაცი, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოდ, უფრო ხშირად ქორწინდებიან ადგილობრივ ქალებზე, ვიდრე საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ქართველი ქალები - ადგილობრივ მამაკაცებზე.

საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის მახასიათებლების ანალიზისას ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს ემიგრანტის შესახებ კითხვარი, რომელსაც მიგრანტთა ოჯახის წევრები ავსებდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციით. არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ ემიგრირებულ პირთა რაოდენობა აღემატება იმ რაოდენობას, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ემიგრანტის შესახებ კითხვარის საშუალებით იქნა მიღებული; თუმცა აღნიშნულ ფორმებში შეტანილი ინფორმაცია გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმის თაობაზე, თუ რა კატეგორია ტოვებს საქართველოს და ძირითადად რომელ ქვეყნებში მიემგზავრებიან ისინი. აღნიშნული კითხვარის მიხედვით 2014 წელს საქართველოში დაბადებულმა 7 527 მამაკაცმა და 6 820 ქალმა დატოვა ქვეყნის ფარგლები; 2013 წელს ამ რაოდენობამ შეადგინდა 5 248 და 4 532, შესაბამისად. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს ქვეყნიდან ემიგრირებულ პირთა შორის მამაკაცების რაოდენობა მცირედით აღემატება ქალების რაოდენობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლამდე ქვეყნიდან ემიგრირებულ პირებს შორის ქალების რაოდენობა აღემატებოდა მამაკაცებისას. არ არის დადასტურებული უკავშირდება თუ რა აღნიშნული ტენდენცია იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში უფრო მეტი ქალი მიემგზავრებოდა ემიგრაციაში, თუ იმას, რომ ქალი ემიგრანტები, უფრო ხშირად, დროის მცირე პერიოდით ტოვებენ ქვეყანას მაშინ, როცა მამაკაცები უფრო ხანგრძლივი პერიოდით რჩებიან ემიგრაციაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსახლეობის აღწერისას გამოყენებულ ემიგრანტის შესახებ კითხვარში შესული ინფორმაციის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან არსებობს ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც ამ მონაცემზე ახდენს ზემოქმედებას.¹⁴

14 წინამდებარე ანგარიშში შესული მონაცემების ალტერნატიული შეფასება მოცემულია მონოგრაფიაში მოსახლეობის დინამიკის შესახებ, რომელიც მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებს ეფუძნება (Hakkeri, 2017).

ცხრილი 12.2: საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

დანიშნულების ქვეყანა	სულ მიგრანტთა რაოდენობა	მამაკაცი %	ქალი %
რუსეთი	19 195	71,06	28,94
საბერძნეთი	14 048	16,98	83,02
თურქეთი	9 922	32,88	67,12
იტალია	9 612	14,28	85,72
გერმანია	6 259	44,86	55,14
აშშ	5 021	48,93	51,07
ესპანეთი	3 597	47,93	52,07
საფრანგეთი	3 293	57,58	42,42
უკრაინა	3 283	79,77	20,23
აზერბაიჯანი	1 802	60,54	39,46
სხვა ქვეყნები	11 590	55,94	44,06
არ არის მითითებული	919	48,20	51,80
სულ	88 541	45,38	54,62

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების შესახებ მონაცემებთან შესაბამისობაშია ის ფაქტი, რომ საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში სახლდება (4 927 მამაკაცი და 1 734 ქალი; 2014 და 2013 წლებში, ჯამურად) მაშინ, როცა საქართველოდან ემიგრირებული ქალების უმრავლესობა -

კონკრეტულად, აღნიშნულ მონოგრაფიაში შესული ცხრილი 12.2 გვაჩვენებს ინფორმაციას საქართველოში დაბადებულ ემიგრანტთა რეგიონების მიხედვით განაწილების შესახებ. იგივე მონოგრაფიის თანახმად, 2002 და 2014 წლებში საქართველოში ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში, საქართველოდან ემიგრირებულ პირთა საერთო რაოდენობა შეადგინდა 1 145 744 პირს მაშინ, როცა ემიგრანტთა შესახებ კითხვარის საშუალებით მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ პერიოდში საქართველოდან ემიგრირებულ პირთა საერთო რაოდენობა შეადგინდა 88 541 პირს. აღნიშნულ მონაცემებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ემიგრანტთა შესახებ კითხვარში არ იყო შეტანილი კითხვა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ინფორმაცია მოგვემოვიხილოთ იმ პირების შესახებ, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, მაგრამ, მოსახლეობის აღწერის პერიოდში, უკვე სამშობლოში იყვნენ დაბრუნებული; მაშინ როცა აქ პირველად მოყვანილი მონაცემები მოიცავს ყველა ემიგრანტს, მიუხედავად იმისა, დაბრუნდნენ თუ არა ისინი სამშობლოში.

ისრაელში, თურქეთსა და საბერძნეთში. 40 წელზე უფროსი ასაკის მიგრანტთა შორის ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას. ემიგრანტი ქალების მიმართ, განსაკუთრებით ქორწინებაში მყოფი ემიგრანტი ქალების მიმართ არსებული განწყობა არაერთგვაროვანია: ერთი მხრივ, ოჯახის დატოვება და საზღვარგარეთ საცხოვრებლად და სამუშაოდ გამგზავრება არ არის გამართლებული, მეორე მხრივ, ის ფინანსური დახმარება, რომლითაც ემიგრანტი ქალები საკუთარ ოჯახებს უზრუნველყოფენ, მეტად მნიშვნელოვანია.

ქალებთან შედარებით მეტი მამაკაცი გამოხატავს მუდმივ ემიგრაციაში წასვლის სურვილს, ანუ მამაკაცების 13 და ქალების 10 პროცენტი. დროებით ემიგრაციაში წასვლის მსურველთა პროცენტული წილები გაცილებით მაღალია (მამაკაცების - 58 და ქალების - 44 პროცენტი). მათ შორის უმრავლესობას (70 პროცენტი) წარმოადგენენ პირები, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში (კავკასიის ბარომეტრის კვლევა, 2015 წ.).

მიგრანტ ქალთა უმრავლესობა დაქორწინებულია (56,9 პროცენტი); რიგით მეორე ადგილზე იმყოფებიან ქალები, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში (20,6 პროცენტი); შემდეგ ქვრივი ქალები (10,3 პროცენტი); დაბოლოს, განქორწინებული ქალები (7,7 პროცენტი); ამათგან, 4,59 პროცენტის შემთხვევაში ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უცნობია. მიგრანტ ქალებს შორის, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან 25 წლამდე ასაკის ქალები (69,9 პროცენტი). ყველა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალ პროცენტულ წილს ქმნიან ქორწინებაში მყოფი ქალები. მიგრანტ ქალებს შორის უმაღლესი განათლების მქონე ქალების პროცენტული წილი (36,3 პროცენტი) უფრო მაღალია, ვიდრე მიგრანტ მამაკაცებს შორის (32,0 პროცენტი).

ემიგრანტის შესახებ კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად (ყველა იმ ხარვეზის გათვალისწინებით, რომლებიც

აღნიშნულ ფორმებში შეტანილ ინფორმაციას უკავშირდება), ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას იმ მიგრანტთა შორის, რომლებიც წარმოშობით არიან მცხეთა-მთიანეთის (63,8 პროცენტი), გურიის (60,7 პროცენტი), იმერეთის (60,7 პროცენტი), კახეთის (58,9 პროცენტი), შიდა ქართლისა (56,6 პროცენტი) და ქ. თბილისის (55,8 პროცენტი) რეგიონებიდან. ხოლო მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალების რაოდენობას იმ მიგრანტთა შორის, რომლებიც წარმოშობით არიან აჭარის (57,8 პროცენტი), სამეგრელოს და ზემო სვანეთის (55,8 პროცენტი), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (55,4 პროცენტი), სამცხე-ჯავახეთისა (55,0 პროცენტი) და ქვემო ქართლის (51,8 პროცენტი) რეგიონებიდან.

ქალ ემიგრანტთა საკმაოდ დიდი ნაწილი (56,4 პროცენტი), ხოლო ემიგრანტი მამაკაცების შედარებით ნაკლები (46,3 პროცენტი) საკუთარ ოჯახებს ფულადი გზავნილებით უზრუნველყოფენ. მამაკაცების ფინანსური ვალდებულება საკუთარი ოჯახების მიმართ მკვეთრად მცირდება განქორწინების ან დაქვრივების შემთხვევაში: განქორწინებული ემიგრანტი მამაკაცების მხოლოდ 39,75 და ქვრივი ემიგრანტი მამაკაცების 52,9 პროცენტი უზრუნველყოფს საკუთარ ოჯახებს ფულადი გზავნილებით მაშინ, როცა ქორწინებაში მყოფი ემიგრანტი მამაკაცების 55,6 პროცენტი ეხმარება ოჯახს ფინანსურად; თუმცა ქალების ფინანსური ვალდებულება საკუთარი ოჯახების მიმართ პირიქით იზრდება განქორწინების ან დაქვრივების შემთხვევაში: ქორწინებაში მყოფი ემიგრანტი ქალების - 61,7 პროცენტი, განქორწინებული ემიგრანტი ქალების - 66,6 პროცენტი და ქვრივი ემიგრანტი ქალების - 71,8 პროცენტი ეხმარება საკუთარ ოჯახებს ფულადი გზავნილებით. იგივე დამოკიდებულება იჩენს თავს იმ ემიგრანტ ქალებსა და მამაკაცებს შორის, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში: ამ კატეგორიის ემიგრანტი ქალების 56,4 პროცენტი და ემიგრანტი მამაკაცების მხოლოდ 33,6 პროცენტი ეხმარება საკუთარ ოჯახებს ფულადი გზავნილებით. თუმცა მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით

შეუძლებელია ემიგრანტი მამაკაცებისა და ქალების მიერ გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობათა ერთმანეთთან შედარება.

საქართველოში მიგრაციის მდგომარეობის შესახებ ანგარიშში მოყვანილია ამარტია სენის (1999 წ.) სიტყვები, რომლის თანახმადაც, განვითარების თეორიის მიმდევრებისთვის ლაკმუსის ტესტს წარმოადგენს არა შემოსავლების ზრდა, როგორც ასეთი, არამედ ადამიანთა მიერ საკუთარი ცხოვრების სადავეების საკუთარ ხელში აღების შესაძლებლობის გაფართოება. ემიგრაცია ზრდის ქალ მიგრანტთა შესაძლებლობებს, ვინაიდან ოჯახისადმი გაწეული ფინანსური დახმარება, ზრდის მათ როლს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უქმნის მათ შესაძლებლობებს მეტი ინვესტიცია ჩადონ საკუთარი შვილების განათლებისა და ჯანმრთელობაში. ხშირია ფულადი გზავნილებით განათლების დაფინანსება და ქალი მიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი სახსრები, ბევრ შემთხვევაში, სწორედ ამ მიზანს ხმარდება (Tchaidze & Torosyan, 2010; ევროპული განათლების ფონდი, 2012 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ წასულ მიგრანტთა უმრავლესობა სავარაუდოდ ეკონომიკური მიგრანტია, მოსახლეობის აღწერისას მიგრანტთა ოჯახის წევრებისაგან მიღებული მონაცემებით, 9 709 შინამეურნეობამ, რომლის წევრებსაც მიგრანტები წარმოადგენდნენ (შინამეურნეობების 11,0 პროცენტი) განაცხადა, რომ მათი ოჯახის წევრი საზღვარგარეთ განათლების მიღების მიზნით იმყოფებოდა. აქედან, 73,4 პროცენტი 20-39 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და, სავსებით დასაშვებია, რომ მათი იმიგრაციის მიზანს უმაღლესი განათლების მიღება წარმოადგენდა. ამ ასაკობრივი ჯგუფის ორივე სქესის წარმომადგენლები (7 122 პირი) ძირითადად ერთი და იგივე დანიშნულების ქვეყნებს ირჩევენ; მათი უმრავლესობა სასწავლებლად მიემგზავრება გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთსა და საფრანგეთში.

ცხრილი 12.3: განათლების მიღების მიზნით საქართველოდან ემიგრირებული პირების პროცენტული წილი, დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	პროცენტი
გერმანია	32,85
სხვა ქვეყნები	30,02
აშშ	10,59
რუსეთი	6,88
საფრანგეთი	4,91
უკრაინა	3,79
იტალია	3,17
თურქეთი	2,63
ესპანეთი	2,37
საბერძნეთი	1,66
აზერბაიჯანი	0,51
არ არის მითითებული	0,62
სულ რაოდენობა=7 122	100

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აფხაზეთსა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (საქართველო) მიმდინარე კონფლიქტების შედეგად, იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ეს ტერიტორიები. 2014 წელს ქვეყანაში იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობამ 262 653 პირი შეადგინა, მათგან 53,59 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 46,41 პროცენტი – მამაკაცი. საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან აფხაზეთიდან (საქართველო) დევნილები, რომელთა შორის ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას; შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) დევნილი მოსახლეობა, რომელთა შორის მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალებისას.

მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, სხვაობა ფიქსირდება იძულებით გადაადგილებულ მამაკაცებსა და ქალებს

ცხრილი 12.4: საქართველოში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა, წლებისა და სქესის მიხედვით

წელი	აფხაზეთიდან (საქართველო) დევნილი			ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) დევნილი		
	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი
2010	226 218	103 052	123 166	31 022	15 068	15 954
2011	230 439	105 345	125 094	32 168	15 643	16 525
2012	235 119	107 867	127 252	33 488	16 345	17 143
2013	238 037	109 121	128 916	34 923	17 084	17 839
2014	227 733	104 791	122 942	34 920	17 112	17 808

წყარო: საქართველო, სახელმწიფო კომისია მიგრაციის საკითხებზე (2015 წ.): ცხრილები 29 და 30

შორის, ასაკის მიხედვითაც. იძულებით გადაადგილებულ 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის მამაკაცები ჭარბობს. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად მცირდება სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, განსაკუთრებით საქალაქო დასახლებებში; ამ ტიპის დასახლებებში მცხოვრები დევნილი ქალების 47,0 პროცენტი 40 წელზე უფროსი ასაკის არის მაშინ, როცა საქალაქო დასახლებებში მცხოვრები დევნილი მამაკაცების მხოლოდ 38,4 პროცენტი განეკუთვნება ამ ასაკობრივ ჯგუფს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის განათლების მიღწეული დონე მთლიან მოსახლეობაში დაფიქსირებული მდგომარეობის მსგავსია. დევნილი ქალების 30,9 პროცენტსა და მამაკაცების 27,8 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, მთლიან მოსახლეობაში ანალოგური მაჩვენებლები შეადგენს 30,0 პროცენტსა და 27,0 პროცენტს, შესაბამისად. იძულებით გადაადგილებული პირების მხოლოდ 35,6 პროცენტია დასაქმებული; აქედან დასაქმებული მამაკაცების წილი (43,2 პროცენტი) გაცილებით მაღალია, ვიდრე დასაქმებული ქალების (29,6 პროცენტი). დასაქმებულ დევნილთა შორის დაქირავებით მომუშავედ უფრო მეტი ქალი გვევლინება (64,6 პროცენტი), ვიდრე მამაკაცი (60,2 პროცენტი).

13. მოსახლეობის განაწილება

საკმაოდ დიდია საქართველოში ის გენდერული სხვაობა, რომელიც, როგორც წესი, ყურადღების მიღმა რჩება და რომელიც გამოხატულია საქართველოს საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მამაკაცებისა და ქალების განაწილებაში. ცხრილში 13.1 შესულია მონაცემები საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის ასაკისა და სქესის შესახებ. საქართველოს საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში საკმაოდ დიდი სხვაობა იკვეთება სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის; ამასთან, ქალაქის მოსახლეობაში აღნიშნული კოეფიციენტი უფრო დაბალია (85,9), ვიდრე სოფლის მოსახლეობაში (99,1). აღნიშნული სხვაობის მიზეზს არ შეიძლება წარმოადგენდეს ამ ორი ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურებს შორის სხვაობა, ვინაიდან სასოფლო დასახლებების მოსახლეობის მედიანური ასაკი, ფაქტობრივად, 5 წლით აღემატება საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მედიანურ ასაკს. თუ გამოვიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ მოსახლეობის აღწერის დროს სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების რაოდენობა არასრულად აღიწერა, აღნიშნული ვითარება აიხსნება სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების მასიური მიგრაციით საქალაქო დასახლებებში, ან საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცებისა ან სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების შერჩევითი ემიგრაციით. შერჩევითი ემიგრაციის თაობაზე ეს ჰიპოთეზა არ დასტურდება ემიგრანტის შესახებ კითხვარების მონაცემებით, რომელთა თანახმადაც, სოფლის მოსახლეობაში ემიგრანტი მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თანაბარია, ხოლო ქალაქის მოსახლეობაში ემიგრანტი ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცებისას. აღნიშვნის ღირსია ასევე, ის

ფაქტი, რომ სხვაობა ფიქსირდება 20 წლამდე ასაკის მოსახლეობაშიც, სადაც მიგრაციის თვალსაზრისით სქესთა შორის მკვეთრი სხვაობის ნაკლები ალბათობა არსებობს. მაგ., საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ 5-14 წლის ბავშვებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 109,5-ს, ხოლო იგივე ასაკობრივი ჯგუფის სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ბავშვებში ეს კოეფიციენტი 116,4-ის ტოლია. აღნიშნული შესაძლებელია ნაწილობრივ ავსხნათ იმით, რომ სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტები ხშირია სოფლის მოსახლეობაში, თუმცა ამის გათვალისწინებითაც კი, სხვაობა მაინც ძალიან დიდია.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის მკვეთრი სხვაობა იშვიათობას არ წარმოადგენს რეგიონის ქვეყნებში. აღნიშნული ვითარება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შედარებით უფრო მეტი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქალების განათლების დონე საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცების განათლების დონე. ამგვარ სხვაობას ადგილი აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა არ ფიქსირდება თურქეთში და შედარებით იშვიათია აზერბაიჯანსა და უკრაინაში, რაც ცხრილით 13.2 დასტურდება.

საქართველოში, საქალაქო და სასოფლო დასახლებებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის 13,2 ერთეულის ოდენობის სხვაობა ყველაზე მაღალია რეგიონის ქვეყნებს შორის. ამ თვალსაზრისით მეორე ადგილზეა სომხეთი, სადაც აღნიშნული სხვაობა შეადგენს 11,5 ერთეულს. გრაფიკში 13.1 მოცემულია საქართველოსა (2014 წ.) და რუსეთის

ცხრილი 13.1: ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მამაკაცები და ქალები, ასაკის მიხედვით, ასაკთან დაკავშირებული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები

ასაკი	საქალაქო დასახლებები			სასოფლო დასახლებები		
	მამაკაცი	ქალი	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი	მამაკაცი	ქალი	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი
0-4	78 799	73 967	106,5	53 901	48 422	111,3
5-9	72 526	66 775	108,6	48 719	42 004	116,0
10-14	62 645	56 642	110,6	46 836	40 093	116,8
15-19	66 924	63 522	105,4	51 953	43 623	119,1
20-24	79 100	83 236	95,0	56 205	47 584	118,1
25-29	80 608	87 993	91,6	59 337	50 724	117,0
30-34	76 264	84 358	90,4	53 657	47 781	112,3
35-39	71 177	79 530	89,5	50 766	47 076	107,8
40-44	67 326	76 520	88,0	50 992	48 443	105,3
45-49	60 443	73 227	82,5	53 593	52 144	102,8
50-54	66 843	83 171	80,4	59 867	61 505	97,3
55-59	57 828	75 520	76,6	53 813	58 230	92,4
60-64	47 738	67 170	71,1	44 674	51 803	86,2
65-69	33 489	50 944	65,7	31 400	39 869	78,8
70-74	22 399	38 858	57,6	26 084	36 264	71,9
75-79	21 828	43 165	50,6	28 067	42 704	65,7
80-84	10 106	22 013	45,9	14 994	24 562	61,0
85-89	4 154	11 803	35,2	6 012	12 539	47,9
90-94	712	2 761	25,8	908	3 114	29,2
95-99	69	387	17,8	94	621	15,1
100+	...	76		...	197	
სულ	980 985	1 141 638	85,9	791 879	799 302	99,1

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 13.2: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში


ქვეყანა	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
სომხეთი	88,1	99,6
აზერბაიჯანი	97,5	100,4
ბულგარეთი	93,5	98,5
საქართველო	85,9	99,1
მოლდავეთი	88,7	95,6
რუმინეთი	91,8	100,1
რუსეთის ფედერაცია	84,2	91,9
თურქეთი	100,6	101,7
უკრაინა	84,6	88,8

წყარო: დემოგრაფიული წელიწადული, გაეროს სტატისტიკის განყოფილება, 2015 წ.

ფედერაციაში (2012 წ.) ასაკის მიხედვით სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შედარება. რუსეთის ფედერაციაში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის; თუმცა 15 წლამდე ასაკის, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაში სქესთა

რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მეტ-ნაკლებად უცვლელია და დაახლ. 105-ს შეადგენს, რაც ბუნებრივია და მოსახლეობის ასაკის მატების პარალელურად მცირდება. თუმცა საქართველოში, რაოდენობრივი თანაფარდობის სხვაობა საკმაოდ მკვეთრია, ჯერ კიდევ მცირე ასაკიდან და ასევე რჩება ხანდაზმულობის ასაკშიც.

გრაფიკი 13.1: საქალაქო და სასოფლო დასახლებებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების შედარება ასაკის მიხედვით; საქართველოსა (იასამნისფერი მრუდები) და რუსეთის ფედერაციაში (ნაცრისფერი მრუდები); 2014 და 2012 წლები, შესაბამისად



წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

- Bendeliani, N. (2012). *Assessing Gender Equality in Georgia by International Indices and Ratings*. Tbilisi, CSS / UNDP/ UNFPA / UN Women.
- Caucasus Research Resource Centers (CRRC). (2009–2015). *Caucasus Barometer, Georgia*. Retrieved from: <http://caucasusbarometer.org/en/datasets/>
- ETF (2012). *Migration and Skills in Georgia*.
- European Commission (2010). *Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Strategy for Equality between Women and Men 2010-2015*. Brussels: COM (2010) 491 final.
- Feingold, A. (1992). *Gender Differences in Mate Selection Preferences: A Test of the Parental Investment Model*. *Psychological Bulletin* 112: 125-139.
- Fuwa, N. (2000). *The Poverty and Heterogeneity Among Female-Headed Households Revisited: the Case of Panama*. *World Development* Vol. 28, No. 8: 1515–1542.
- Georgia State Commission on Migration Issues (2015). *2015 Migration Profile of Georgia*. Tbilisi, Georgia State Commission on Migration Issues.
- Geostat (2015). *Women and Men in Georgia: Statistical Publication*. Tbilisi, Geostat.
- Hakim, C. (2000). *Work-Lifestyle Choices in the 21st Century: Preference Theory*. Oxford University Press.
- Hakkert, R. (2017). *Population Dynamics in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data*. Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA.
- Jashi, C. (2005). *Gender Economic Issues: The Case of Georgia*. Tbilisi: UNDP/SIDA.
- Jashi, C. and Tokmazishvili M. (2009). *Gender Dimensions of the Financial Policy of Georgia*. Tbilisi: UNDP/SIDA.
- Kachkachishvili, I. and Nadaraia K. (2014). *Men and Gender Relations in Georgia*. Vesta, Tbilisi, Georgia.
- Khitarishvili, T. (2009). *Explaining the Gender Wage Gap in Georgia*. Levy Economics Institute Working Paper #577, September.
- Khitarishvili, T. (2013). *Evaluating the Gender Wage Gap in Georgia, 2004 – 2011*. Levy Economics Institute Working Paper No 768, July.
- Khomeriki, L. and Javakhishvili M. (2005). *Civic Activities of Women in Georgia: The Second Half of XIX and the Beginning of XX Century*. Tbilisi. (In Georgian and Russian). Vaza-Pshavela. Citations. Retrieved from: www.etaloni.ge/geo/main/index/3044
- Kiria, L. (2014). *The Gender Pay Gap: The Case of Georgia*. Tbilisi, UNDP.
- Matysiak, A. and Vignoli D. (2008). *Fertility and Women's Employment. A Metaanalysis*. *European Journal of Population* 24: 363-384.
- Miettinen A., Rotkirch A., Ivett Szalma I., Donno A., and Tanturri M. (2015). *Increasing Childlessness in Europe: Time Trends and Country Differences*. Families and Societies Working Paper 33. Retrieved from: <http://www.familiesandsocieties.eu/wp-content/uploads/2015/03/WP33MiettinenEtAl2015.pdf>
- Miller, R. S. (2015). *Intimate Relationships*. Boston, McGraw Hill, 7th edition.
- Ministry of Labour, Health and Social Affairs (2016). *Survey on Attitude, Motivation and Employment Strategies of the Youth*. Carried out by "ARC".
- Moultrie, T. Dorrington, R. Hill A., K. Hill, Timaeus I. and Zaba B. (2013). *Tools for Demographic Estimation*. Paris, IUSSP.

- Narayan, D. (2000). *Voices of the Poor*. New York, Oxford University Press
- NDI (2014). *Attitudes Towards Gender Issues in Georgia*.
- Neyer, G., Lappegård T. and Vignoli D. (2011). *Gender Equality and Fertility: Which Equality Matters?* Università degli Studi di Firenze, Working Papers 2011/07.
- Oganesyanyan, M. (2014). *Mixed Marriages in Georgia: Trends and Implications*. Caucasus Analytical Digest 64: 14-17.
- Ombudsman's Office (2015). *Situation of the Rights of Persons with Disabilities in Georgia (In Georgian)*. Tbilisi, Ombudsman's Office.
- OSGF (2016). *Women with Disabilities: Rights and Freedoms*. Tbilisi, OSGF (In Georgian).
- Public Defender's Office (2015). *Special Report. Early Marriages: Challenges and Solutions*. Tbilisi, Public Defender's Office.
- Report of Public Bureau of Year 2015. Retrieved from: http://csb.gov.ge/Uploads?2015_Geo_web.pdf
- Ross, J. (2012). *Reproductive Health Survey Georgia 2010*. Tbilisi, UNFPA.
- Sen, A. (1999). *Development as Freedom*. New York: Anchor Books.
- Sumbadze, N. (2008). *Gender and Society*. Tbilisi: Institute of Policy Studies, UNDP Project "Gender and Politics".
- Sumbadze, N. (2015). *Access to University Education: Barriers and Ways of Overcoming Them*. Tbilisi. IPS.
- Sumbadze, N. and Tarkhan-Mouravi G. (2006). *Transition to Adulthood in Georgia. Dynamics of Generations and Gender Roles in a Post-Totalitarian Society*. In: C. Leccardi and E. Ruspini (eds.). *A New Youth? Young People, Generations and Family Life*. ASHGATE: 224-252.
- Sumbadze, N., Makharadze T., Zhvania I. and Abashidze T. (2015). *Impact of Micro and Macro Factors on the Adaptation to Work Environment and Work Efficiency of Persons with Disabilities*. Parts I and II. Tbilisi: Tbilisi State University (in Georgian).
- Tchaidze, R. and Torosyan K. (2010). *Development on the Move: Measuring and Optimising Migration's Economic and Social Impacts in Georgia*. CRRC/ISET, GDN/IPPR. Retrieved from: [http://www.ippr.org/assets/media/uploadedFiles/research_teams_2009/Projects/Global_Change/Georgia_percent20FINAL_percent20\(April_percent202010\).pdf](http://www.ippr.org/assets/media/uploadedFiles/research_teams_2009/Projects/Global_Change/Georgia_percent20FINAL_percent20(April_percent202010).pdf).
- UNFPA (2012). *Marrying Too Young: End Child Marriage*. New York, UNFPA.
- UNFPA (2014 a). *Methodological Guidelines for the Gender Analysis of National Population and Housing Census Data*. New York, UNFPA, Technical Division.
- UNFPA (2014 b). *Child Marriage in Eastern Europe and Central Asia: Regional Overview*. Istanbul, UNFPA, EECA Regional Office.
- UNFPA (2014 c). *Georgia Child Marriage*. Tbilisi, UNFPA Georgia.
- UNFPA Georgia (2015). *Population Situation Analysis (PSA): Georgia 2014*. Tbilisi, UNFPA Georgia.
- United Nations (2006). *The Convention on the Rights of Persons with Disabilities (CRPD) adopted in 13.12 2006 by UN*. New York, United Nations.
- UN Women (2013). *Public Perceptions on Gender Equality in Politics and Business*. Tbilisi, UN Women.
- UN Women (2014). *Study on the Needs and Priorities of Ethnic Minority Women in the Kvemo Kartli Region*. Tbilisi, UN Women.

- WEF (2015). *Gender Gap*. World Economic Forum.
- World Bank (2016a). *FY 2016 Georgia Country Opinion Survey*.
- World Bank (2016b). *Country Partnership Strategy: Georgia, 2014–2018. Poverty Analysis (Summary)*.
- WHO/World Bank (2011). *World Report on Disability*. Geneva/Washington, WHO/World Bank.
- WVS (2014). *World Value Survey*. Retrieved from: www.worldvaluesurvey.org

დანართი*

დანართი

***ძირითად თემებთან დაკავშირებული საწყისი სტატისტიკური მონაცემები:**

რალფ ჰაკერტი და ნანა სუმბაძე (2017წ.) *2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში – ცხრილები ხელმისაწვდომია აღნიშნული მონოგრაფიის ელექტრონული ვერსიიდან, იხ. შემდეგ საიტზე: <https://georgia.unfpa.org>*